# ივერია

1882

წლიწადი მეორე

№ III, მარტი.

ტფილისი
მ. როტინიანცის და კ.º სტამბა.
1882

# მარტის წიგნის შინაარსი:


I. ჩვენი გლეხ-კაცობა და ახალი სამართალი (რამდენიმე შენიშვნა) . . . . . . ნიკო ხიზანოვისა.

II. იმერული მოქეიფე (ეპიზოდი იქიდან ცხოვრებიდან — ლექსი) . პარდაკანისა.

III. შემოდგომა (ლექსი) . . . ი. გლეხისა.

IV. ცეცხლი (მოთხრობა) . . . ს. მგალობლიშვილისა.

V. წყეპარტი. (ლექსი). . . . გურისა.

VI. დამტვრეული ოცნებანი . . ეკ. ჭრელაშვილისა.

VII. პასუხი ჟურნალ „იმედის" ზუგდიდელ კორრესპონდენტს — ე. „კიდევ ვიტყვი" . . ალ. წერეთლისა.

VIII. შინაური მიმოხილვა . . ცაცალასი.
სიმართლის აღდგენა. — ჩვენებური ბეჭდვის მდგომარეობა — სანაცრელი ცვლილებანი. — ჟიმელი იმედი.

IX. „იმედის" ფოსტა . . . რედ-სა

№ 39.

# ი ვ ე რ ი ა

საპოლიტიკო და სალიტერატურო

ჟურნალი

6086

წელიწადი მეექვსე

№ III, მარტი.

Библиотека-Музей
Академии наук ГССР

ტფილისი
მ. როტინიანცის და კ° სტამბა.
1882



Дозволено цензурою 19 Марта, 1882 года, Тифлисъ.

# ჩვენი გლეხ-კაცობა და ახალი სამართალი.

(რამდენიმე შენიშვნა).

როდესაც ჩვენი შინაური ლიბერალები ჩამოსთვლიან უკა-
ნასკნელ რეფორმებს და დაიწყებენ ხოტბას ამ ცვლილებებზედ, რომლე-
ნიც მოხდნენ ჩვენ ცხოვრებაში, იმათ აღტაცებას ზომა აღარა აქვს,
იმათ სიხარულს დასასრული არ იცის. ცვლილებანი წინ წავიდა,
ზნეობა გაუმჯობესდა, ცხოვრება გაიწმინდა, სამოთხეა და სხ.
და სხ. — ღაღადებენ ჩვენი ახალი წესების მადიდებელნი და თა-
ყვანის მცემელნი. ხშირათ იმათის აღტაცებით თავსა და სანაქებ-
როთ თაყვანის მცემლობას უკანასკნელი რეფორმებისა, იმ-
პერატორ კი თვალ-ყურის ადევნებენ და აღიარებენ იმ შედე-
გებს და ცვლილებას, რომელნიც ნამდვილათ უკანასკნელ რე-
ფორმებისაგან წარმოსდგნენ. ამ თვალ-ყურის დევნა და გადმოცე-
მები დამოკიდებით უფრო საჭიროა, ვიდრე მხოლოდ უკანასკნელი
რეფორმების განხორციელება და მათი თაყვანის ცემა, ვგონებ.
მაგრამ ბევრს საჭიროთ კი არ მიაჩნია. ჩვენ ლიბერალებს
ჰგონიათ სულ „რეფორმა“ აკეთებს, რა არის რეფორმა. რო-
დის არის ის სასარგებლო ხალხის ცხოვრებისათვის, ე. ი. რო-
დის არის რეფორმა კარგი, თუ არა. ამაზე არ ლაპარაკობენ,
არ უფიქრდებიან და შეუტყვია, რომ ზოგიერთი რე-
ფორმა, რაც უნდა კარგი მიზანისა იყოს, ხალხს ზიანის
მეტს არას მოუტანს. ვინიცობა რომ ავიღოთ რეფორმა,

ახალი წეს-დებულება ცხოვრებისა. მხოლოდ მაშინ არის ნაყოფიერი და სასარგებლო, როდესაც გონივრულად ჰპასუხობს ცხოვრებაში, როდესაც მის ითვალისწინებს ხალხის საჭიროებს და მოთხოვნილებებს, იმის (ხალხის) გულითადი მოთხოვნილების ასრულებით, ერთობით. ხშირობით ხალხის ცხოვრება ის ამშვენიერებს, ხალხს გულში უნერგავს კეთილ-მოსიყვარულ გრძნობას, აცოცხლებს... თუ რეფორმა ასეთი უნდა იყოს და ამ ნაირი შედეგები უნდა მოიტანოს იმან, მაშ ძრიელ კარგი იქნება, თუ შემუშავებული რეფორმების „თაყვანის-ცემას" თავს დავანებებთ... მე კი ასეთ რეფორმებს არ მივეხები. მე მიზნათ მაქვს — გავარჩიო მკითხველს, რომ ახალმა „მშვიდობით მოსამართლეებმა" სამართალმა, რომელსაც რეფორმათა დასაში უმთავრესი ადგილი უჭირავს, არ დაიმსახურა ის „თაყვანის-ცემა", რომელსაც ჩვენ მისი ერთგული ლიბერალების შორის, არ მისცა ხალხს ის ნაყოფი, რომელსაც იმისგან მოელოდნენ.

ყველამ კარგათ იცის — თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამართალს მშვიდობიანობის ხალხის ცხოვრებაში. ისიც ყველას მოეხსენება, რომ, როდესაც ხალხს ხმა ამოუღია და მოუწყვია თავისი ცხოვრების გაუმჯობესობა, სამართლის და კანონის განმტკიცებისათვის დიდი ყურადღება მიუქცევია. ყველას ნებით ეძებდა მშვიდობის, „ღვთის მადლის ცხოვრებას" რომელიც სამართალს მოაწყობდეს და ისეთი გულ-მოდგინებით და ხალისიანი შემუშავეს სამართლის წიგნი, „ოქროს მოსახლეებლი", რომ ის ყველას სავსებით მოეწონა ხალხს. ჩვენ ვიცით, რომ ძველი ქართველები მეფეების ყურადღებას აქცევდნენ სამართალს და კანონს. რომელიც ხალხმაც კი გაიგოთ მოითხოვა ყოველთვის, იქ სამართლის შესწავლას, იმის გაუმჯობესობას ყურადღებას არ მოაკლებდნენ. რა არის ამის მიზეზი?

მიზეზი ის არის, რომ სამართალი დიდი ზნეობითი ძალაა და დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ძალას ხალხის უბედურობა და ბედნიერება. მისი აწმყო და მომავალი ამ ძალაზე არის დამყარებული. მართალია, ზოგის დასტურით სამართალს, მართალია, ხშირათ ისმის საუბრებში, რომელნიც ერთმა მწერ-მეტყველ ნასწავლმა წარმოსთქვა: როცა ქვეყანა დაარსდა, სამართალს კაცობრიობისათვის ერთი ჭეშმარიტება არ მოუცემია; ყველქვეყ საზღვრავთ მასწავლით ზოგიერთები სამართალზედ ბევრი და სხვა. მაგრამ ამითი სამართალს არა აკლდება რა. ის არა მერყეობს. უმეტეს ნაწილათ, უმეცრებს იურიდიული ფორმალიზმი და სამართალი ერთი ჰგონიათ და, როდესაც შეიტყობენ, რომ რომაელების სამართალმა ევროპას დაუტოვა იურიდიული ფორმალიზმი, მაშინვე მოჰყვებიან ერთხმით სამართლის გაკიცხვას. არა! სამართალი ხალხის ცხოვრების საჭიროებიდგან წარმოსდგა და რაც ხალხის ცხოვრებისათვის საჭიროა, ის ყოველთვის ღირსია ხალხის ყურადღებისა. უმანკო და გაურყვნელი ხალხის გონებას და გულს ყოველთვის უყვარდა სამართალი და ყოველთვის საზღვრავთ ნაყოფიერი იურიდიული კანონის-ნიკებია. ამისათვის, როდესაც ხალხს სურვილი თავის დარდს, მამის დიდი ასიებით დაუძახის: „ჩემი ღმერთი და სამართალი!" თუ გსურთ ხალხის ზნეობითი აღზრდა, თუ გსურთ, რომ ხალხმა სისხლით და ხორცით გარდაიქციოს საზოგადო თანასწორობისა, მიეცით იმას ისეთი სამართალი, რომელიც ხალხის გემოვნებას ეთანხმება, იმის საჭიროებას აკმაყოფილებს, ისეთი სამართალი, რომელიც ნამდვილათ ხალხს სურს და არა თქვენ.

საუბედუროთ, სამართლის თავ-გადასავალი ხშირათ ბნელი და შავი ყოფილა. ხშირათ დაუმახინჯებიათ სამართალი, გამო-

[illegible] იმავე მიზანი და დანიშნულება. [illegible] გვონებთ ამ გვარ მოვლენებს.— ზოგიც საბჭოთა პოლიტიკურ ხასიათს აძლევს, ზოგიც ფიქრობენ და სწერთ, რომ საბჭოთა ხალხის [illegible] და სხვა გვარ საჭიროებას გა არა. სხვა რადგან აპოლიტიკურ [illegible] [illegible], ამ გვარ დამა-ხასიათებს საბჭოთა მთავრობის [illegible] [illegible] შენიშვ. ისე სწერენ და ეს ერთს [illegible] მიზეზი, რომ ხალხი მასიურ ლიტერატურას არ კითხულობს... საბჭოთაო. არას თუ მარტო ჩვენში. სხვა თავისუფალ სახელმწიფოებშიაც კი [illegible] საბჭოთაო პოლიტიკურ-[illegible] ლიტერატურას შორის.

[illegible] [illegible] [illegible]...

სწორედ, რომ საბჭოთაოს თავ-გადასავალი [illegible] და [illegible] [illegible], რომელსაც რამდენიმე ხალხის ხელმძღვანელი და პარტ-იების [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] თავის [illegible] და სიცოცხლე. რომელსაც ამ გვარ პარტიის თავის წევრ ხალხის [illegible] [illegible]. მაშინ ამ შემდეგ ხალხის საზოგადოებრივი მოძრაობა, ეს საბჭოთაო სავაჭრო ხაზით [illegible] და ამ გვარად [illegible] [illegible] სა-[illegible]. [illegible] [illegible] ამ მარტო ერის მაგალითს მოვიყვანთ. [illegible] იმის [illegible] [illegible] შესახებ [illegible], [illegible] იმის თუ რა ნაირი პარტიები [illegible] თავის [illegible], მაგრამ, [illegible]. [illegible] არ [illegible] ის [illegible], რომ [illegible] ხალხის საბჭოთაო [illegible] [illegible]. [illegible] — [illegible] და ამით რა [illegible] და [illegible] [illegible] ხალხს — [illegible]. [illegible] შესახებ [illegible] [illegible] საბჭოთაოს [illegible] თავისთა [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], ის უმაღლეს

შორიგებაში სრულდებოდა, მოსამართლეები იყვნენ ისეთივე აგენტები ხაზინისა, როგორიც მაგ. პოლიციის რომელიმე ბაჟხანის აგენტები პოლიციის გარდა — მარილებში, ღვინოში. ხაზი-ნოლები ელოდნენ თავის ბიუროკრატიულ ბრძანების და ინსტრუქციის შესრულებას, რაც გამოადგებოდა ამ მიზნისთვის ის ყვე-ლაფერს უჩვათ და დაუფიქრებლად ხმარობდნენ; იგინი სამართა-ლიც გამოადგებოდა და სამართალსაც გარეცხეს. სისხლის სისხლის საქმეთა ხილვით გადაწყვეტა, მიუფლებლად გაჭრებით და გამოსით-ხულებით, გამოძიებულებით და ჩხრეკით დაბრმავებული სადმის ხელ-მძღვანელობა და ძირითადი დამოწმება ადვილი იყო და ადვი-ლადვე შესრულდა ხაზინელობის ეს საქმე. შესრულდა, მაგრამ როგორ კი ცუდი ქმნილა... ადვილი თუ ვიხილოთ სამართალი ხაზინელობის მესამის წინაშე, ბიუროკრატიულ ღმერთს. მაშინაც უყურებენ გაჭრობას სისხლისას და სამართლისას. მაშინაც ბიუ-როკრატიული მიზნის წინ დამახინჯება სამართლისა — აი რა სჭი-რის ვხედავთ. ამ ნაირი სამართლის დამახინჯებას უნდა მოჰყვა თქმულისამებრ რეფორმისა.

იქნება, შეიძლება იფიქრონ, რომ ხაზინელობის და ბიუ-როკრატიულის სისტემის დამარცხების ჩვენ მარტო სამართა-ლის დამახინჯებას ვაბრალებთ. არა. ჩვენ ვიცით, რომ სხვა მიზეზებიც იყვნენ. ჩვენ მხოლოდ ის უნდა დავამტკიცოთ, რომ სადაც სამართალი ბიუროკრატიული მიზნისა და სისტემის არა უნდა ემსახურებოდეს, სამართალი უნდა იყოს სიმართლისთვის და სიმართლისათვის, ვინმეი არ უნდა ქმნილიყო რომელიმე ბიუ-როკრატიული მიზნისა, ამ მიზნის შესრულების საქმეში და სა-მართლებში არ უნდა ერიოს მოხელეები დამოუკიდებელი სამართალი დაუქვემდებარების ბიუროკრატიას, მოსამართლე ეძებდეს იმას; მოხელეები მოვალეობით ბიუროკრატიის ისარგებლონ, მაგრამ სამარ-

თალი უნდა იყოს ხალხისთვის და ისეთ გარეგან ელემენტს, როგორც „პოლიტიკური პლანი", იმაში ნაწილი არ უნდა ჰქონდეს...

თუ მკითხველი დაკვირვებით ჩვენს ცხოვრებას, თვალ-ყური უდევნებია გლეხ-კაცობის ავლა-დიდებისთვის, ადვილათ დაინახავდა, რომ ახალმა სამართალმა ის ნაყოფი არ მოიტანა, რომელსაც არა-თუ ჩვენ, არამედ „მცირე ძმანიც" ჩვენნი მოელოდნენ. ყველასთვის ჭეშმარიტება არის, რომ სამართალი ზნეობით აუმჯობესებს საზოგადოებას და ხალხს. აგერ რამოდენა ხანია, რაც ჩვენ ახალი სამართალი გვაქვს, მაგრამ ამ სამართლის წყალობით ხალხი არც თავის ღირსების ცოდნას მიხვდა, ვერც რა „კანონის წინაშე თანასწორობისა" გაიგო; ზნეობით ბევრი ვერა შეიმატა რა, გონებით წინ ვერ წაიწია, ეკონომიურათ წარმატება ვერ მიიღო. ლიბერალები კი, როგორც მოგეხსენებათ, ახალ სამართალს დიდს ზნეობითს ძალას უწოდებენ; სამჯავრო და სასამართლო ადგილს—ტაძარს, სადაც თემიდას შვილნი ქადაგებენ მაღალ პრინციპებს, რომელთაც ეწოდებათ: თანასწორობა კანონის წინაშე, ჭეშმარიტება, კაცური ღირსების ცოდნა, მსწრაფელი სამართალი და სხვა ამ გვარი მაღალი სიტყვები. ვისაც ხალხში უცხოვრია, იმან კარგათ იცის, თუ რა თვალით უყურებს ჩვენი ხალხი ახალ სამართალს. ყველგან ისმის უკმაყოფილება და არსაიდგან კმაყოფილება, ყველგან სამდურავი და არსად მადლიერობა. ბევრჯერ ხალხი აშკარათ აცხადებს (ამას კი მკითხველი ძნელათ დაიჯერებს), რომ „მდივანბეგობა" სჯობდა ახალ სამართალს!!!... რა არის ამის მიზეზი? ნუ თუ ჩვენი დაბალი ხალხი ისე გონებით დახშულია, რომ აქამდის ვერ შეიტყო—თუ რა არის „კანონის წინაშე თანასწორობა" და სხვა ამ გვარი პრინციპები, რომლებითაც აყვავებუ-

ლია ახალი სამართალი?! თუ ეხლა სურვს «კანონის წინაშე თანასწორობა", მაშ ხალხი რისთვის აშორებინებს «მდივანბეგობას», რომელმაც «ერთობის» მაგივრათ «დიდ-პატარაობა», „უმცროს-უფროსობა" იცოდა? ან თუ ჩვენი გლეხ-კაცი ისე რეგვენია, რომ მდივანბეგის მაგივრას აშორებინებს ეხლანდელ ქვ-რობიულ სამართალს?! როდესაც ხალხს ახალი წესდებულება არ მოსწონს, რომელიმე რეფორმას თავიანს არა სცემს, მუდამ აწმყოს თვალს არიდებს, წარსულს შესცქერის, და იგონიებს, მაშინ უთუოთ ან ახალი წესდებულება არ ვარგა, ახალი რეფორმა უხეიროა, ან არა და — რეფორმა კარგია, მაგრამ ის დაუმახინჯებიათ, ფრთები შეუკვრიათ და ხალხის ცხოვრებაში ისე დაუარსებიათ.

გამეორებით რომ ვსთქვათ — ხალხის ცხოვრებისათვის მარტო რეფორმის დაწესება არ არის საკმაო. უპირატესად ყურადღება უნდა იყოს მიქცეული იმაზედ — ეს-და-ეს რეფორმა ნამდვილათ საჭირო და სასარგებლოა, მერე — ხალხის ცხოვრებას, იმის ვინაობას, აწმყოს და წარსულს შეეფერება ეს რეფორმა. წარმოიდგინეთ, რომ სულთანმა თავის სამეფოში შემოიღო საფრანგეთის სამართალი ფრანცუზულ ენაზედ. ყველამ იცის — თუ რა გუმანური და ლიბერალური მიმართულებისაა საფრანგეთის სამართალი, მკითხველს ეგრეთვე ეცოდინება ისიც — თუ რა ტკბილი, საამური და შემუშავებული ენა არის ფრანცუზების ენა. განა ამ ნაირი სამართალის რეფორმა სარგებლობას მოუტანს ხალხს? ამ ნაირი მაგალითი ჯერ არ მოხდება ისტორიაში და თუ მოხდა, მაშინ ყველა იფიქრებს, რომ სულთანს თავის ხალხისათვის სასარგებლო სამართლის მიცემა არა სურს ახალი სამართალი, როგორც სხვა რეფორმა, მხოლოდ მაშინ შეერგება ხალხს, როგორც დედის რძე, როდე-

საც ეს სამართალი წინააღმდეგი არ არის ხალხის გრძნობისა, შეხედულობისა, იმის, ასე ვსთქვათ, გემოვნებისა. სამართალს დაბალ ხალხში ნიადაგი უნდა ჰქონდეს. ამ აზრის სიმართლე დიდი ხანია დაამტკიცა ისტორიულმა სკოლამ, რომლის მამა-მთავრათ გამოჩენილი სავინი ითვლება. ხალხის ისტორიული ცხოვრების გადაკეთება ქაღალდზე დაწერილი პროექტებით და კაბინეტში შედგენილი რეცეპტებით არ შეიძლება და არც მოხდება. პირველათ და უკანასკნელათ საჭიროა პატივი სცენ ხალხის ჩვეულებას, იმის აზრს, ხასიათს, იმის იმედს და სასოებას, პატივი სცენ იმას, რასაც «ხალხოსნობის პრინციპს» უწოდებენ...

თუ მკითხველი ჩემთან თანხმაა, ადვილათ მიხვდება — რა მიზეზის გამო ჩვენი ხალხი ახალმა სამართალმა არ დააკმაყოფილა. ეს მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ახალმა სამართალმა სახეში არ მიიღო „ხალხოსნობის პრინციპი“, ცხოვრება. ჩვენ გლეხ-კაცობისათვის ახალი სამართალი უცხო და უცნობი იყო. მოულოდნელათ და მოუმზადებელათ გასტყვრა. რა მდგომარეობაში იყო გლეხ-კაცობა წინათ? — ბატონ-ყმობის დროს ჩვენი გლეხ-კაცობა იშვიათათ დაიარებოდა სასამართლოში და სრულებით არ იცოდა — თუ რა არის საქმის ერთ სასამართლოდგან მეორეში და მესამეში გადატანა. გაუჩნდებოდა გლეხ-კაცს საქმე, მიმართავდა თავის ბატონს, უფრო ხშირათ მედიატორებს. რადგანაც ხალხს არ ეჭირვებოდა „სამ თავიან“ სასამართლოში სიარული, საქმის გარჩევასაც დიდი ვაი-ვაგლახი და აქეთ-იქით ხეტიალი არ უნდოდა, ძვირ-ფასი დროება ცუდ-უბრალოთ არ იკარგებოდა. ბატონმა და მედიატორებმა საქმის გარემოება, საფუძველი საჩივრისა კარგათ იცოდნენ. ამ „ხალხის მსაჯულთ“ კარგათ

ესმოდათ — ვინ მართალია, ვინ ტყუანი; კარგათ იცოდა იმისთვის, რომ საქმე მათ თვალ-წინ ხდებოდა, საქმის მოწამენი თითონ ისინი იყვნენ. თუ რომელიმე მოსამართლე ანუ მსაჯული მიდგომას და უსინდისობას გამოიჩენდა, თუ რომელიმე საქმე სიყალბით გადასწყდებოდა, მაშინ თითონ ხალხის განკიცხვა და იმის რისხვა იყო „აპელაცია“ და „კასაცია“. რასაკვირველია, მოსამართლე, მოშორებული „იურიდიკულ ფორმალიზმს“, დამყარებული თავის სინდისზედ, სცდილობდა ხალხის რისხვა და განკიცხვა არ დაემსახურნა და საქმე გადაეჭრა ისე, როგორც საზოგადოების სინდისი და ხალხის ჩვეულება მოითხოვდა. მართალია, იმ დროსაც უსამართლობა ბევრჯერ ხდებოდა, მაშინაც ხშირათ „პატრონს პირველი მოჩივარი მართალი ეგონა“, მაგრამ ხალხი მაინც კმაყოფილი იყო სამართლისა, რადგანაც ეს სამართალი ხალხის ჩვეულებაზედ, იმის სინდისზე იყო დამყარებული. სამართალს საღმთო, წმინდა ხასიათი ჰქონდა. შედარებით ამისა, მოწამესაც საქმეში საღმთო მნიშვნელობა მიუძღოდა წინ. მოწმის ფიცი, სინდისი და პატიოსანი სიტყვა — აი რა იყო მაშინ საჭირო და რით კმაყოფილდებოდა გლეხი კაცი! «იურიდიკული ფორმალიზმი», რომელიც ეხლა გლეხ-კაცობას ტვინს უბნევს, „კანცელიარული ბიუროკრატიზმი“ სასამართლოებში, რომელიც გლეხ-კაცობას ასე ძვირათ უჯდება, იმ დროს ხალხმა არ იცოდა. ამ ორ გვარი «საუნჯის» გემო გაგებული არ ჰქონდა. ფულის სესხობა, აღებ-მიცემობა, მამულის ყიდვაც კი და სხვა იურიდიკული მოქმედებანი „დოკუმენტში“ არ საჭიროებდენ, საჭირო იყო პატიოსანი სიტყვა. ამ გვარ იურიდიკულ შეხედულობას ჩვენ გლეხ-კაცობაში ეხლაც ხშირათ ვპოვებთ. ეხლაც ხშირათ გლეხ-კაცები ებ-მიცემობას, სხვა-და-სხვა პირობას პატიოსანი სიტყვით

ახერხებენ და საჭიროთ არ მიაჩნიათ დაწერილი საბუთი. ბევრ-ნი უსინდისოთ სარგებლობენ ამ გვარი გლეხ-კაცის მიმნდობ-ლობით, ბევრნი «კანონიერათ» და «სამართლის» ძალით ავიწ-როებენ მას, მაგრამ მაინც გლეხ-კაცობას ღრმათ უყვარს თავის სამართალი. სამართალი ღვთიურ საქმეთ მიაჩნია...

რა ცვლილება მოიტანა ახალმა სამართალმა? დააკმაყო-ფილა იმან ჩვენი გლეხ-კაცობა, თუ არა? ვისაც კი თვალი გა-დაუვლია ახალი ჩვენი სამართლისათვის, ადვილად გაიგებს, რომ დედა-ბოძს, რომელზედაც ეს სამართალი დამყარებულია, შეად-გენს სისტემა ფორმალური დამტკიცებისა, იურიდიული ფორმალიზმი. სამართალი გიბძანებს, გინდა დაამტკიცო «საქმე» —დაამტკიცე ფორმალურათ; ამას ითხოვს სჯული და კანონი. ვალი გადაგიხდია—წარმოადგინე ბარათი, მამული შენია—მოი-ტანე დოკუმენტი, ფული მასესხე—მაჩვენე ვექსილი და სხ... არ წარმოადგენ ბარათს, არ მოიტან დოკუმენტს, არ მაჩვენებ ვექსილს—„საქმესაც“ ვერ დაამტკიცებ. ჩვეულობა, სინდისი, პატიოსანი სიტყვა, თითქმის საჭირონი აღარ არიან. ყველგან და ყოველთვის პირველ ადგილზედ სდგას ფორმალური და-მტკიცება. დაუმატეთ ამ ფორმალიზმს ძლიერ გაგრძელებული და ათ-ას-გვარათ დაშლართული სამართალი და მაშინ ცხადათ დაინახავთ, რომ ამ გვარი სამართალი ჩვენი გლეხ-კაცობის თანაგრძნობას ვერ შაიძენდა. გლეხ-კაცობა აღზრდილი იყო სი-ნდისის და ჩვეულობის სამართალში, იმის პირველი და უკა-ნასკნელი საბუთი პატიოსანი სიტყვა იყო; ამის მაგივრათ ახალმა სამართალმა „დაწერილი ქაღალდი“ მოსთხოვა ხალხს. ხალხს გზა აერია, ახლისა ვერა გაიგო რა, საწყალი დარჩა ორ-წყალ-შუა და თავ-გზა არეული დაიარება სასამართლოში და დაეძებს სამართალს...

თუ თეორეტიკულად ავიღებთ ახალ სამართალს და არა ამ სამართალს მისცემთ სხვა განათლებულ ხალხს, მაშინ საყვედურსაც თავი უნდა დაანებოთ: ჩვენი სამართალი ლიბერალური სამართალია და, ამის მხრით, ღვიძლი, თუმცა კი უმცროსი, ძმაა ევროპიული პროცესისა; ეს პროცესი ხომ, როგორც გაგვიგონიათ, ევროპაში სამაგალითოთ მიაჩნიათ. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ რაც კარგია ევროპაში, შეიძლება კარგი არ იყოს სხვაგან, მაგ. ჩვენში, და ეს სამართალზედ უფრო უნდა ითქვას. ფორმალური სამართალს ევროპაში დიდი ვნება არ მოაქვს; იქ დიდი ხნიდგან ხალხი აღზრდილია ამ სამართალში, იქ დიდი ხნის ხალხმა განვლო ის დრო და ჟამი, როდესაც სამართალი სინიდისის საქმე იყო, როდესაც სამართალს მღვთიური ხასიათი ჰქონდა. ჩვენში კი სხვა არის. ჩვენი გლეხ კაცობა ვინ იცის როდის დავარჯიშდება საკმაოდ, რომ ახლანდელი სამართლისა გაიგოს რამე და გზა გაიკვლიოს სასამართლოის კანცელარიულ წესებში. ხმა ისმის გაზეთებში, რომ მთავრობას სწადია ზოგიერთა იურიდიული მოქმედებისთვის, როგორც, მაგ. ხელშეკრულობა, ვალ-დებულება, შეამციროს ფორმალიზმი და ამითი გაადვილოს საქმის წარმოება. თუ ეს ხმა მართალია, სჩანს თითონ მთავრობასაც გაუგია ის სენი და ვნება, რომელიც ჩვენ სამართლის წრეს-გადასულ ფორმალიზმს მოაქვს ხალხისათვის.

დასავლეთის ევროპის დაბალ ხალხს ისე ზარალი არ ეძლევა იურიდიული ფორმალიზმიდგან, როგორც ჩვენ გლეხკაცობას. ევროპაში ხალხი დიდი ხნის შეეჩვია თავის სამართალს და კანონს, შეეჩვია ნელ-ნელა და ცოტ-ცოტათ. მაგალითებრ, გერმანიაში, სადაც ხალხმა უფრო არა იცოდა რა რომაელების სამართლისა; ვიდრემდისინ საფრანგეთში, ხალხს ერთბაშათ ძალა არ დაატანეს — ამა და-ამ სამართალს გაძღევით და ის

უნდა იწამოვო, არა, — ხალხს პირველათ თავის ჩვეულება დარჩა და რომაელების სამართალს წყნარათ და მშვიდათ შეაჩვიეს. ჩვენი გლეხ-კაცობა ახალი სამართლისათვის სრულებით მომზადებული არ იყო. რთული და ფორმალური სამართალი საჭიროა და გამოსადეგია ისეთი საზოგადოებისა და ხალხისათვის, რომლის ცხოვრება გახსნილია და შინაარსით მდიდარი. ყველამ კარგათ იცის, თუ რა უბრალო და ღარიბი შინაარსით ცხოვრება აქვს ჩვენ გლეხ-კაცობას. ჩვენი ახლანდელი სამართალი მეათედი ნაწილი რომ დაშთეს და დანარჩენი მოისპოს, თუ კი ეს მეათედი ნაწილი გონივრულათ იქნება შედგენილი, ისიც საკმაოა ჩვენი გლეხ-კაცის ცხოვრებისათვის — ისე ღარიბი და უბრალოა იქ ცხოვრება! ჩვენ კი შემუშავებული ევროპიული სამართალი მოგვცეს, რომლისაც ცხოვრება ევროპის მისამსგავს თუმცა ითხოვდა, მაგრამ სულ სხვა ნაირათ, ისე არა, როგორაც ჩვენ მოგვივიდა. ევროპაში დაბალი ხალხი იმოდენათ არის გონება გახსნილი, თუ სწავლით, თუ ცხოვრებით, რომ ძრიელ ადვილათ ითვისებს რთულს და ფორმალურ სამართალს; ცხოვრებაც ისე მდიდარია შინაარსით, რომ საჭიროებათ მოითხოვს ამ გვარ სამართალს. ჩვენში სულ სხვაა, თუმცა აქაც და იქაც სამართალი ერთი გვარისაა. თუ მკითხველი იმასაც არ დაივიწყებს, რომ სამართალი ჩვენში სხვა ენაზედ არის და ჩვენი ხალხი არა თუ გონებით გახსნილია, წერა კითხვაც არ იცის, მაშინ ცხადათ წარმოიდგენს გლეხ კაცობის გაჭირვებას...

დასამტკიცებლათ ჩვენი აზრისა მე აქ მოკლეთ განვიხილავ «კანონის წინაშე თანასწორობის» პრინციპს. როგორც მკითხველმა იცის, ახალმა სამართალმა აღიარა თანასწორობა კანონის წინაშე, ყველა თანასწორათ დააყენა სამართლის წინ — დიდი და პატარა, თავადი და გლეხი, მდიდარი და ღარიბი.

ნასწავლი და უმეცარი. ეს თანასწორობა, რასაკვირველია, საჭირო იყო ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ და უამისოთ სამართალი თავის მიმზიდველობის ძალას დაკარგავდა. მაგრამ რა ნაყოფი მოუტანა გლეხ-კაცობას კანონის წინაშე თანასწორობამ? განა ხალხს შეასმინა და აჩვენა თავისი კაცური ღირსება, ზნეობით აამაღლა ხალხი? განა ნაყოფიერი იქნებოდა ეს თანასწორობა, როდესაც ხალხი ახალ სამართალს თავის სამართლად არ სცნობდა? და ან კიდევ — უკანასკნელად — ეს თანასწორობა საქმარი იყო, როდესაც ხალხის ეკონომიური დამოკიდებულება («დროებით ვალდებულნი გლეხნი») ჰქონდა თავად-აზნაურობასთან და იმათვე ხალხი იყო? — თანასწორობისთვის საჭიროა თავისუფლება ეკონომიური თუ სხვა-გვარი. იქ, სადაც გლეხი «დროებით ვალდებულია» თავის ბატონისა, კანონის წინაშე თანასწორობას უფრო თეორეტიკული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პრაკტიკული, იქ თანასწორობა კარგი და მშვენიერი სიტყვა არის და არა განხორციელებული პრინციპი. ჩვენშიც ასე მოხდა: ძნელათ და ძვირათ გაბედავს გლეხ-კაცი თავის «ბატონის» წინააღმდეგ საქმის წარმოებას სასამართლოში და თუ კი ივისრებს ამ მძიმე ტვირთს, მაშინ რწმუნდება რომ სასამართლოში ერთი არა ყოფილან ის და მათი ბრწყინვალება, რწმუნდება და ეს დარწმუნება გულს უკლავს და გონებას უფუჭებს... თანასწორობა კარგი რამ არის, მაგრამ იმაზედ დიდათ სხვა რამ უფრო საჭირო იყო, საჭირო იყო უფრო სამართალი ხალხის ენაზედ, მოსამართლენი, რომელთაც სცოდნოდათ ხალხის ცხოვრება, მისი ჩვეულებანი, მისი წარსული და აწმყო. თანასწორობა სარგებლობას მოუტანს ხალხს მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხი სამართალს და კანონს კანონად და სამართლად იცნობს. უკვლამ კარგათ იცის თუ რა შეძლებულობისა არის ჩვენი გლეხ-

კაცობა თავად-აზნაურობაშივე. გლეხ-კაცს აქამდისინ სიმკვიდრო სარწმუნოებათ მიაჩნდა ის აზრი, რომ «თავადების და აზნაურების სისხლი სულ სხვა არის». ჩვენი გლეხ-კაცი აღზრდილა თავად-აზნაურების მამა-მთავრულ მზრუნველობაში და ამ ზრუნველობის დაღი ეხლაც აზის შუბლზედ. „თანასწორობის პრინციპისა" იმან ჯერ არა იცის რა? იმას ახსოვს, რომ თავადი და აზნაური „ბატონია" გლეხისა და გლეხი ბატონის მონაა. გლეხ-კაცს კარგათ ესმის—ბატონის და მონის შორის თანასწორობა არ შეიძლება,—ბატონს ძალა აქვს მონაზედ და სადაც ძალა არის, იქ რაღა თანასწორობა იქნება. ნამდვილათ ასე უცქერის გლეხ-კაცობა თავად-აზნაურობას და ამისთვისაც თანასწორობის პრინციპი დარჩა მშვენიერ სიტყვათ და ნაყოფიც არა მოიტანა რა, არც შეეძლო მოეტანა, თუ არ დავივიწყებთ, რომ თანასწორობის გასაგებლათ ჩვენი გლეხ-კაცობა სრულებით არ მოამზადეს და ამ თანასწორობას წინ გზა არ გაუკვლიეს... ბევრნი არ დამეთანხმებიან და ღიმილით დამცინებენ: «როგორ ჰგონია? თანასწორობის პრინციპი ძველა-ბოძია ახალი იურისპრუდენციისა, რამოდენათ ხალხის ქირისებას ამშვენიერებს, იმის ზნეობას ზდის... და სხ... თქვენ გი...ჟ დიახ, ბატონებო! ეს ჩვენც ვიცით, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ხალხის ჩვეულობა, უფრო დიდი დესპოტია, ვიდრემდი მაღალნი პრინციპები, რომლებსაც სამზღვარ გარეთ ვსესხულობთ. თანასწორობა კარგია. მაგრამ ეს თანასწორობა გონივრულათ მიანიჭეს გლეხ-კაცობას?—აი რა არის ჯერ გასაგები... ხალხის თვით მმართველობაც კარგი და სასარგებლო საქმეა, მაგრამ ჩვენ სოფლებში ხალხის ერთობა ერთიანათ გარდაიქცა და «თვით მმართველობის» ძალით მამასახლისებმა სასოფლო მაღაზიების ჩირნახული დუქნებში შესჭამეს. აქ თვით-

მმართველობა არის დამნაშავე? — არა! თვით-მმართველობა კარგია, მაგრამ ის ზარალის მეტს არას მოუტანს ხალხს, როდესაც თვით-მმართველობა ხეირიანათ არ არის გამართული ჩვენ გლეხ-კაცობაში. „კანონის წინაშე თანასწორობას" ფესვი არა ჰქონდა გამდგარი, ხალხის ერთობა და აზრი არ აღზარდეს იმის მისაღებლათ. ჯეროვანი ნაყოფი არც ხალხმა მიიღო თანასწორობისაგან. შეცდომა იქნება ისიც არა ვსთქვათ, რომ მომავლისთვის თანასწორობას, რომელიც ახალმა სამართალმა მოგვცა, შეუძლიან ხალხის გულში აანთოს კეთილ-შობილური ღტოლვა, იმის გონებაში აღზარდოს მაღალი აზრები... ამისთვის საჭიროა — თუ რა ნაირი მოთავენი ეყოლება ჩვენ სამართალს და ეს მოთავენი ეცდებიან ჩვენი გლეხ-კაცობის განთავისუფლებას თავად-აზნაურობის ზნეობითის და მამა-მთავრული ზრუნველობისაგან, იმ ზრუნველობიდგან, რომელიც ბატონ-ყმობამ შეგვძინა.

რა ნაირი გავლენა იქონია ახალმა სამართალმა ჩვენ გლეხ-კაცობაზედ ეკონომიურის მხრით? ყველა სამეფოში, სადაც კი ესმით სამართლის სარგებლობა, სცდილობენ სჯული და კანონი ხალხს თავათ დაუჯდეს. მდიდარს და ღარიბს ადვილათ შეეძლოს სასამართლოში მიმართვა და საქმის წარმოება. გონივრულათ გამართული სამართალი ხალხის მატერიალურ კეთილდღეობას, იმის ეკონომიურათ წარმატებას ხელს უნდა უწყობდეს და ეხმარებოდეს. რა არის უმთავრესი მიზეზი ინგლისის სამართლის უვარგისობისა? ურიცხვი «ფორმალურნი მოთხოვნილებანი», რომელთა შესრულება საჭიროა საქმის წარმოებისათვის და ეს შესრულება მეტის-მეტ ძვირათ ჯდება და ღირს. მკითხველს ვსთხოვთ, მოიგონოს ტიჩბორნის საქმე... როდესაც სამართალი წრეს გადასულ კანცელიარულ ბიუროკრატიზმზედ

არის აშენებული, როდესაც ის, ამ ჩვენ პრაქტიკულ საუკუნეში უფრო ფორმალიზმს მისდევს, მაშინ სამართალი ძვირათ უღირს ღარიბ გლეხ-კაცობას. თეორეთიკულათ ახალმა სამართალმა აღვიარა და იწამა ეკონომიური ინტერესი გლეხ-კაცობისა, მაგრამ საქმით კი სხვასა ვხედავთ. თუ მკითხველი წარმოიდგენს უწინდელს «სიტყვით» საქმის წარმოებას, მოიგონებს — თუ რა მალე «ერთ წუთს», ასამართლებდნენ გლეხ-კაცობას ბატონი და მედიატორები და შეადარებს უწინდელ მსწრაფელ სამართალს ეხლანდელი კანცელიარული საქმის წარმოებასთან, მაშინ ადვილათ დაინახავს — რა ეკონომიური შედეგი წარმოსდგა ახალი სამართლისაგან. ხშირათ მოსდება ხოლმე, რომ ერთ ძროხაზედ საქმის დაწყობა და გათავება ათ ძროხათ და მეტათ უჯდება გლეხ-კაცს! რამდენჯერ უნდა გადაიდოს საქმე, რამდენჯერ უნდა მოსცდნენ მოჩივარი და მოწმები და რამდენათ ძვირათ უჯდება გლეხ-კაცობას ეს კანცელიარული «ხვალე & ზეგ», ეს დაუსრულებელი ხეტიალი სასამართლოში?! აიღეთ საქმის დაწყობა. თუ რომელიმე მუხლი თხოვნისა თუ საჩივრისა არ არის შესრულებული, საქმის წარმოება არ შეიძლება. დაიწყობა წარმოება. ამ წარმოებას დიდი თავის მტვრევა და ყაი-ყაგლახი უნდა; თუ ერთი რომელიმე მუხლი დავავიწყდა, მაშინ მთელი საქმე ჩაიფუშება. გათავდა საქმე ერთს სასამართლოში; მეორე «ინსტანციაში» გადაიქცა, მეორიდგან მესამეში. საქმეს კი დევნა უნდა. ჰომერის გმირსაც არ გამოუვლია ის წანწალი და ხეტიალი, რასაც ჩვენი გლეხ-კაცობა სასამართლოებში დახეტიალობს!... განა ჩვენმა გლეხ-კაცობამ იცოდა რამე სამთავიანი, „სამ ინსტანციანი" სამართალისა?! თუ მკითხველი არ დაივიწყებს, რომ რაც ინსტანცია ზევით სდგას, საქმის წარმოება იქ უფრო გასაჭირია გლეხ-კაცისთვის, ცხადათ დაინახავს — რა ძვირათ უჯდება გლეხ-

კაცობას ახალი სამართალი გაჭირვება თუ გააბედვინებს გლეხს საქმის დაწყობას სასამართლოში... ის ყოველთვის არჩევს, ხშირათ ამჯობინებს საქმე შინაურულათ გაუთავოს მოწინააღმდეგეს, ის თავის «ადათს» და სინიდისს მაღლა აყენებს, ის თავის მამა-პაპურ ჩვეულებას უფრო მისდევს...

ნიკო ხიზანოვი

# ႨႸႥႨႠႧႨ ႫႭႵႤႨႴႤ.

(ეპიზოდი იქსის ცხოვრებიდგან.)

აუშვიათ თავი ქალებს, გაქსუებიათ გულია:
ცოლები ქმრებს ღალატობენ, ოჯახი აკლებულია,
გაწუწკებულან როსკიპნი, საქმროებს მისდით სულია...
ამის მიზეზი თვით იქსი და მის ოსერი ივულია...
თავადები-ლაქიები, შინაური, გარეული,
რაღაც საქმეს აჩაღებენ, როგორც კარგი მზარეული,
მაჭანკლებთან დაძვრებიან. ერთ ღამისთვის ჰყავთ წვეული,
ერთის სახით, ბევრი ქალი, ჩვეული და არ ჩვეული.

---

## I

შუა ღამეა, ნელ-გრილი ღამე...
კეთილი ხალხი მისცემია ძილს...
აღარც ხმა ისმის ქუჩებზედ სადმე,
არც გამვლელი სჩანს... მხოლოდ ერთს ადგილს
გაჩაღებულა ტურიკა დარბაზში
და სანადიმო მუსიკა იკვრის...
უცქრიალებენ ლამაზ-ლამაზი
ქალები იქსსა... დარბაზში იძვრის...

შესწყვიტეს ვალსი… აქ, იქ გროვები
სპეტაკ რაზმებად მიმოსხდნენ ნელა…
ნიავობენ მარაოები,
არის ქასქასი და ერთი ხველა…
იქსიც დაღლილი მეტისა ხტუნვით,
რბილსა დივანზედ მისვენებულა;

## II

იქვე ტრაპეზი ჭრელობს გაშლილი
თვალის სამო ხელ-ჭურჭლებითა,
ფერად-ფერადის სანუკარ ტკბილით,
ნაირ-ნაირი სასმელებითა.
მსურველი ხელათ შესჭამს და დალევს,
ტოსტი მოსტები გახშირდებიან…
ვისაც რა მოსწონს, იმას მიირთმევს,
ხან ადგებიან, ხან დასხდებიან…
ვინ იპრანჭება, ვინ თავს ირიდებს,
ვინ ვერ იმშვიდებს გულისა მგერას…
საამურს რასმე უკვეთს სიმღერას…
«მზე-შინას» ჭანგზედ — ყურო დასტკბები!
— რა ტკბილათ ლექსებს ამათ მღერიან:

«რა ვარსკვლავი რა ვარსკვლავზედ ჩვენ მოგვევლინაო!!!
ღვთის-მშობელმა მოწყალებით ჩვენ გაგვიღიმაო!
იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო!!!

გაცებისგან დაჩაგრულნი ეს რა ბედს გვწიაო!?!
რა წალკოტის ყვავილი ხარ შენ მაგისთანაო?!!!
იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო!

«ეს ლატაკი ჩვენი მხარე რამ მოგაწონაო??
დიდ-ქალაქთა განცხრომანი რამ მოგაწყინაო!
თუ არ ჩვენმა სიყვარულმა, ნანავ ნანინაო!!

«უცხო ფრინველს ჩვენც პატივს გცემთ, რაც შეგვიძლიაო!

III

ის კი უსმენდა გაბუცებული...
და რა კი შესწყდა ტკბილი ორპირი,

მე ვიგემე, თქვენმან მზემან,
თქვენი სტუმართ-მოყვარება,
დღე-დღეობით, თავმან ჩემმან,
მქმნელება გაშორება...
და არც წავალ, სანამ მიძლებს
წელი, გული, ჯანი, ფული,
და, თუ საქმე შაიძულებს,
გულსვე გვაკდეთ ჩასახული.
თქვენი მიყვარს გაზრდილობა,
სინარნარე და გუნება.
არ მსურს მე უსასყიდლობა,

მოხსენდება ყველა თქვენგანს
საწადელნი ჩემის გულის,
— ეპიკურის, — ვითა მე მრწამს,
სწავლა მამა ცხონებულის...
მით ვთაკილობ უპოვარებს,
წუთის სოფლათ ბედში მყოფი,
ვსდევ სიტკბოთ წამთ საშოვარებს.
აქა ბევრი მე მინახავს
ახალ-ახალ სიამოვნე;
ვინ ოხერი ფულს დაზოგავს,
თუ კვლავ რამე მოვიგონე,
— კულტურისგან გამოგონილ
განცხრომათა გარდავბიჯო
მსურს მე დღეს და პირველ ყოველ
დროს ფურცელი ამოვგლიჯო.
აქ ცხოვრება მეხარება,
მაგრამ ზოგჯერ მომწყენია...
ისევ თქვენთან დროს ტარება
ყოვლის სხვის მომრჩენია...

IV

აქა შესწყვიტა იმან ეს სიტყვა,
ჭიქები იპყრეს შამპანურისა,
და სადღეგრძელო მსწრაფლ წარმოითქვა
მათის გაცნობის აპაურისა...
მერე წაჭამეს, მცირედი შესვეს,

ჭვალად მუზიკა... თან მოჰყვა ცეკვა...
და ამ ღრევაში ერთსა დაითრევს,
და ქალიც მარდათ იქითკენ შეჰყვა...
ბევრს შურით თვალი წამოეყარა...
ერთს ხათუნს გული აუჩუჩქდა
და, რომ ნაღველი ამოეყარა,
ჯერ მედიდურათ შეავლებს თვალსა
და მეინახეს ერთს ჰკითხავს ქალსა:
„შენ რაღა გინდა, ქალო, ამ სახლში,
ვიღაც ხელოსნის ქალს ამა ბალში!?!»
ის კი არა თუ ხელოსნის ქალი
იმაზედ უფრო იმანჭებოდა,
დიდ-კაცთ ქალების რომ იყო ცალი,
როგორღაც გული ეფხანებოდა.
მიტომაც ერთობ მან იმწვიტინა;
სხვაგან კნეინის ეხათრებოდა,
აქ მას პასუხი უსისტიკინა,
როგორიც მკითხავს ეკადრებოდა:
—„ღმერთო კი მომკალ, როგორ თუ რაღა!
მეც შენებრ არ ვარ ადამიანი?!
შენ, დედა ჩემი, ვინ გაგასაღა,
თორემ მე რათა, პირი მზიანი?!“
ჭუჭი თვარ გეწვის, რამ გათქმევინა
ეგ სიამაყე, ჩემო კნეინა!
თორემ რა ვუყოთ, მდაბიოს ქალმა
აგეთს დიდ-კაცსა პატივი დავსდო,
ხელიც მოვითბო ცოტად საწყალმა
და დიდ-კაცობა ერთი მეც ვსცადო?!

## V

ეს ისე ენას ასარსალებდა,
(ბრბოც იმათ აჰყვა აოტებული)
რომ მათ ჯერ ვერვინ დაამშვიდებდა,

## VI

ახლა კი ქალი გაანჩხლებული
შეუღაღადებს გააფთრებული:
„განა ამ მიზნით მოწვეული ვარ,
ბიაბრუ ბრბოში მეც გამაბახო?!

„ასა — ვაგლახო! ვის მკადრებ
მაგ დიდგულობას, ბაქებსა?
ისე დაგილეწ ქმაგ უბეს,
თვით მე გზიზღობდე საქებსა“!

პარდაკან.

# შემოდგომა.

შემოდგომა რომ დადგება,
ვენახს მიჰყობენ ხელსაო.—
დამწიფდა ვაზზე ყურძენი,
შეუდგებიან რთველსაო.

* * *

ღალას ამლევენ თავადებს,
მასზე მეტს მოვალესაო
და, თუ გადარჩა მცირე რამ,
იგიცა მიაქვთ სხვებსაო.

* * *

გლეხი დაჰხარის წლის ნაშრომს—
მხოლოდ ჭაჭას და თხლესაო,
მასაც ვერა ხდის არაყათ,
მისგანაც იბანს ხელსაო.

* * *

წლის სარჩოთ დაინარჩუნებს
სიმინდსა ანუ ფეტვსაო,
ამისთვის წვალობს საწყალი
წელიწად თორმეტ თვესაო!!!

ი. გლეხი.

# ႡႠႲႨ.

(მოთხრობა)

სოფელი დ., შეტი სახელი მაღლის-ხევა, რომელ წოდებასაც ვიხმარებთ ამ მოთხრობაში, ძიელ სახელ-გატეხილია ქართლში. იქაურ კაცთან რომ ახსენოთ სახელი—„ბატი", უნდა მაშინვე თავს უშველოთ, თორემ ცუდათ იქნება საქმე. ამბობენ, ვითომც ბატი ძიელ ჰყვარებოდეთ ამათ წინაპრებს.

თუმცა ასე სახელ-გატეხილია, საანდაზოთაც გამხდარა მაღლის-ხევა, მაგრამ ხალხი საკვირველი მხნე, დაუღალავია მუშაობაში; ყოველ-ნაირი ხელოსანი მოიპოვება; აქაური თიხის ჭურჭელი განთქმულია.—მაღლის ხევა მდებარეობს საკვირველათ მაღლობ ადგილზე, მაგრამ სწორეზე; ორგან არის გადაჭრილი ხევებით, რომლებშიაც ჩაფენილია სახლები. სამ-ასამდის კომლი კაცი იდგება, მოსავალი დიდი იცის, მაგრამ მიუხვედრელ ალაგას მდებარეობს და ბევრს ვერას იყენებს. სახლები მაღლი-ხევლებს მომეტებულ ნაწილათ დათვის სოროსავით მიწაში აქვთ; მანამ მგზავრი ზედ არ წაადგება, არ დაინახავს სახლებს და შუა ცეცხლის შაქრის თავივით მაღალ ერდოს, მინამ ვერ წარმოიდგენს თუ აქ ადამიანი ცხოვრობს. არსად ხე, არსად წყალი, მხოლოდ ცარიელ-ტარიელი ნაგავი, ნეხვის მთები, ბაგების შესაზიზღარი წუმპეები გეჩხირებათ აქეთ-იქიდგან თვალებში.

ამ სიბილწესთან, საშინელ უსუფთაობასთან, ძაღლის-ხევას აქვს საუცხოვო და სასიამოვნო ადგილები: შიგ სოფელში ოთხივ-კუთხივ არიან მწვანე, სავსის ფერი ბალახით შემოსილი მეიდნები, საიდგანაც სოფლის წვრილ-ფეხი საზრდოვობს; გადადგებით მაღლობზე და თქვენ თვალს წარმოუდგება დიდი ველი, მთელი ხეობა, სიგანით ოთხი ვერსი და სიგრძით რამდენიმე ოცი ვერსი ვიდრე მტკვრის პირამდე. ეს ველი თავიდგან ბოლომდინ ავსებულია ვენახებით; აქა-იქ ღელავს მრავალფოთლოვანი სიმინდი; ხედავთ კაკლის ჭალებს; ათას-ფრათ გამოიცქირება ეს ველი; ხამიან დილაზედ გადახედვა სწორედ თვალს მოსჭრის ადამიანს, ათას ნაირათ მობრჭყვიალებს დილის ნამი; სიამოვნებით გული უტოკავს კაცს, თითქო მაღლდება, აღტაცებაში მოდის, გული გასაფრენათ ემზადება; ნიავი ცელქობს, ნაზად არხევს კაკლის ხის წვერებს, რომლებზედაც შემსხდარან ფოხოლა ყვავები და ამაყად და მალხაზად, კისერგვერდზე მოქცევით, გადმოიყურებიან თავის სადგურიდგან. ამ მშვენიერს, სასიამოვნოთ ატეხილს ჭალებს, სიმინდებს, ვენახებს, შუაში ჩამოუთამაშებს მდინარე — ფრონე, რომელიც ანკარა წყალს მოათამაშებს, მოაჩხრიალებს ჭალებში; მაღლიდგან ეს მდინარე ერთ პიტალო სარკეს ჰგავს, რომელიც, როცა ეცემიან მზის სხივები, ათას-ფრად ბრჭყვიალებს და ციმციმებს; მთელი ის იმოდენა ჭალები, ვენახები შიგ გადაჰყურებენ ფრონეს, შიგ იხედებიან და ელამაზებიან თავებს როგორც კოხტა პატარძალი. ამის მნახველი უნებლიეთ იტყვის: «ოხ, რა მშვენიერი ხარ, ფრონევ, რომ ამ სიმშვენიერესთან ერთი სისაძაგლე არა გჭირდეს, ერთი ისეთი სიავაზაკე, რომლითაც შენ უხდენ გულს ძაღლისხეველებს!» ეს ჭაწაწა მდინარე უგლეჯს საწყალი გლეხის ჭალავენახებს გვერდებს და ისეც ღარიბს და ჩაგრულს გულს უწყ-

ლაჭ. არა ერთხელ დამიწყევლია მე ეს მდინარე ჩუმათ, ჩემს გულში; არა ერთხელ გამივიქრნია: «ეს უსიტყვო, უხმო საგანი თითქო ჰბაძავს, ეჯიბრება ბოროტ-მოქმედებაში, მეტყველ ცხოველებს, იმ ცხოველებს, რომლებზედაც ამბობენ, ვითომც «ხატად და მსგავსად» სრულიადის კეთილისა არიან გაჩენილნიო!

ძაღლის-ხევის ჭალები სავსეა გვრიტებით, ღუღუხა მტრედებით, კაკლები მოლაღურებით და სხვ. ჭალები შიგა-და-შიგ ვესვიანად ამოუწვავს, გაუახოებია გლეხს, ამ ხამი, ღონიერი მიწის გულში ჩაუხნევია თვისი მაცხოვნებელი სიმინდი და ღო-იო. დასამებულ ნიადაგს ამოუქანებია მსხვილ ღეროიანი სიმინდი, რომელსაც სასიამოდ გაუდის შრიალი და ღაღანი, რომელსაც აქანავებს და აცელქებს ნიავი.

დიდ-ძალი სახნავი მამული არტყია ძაღლი-ხევას; მიწა შავია, როგორც მელანი, მაგრამ ურწყავია. თუ ცა გაურისხდა და ავდარა ნამი არ მოაწოდა, შენი მტერი!—ამათი საქმე ცუდათ დატრიალდება ხოლმე: მოელით ათასი მწუხარება, ვარამი და კარს იასაული მამასახლისით გადასახადის წასართმევათ. ბევრი თავ-მომწონე შეღერებული, ულვაშ შეგინგლული ძაღლის-ხეველი რჩება ხოლმე ჯვარ-დაუწერელი. სარწყავის გლეხი ძნელათ მისცემს ძაღლიხეველს ქალს ცოლად. «გინდა შიმშილით, წყურვილით სული ამომირთვას ჩემ გომბიოსაო», ამბობს ისა.

უნდა კი გითხრათ, რომ—როგორც ზემოთაც ვსთქვით—ძაღლის-ხეველი ძალიან მშრომელია. გაზაფხულდება თუ არა ამას სახლში ვერ დაინახავს კაცი, ის ხდება ჭალა-მინდვრების შვილად: იქა სძინავს, იქ შრომობს, იქ ასველებს სისხლის ოფლით მინდვრებს და ხან იქვეც ჩავა ხოლმე სათვლავს. ხელის სისქედ აქვს მზის სიდამწვრე ხელ-პირზედ გადაკრული; ფეხების სიდამსკდრეში ხელი გამოივლება; ფეხების წელულს, მიწა-მწვა-

რას, დაშაშვრას, ქვალ-ღვალში განჭების ხვეწას, ის არ უტყდება, შეურყევლად აშურებს სამუშაოს; უშველებელი რისხვისაგან, გაუქრობელი ვაების ცეცხლისგან ჩამწვარ, ჩაფერფლილი თვალებს აცეცებს გლეხი თავის სამუშაოს იმ იმედით, რომ ამ წელში სამად მოხრუკულს შრომა დაუფასდება და შიმშილი ისეც მეხუთეულს აღარ ამოჰყუთავს.

დიახ, ბუნებამ თუ იძუნწა და დროზე არ გამოაგზავნა წვიმა და ფხვიერი, მზისგან დამწვარი, მიწა არ გაამაგრა, ცუდათ არის მაღლი-ხეველის საქმე — იმას დიდი შრომა დღიურ ლუკმას ძლივს აძლევს. იცის რა ეს, მაღლის ხეველი, რომ იტყვიან, უმღრთოდ მუშაობს. სხვათა-შორის აქ არის გავრცელებული ღამის მესრეობა.

---

## I

მაღლის-ხევა დღისით ცარიელია; მაღლიდგან კაცამდე გაზიდულია მინდვრად; სოფელი რჩება დედა-კაცებს და ამაყ მამლებს. თითქო გრძნობენო, რომ სოფელი ჩვენ დაგვრჩაო, მამლები ამპარტავნულათ დაიარებიან ბანებზე, იკრებენ გარს ცოლებს, მალ-მალ უპარტყუნებენ ფრთებს, ყივიან და არიან ერთ ვაი-უშველებელში; აქა-იქ, სიმინდის ჯიხურის ქვეშ, სხედან დედა-კაცები, გვერდს უდევთ შხვეპლი ქათმების ასაჭმევათ, თითის ტარს აპრიწიალებენ, მალ-მალ გადიყრიან უკან კავებს და ჩამოისმენ სასეფზე ხელს ხვნეშით: იჰ, გენაცვალეთ, რა ცეცხლის

კიდებაა!» მიიხედ-მოიხედავს და ისევ შეაპრიალებს თითის-ტარს.

აგერ გადიწია მზემ! დაიმრა გულის მალხინებელი, სიცხისაგან დათუთქულის გვამის გამაგრილებელი, მალამო — ნიავი; ნიავმა ყველა სულ-დგმული გააცოცხლა, გამოაფხიზლა: აი მოისმის ყრიამული ახლო-მახლო მინდვრებიდგან; ნაწყვეტ-ნაწყვეტათ გადმოაქვს ნიავს გულის საკლავი «ოროველა», რომლის გამგონე კამბეჩი ცოხვნით და კუდის კლაკვნით მიაბოტებს. ნიავმა შეუქიქინა ფრინველთ და შეუგრილა გახურებული ტანი; გაჩნდა კიჟინა, შიშინი ქვემძრომთა.

აი მზეც ჩადის, თითქოს მოსწყინდა ქვეყნის ცქერაო. აიშლება ხალხი მინდვრებიდგან; მომკალი დაასვენებს ნამგალს და ოფლის ძირში მიწვება სულის მოსაოხებლად; ყოველი სულ-დგმული ეძებს თავის ბუნაგს დასასვენებლად: ჭრჭდავთ მოდის სოფლისკენ ღორ ხარი. ხბო ფუნდრუკით, კოწიაწით; ღორი გამაძღებული და დინგ-წაშვერილი, რომ სუნი დაიცეს რისამე; ამათ უკან მოსდევენ პაწაწა მწყემსები ერთ ხელში იჭერს სახრით, მეორეში სხარტით, ამ ჩიტების მტერი სასროლი ჯოხით; ზურგს ჰკიდიათ ხბოს გუდები, რომლებშიაც სრაგა-ხრუგი გაუდით მონარჩენი პურის ნასხორხლებს; ტანთ აცვიათ ალაგ-ალაგ ამოფლეთილი ჩოხები. ზოგს, ვინც ყოჩაღათ მოქცეულა და სხარტში სიმარდე გამოუჩენია, მოაქვს სახლში ღამის სამყოფი ულუფა — დახოცილი ჩიტები, დაპტყვნილ-გამოწლეულები. პროწიალობენ პაწია მწყემსები, სხარტებს შინჯავენ და შეჭკვესიან ერთმანეთს.

— ქიტიავ, ჭაი ქიტიავ! მაჩვე ე შენი სხარტი. უჭ! რა მარჯვეა, გენაცვა დედავ! რისაა, ბიჭო? სად მოგიჭრია, ჭა? უთხრა პალემ ქიტიასა და ზედ დააცქერა სხარტს თვალები.

— შვინდისაა, ბიჭო! ბატონიანთ წვრიმალაში მოვჭერ, მიუ-

გო ქიტიამ. ეს დალოცვილი, ბიჭო, არ დასცდება; შიგ ფერთაში გავადენ ხოლმე ლაწანსა.

— ჩემი კი ურიგოა თუ? აი რამდენი დამიხოცია, ნახე ჭდეი! თავ-მოწონებით უთხრა პალელამ.

— წადი ერთი, შვილოსა, ივანია შენი სხარტი. მაგასა, ჩემო ძმაო, ე ხრასნილი შორი-შორს აქვს, კიდევა ივანი ხელში იტუშებს, ზნექა იცის; აი ჩემ შვინდის სხარტს ახლო-ახლო აქვს ხრახნილი და ისე გატყვრება ხოლმე, როგორც თოფვი ტყვია. პალელამ ვეღარა სთქვა რა, გადაატრიალ-გადმოატრიალა თავისი სხარტი; გულში ქტუობოდა ქიტიას სხარტი დაამჯობინა, და ხმა-ამოუღებლივ ჩამოვიდა სოფელში. ქიტიამ კი გადიკლაკნა თავისი სხარტი კისერზე, გაიწყო ზედ ხელები, ამოუშვა ზუზუნი, ვითომ და მღერის, და ჩანჩალით ჩამოუძღვა ღორ-ხბოს სოფელში.

აი ხედავთ, მოდის მსხვილ-რქიანი საქონელი, მოზდევენ მოზდილი მწყემსები, რადგან ამათ უფრო დიდი შეკავება უნდათ მინდორში, რომ არა წაასხდინონ. წინ ნახირს მოუხტიან ფუნდრუკით ბოჩოლები, მობღავიან ძროხები, რომლითაც ისინი სთქვამენ თავიანთ მშობლიურ სიყვარულს; უკან ხარ-კამეჩობა მოიზლაზნება და კუდით მოერეკება მოუსვენარ, ცელქ ქინქლაებს. აქეთ-იქიდგან მოდიან გუთნის მეხრეები მხარზედ გადაკიდებული გუთნის ღვედით, ხელში განუშორებელი მოქნილი სახრით, ტანისამოს შემოცვეთილი: პაიჭები ქვალ-უკალში და ჭალებში საქონლის ტარებით შემოციცქნილი; ალაგ-ალაგ კანჭებზე წითელი ხაზი აქვთ გავლებული. ეს უთუოდ კვლის ნიშანი და უნარია: გავლის დროს ამ დაუნდობელს თავისი დადი დაუსვამს, თითქოს სურვებია ყოველ შემთხვევაში მოაგონოს, რომ ის მისი ყურ-მოჭრილი ყმაა; ქუდები ამოცვეთილი, რომ-

ლებშიაც ბღუჯ-ბღუჯათ ამოჩრილის თმა; ჩოხაზედ ჩამოკიდე-ბულს ნაფლეთებს გაუდისთ ფარფარი. ერთი სიტყვით, შეხედუ-ლობა ამ მწყემსებისა მაშინვე წარმოგიდგენსთ, რითიც ჯილ-დოვდება ამათი დაუცხრომელი შრომა და ოფლის წურვა, და აღგიძრავსთ სიყვარულს ამ პატიოსანი მშრომლებისადმი.

მოლაპარაკობენ ხელში ჩუკებით და მოეშურებიან სახლის-კენ გუთნის დედებიც. მაგრამ სად არიან, რატომ არ ჩანან ღამის მეხრეები? რატომ ისინი კი არ მიეშურებიან სახლისკენ? იმათ სოფლად ჭერი არ აქვთ; იმათ ჭერს შეადგენენ: მაღლა ცა, ძირს დედა-მიწა; მათს სიამოვნებას — მინდორი, ტყე, ღრე და ჭალა.

## II

დაღამდა. ნელ-ნელა იკლო სალხის ხმაურობამ; აქა-იქ მო-ისმოდა მქრალი და მკრთალი ბლავილი გადასხლეტილი ძრო-ხისა; ისევ ბინდ-ბუნდში მიეყარა საძილედ დაღალულ-დაქანცუ-ლი ხალხი. პატარა ხანს მთელი სოფელი მოიცვა მკვდრის ძილმა; ჩამოვარდა გულ-შესაღონებელი სიჩუმე; ისე მიწყნარდა, ისე გაინაბა, გაიკმინდა ყოველისფერი, სულიერი და უსულო-არსება, თითქოს ძარღვის ცემა შესწყდომიათო, თითქოს ცხო-ველი არსება გამწყვდარაო. «ერთი ჭირი ძილი წყალსაც მოუვაო», ნათქვამია. სწორედ ყველას ჩაეძინა ერთი ჭირი დაისხვე, მხოლოდ ერთგული ძაღლი, ეს ერთგული ყარაული სოფლისა, არა მდუმარებდა: ხამუშ-სამუშ წამოიყეფებდა, წამოიწავწკავებდა; ხანდის-ხან კი ხშირ-ხშირათ წაუყეფდა. ეს ნადირის ყეფვაა, უთუოდ მგელი შემოეპარა ყარაულებს. ძაღლის ყეფას ხანდაზმით

ბანს აძლევდა ციხის ჭოტი, რომელიც გულის საკვნესად, მკა-ფიოდ გამოიძახოდა: «ჭოტ! ჭოტსა!» მშიშარა კაცისთვის. რო-მელსაც ძილი უტყდება, ეს ხმა ჭოტისა სწორედ შიშის ზა-რის დამცემია; გულს უღონებს კაცს ის გაგძელებული, გაუთა-ვებელი ძახილი ჭოტისა: თითქო რაღასაც მწუხარეს ჩაჰკვნესის კაცის გულს, ამიტომაც ჭოტის ძახილთან ჩვენი ხალხისგან შე-ერთებულია ათ-ას ნაირი წარმოდგენები. ხმაურობაში, დღი-სით, ჭოტის ხმას გავლენა არა აქვს კაცის გონებაზე; მაგრამ, ღამე, სიჩუმეში, საშინელ მდუმარებაში, ის ხმა სწორედ ელდას აპობს, არღვევს ამ სიჩუმეს და კაცს სწორედ ისარივით ხვდება გულში.

არ სძინავს ამ ღამეს მხოლოდ ერთ ოჯახს. ცოლ-ქმარნი სხედან თავის კარებთან ძარ ქვეშ; გვერდით მოწოლილია სარ-თუმალზე ესე თორთმეტ-თოთხმეტის წლის ვაჟი; ბავიდგან სა-ურდულესთან მომჯდარა ახალ-გაზრდა, მოწიფული ქალი, თოთხ-მეტ-თუთხმეტი წლისა, რომელიც გულის-ძგერით, მაგრამ სულ განაბული, თითქოს უნდაო ამითი გულის ბაგა-ბუგი არ გაუგონო, უგდებდა ყურს ძარ-ქვეშ მსხდომ დედ-მამას.

— არა, მეთქი, დედა-კაცო! სუ ხარ ე ჯიუტი; იყოს მარ-ტო ხელი რა!

— მარტო ხელს ჩემ გოგოს ვერ გადაუგდებ, ვერ შეიტყე? ცათა და ქვეყანასა შუა ე ორი ბაშვი გამაჩნია, მე მინდა, რომ კაი ყოფაში შევავდნენ მარტო ხელ ოჯახში რათ ჩავაგდებ ჩემ თამროს, ენაცვალოს დედა იმასა! მე შენ გითხრა, სილამაზე არ ვინ დაუწუნოს. თურაშაული ვაშლივითა აქვს დაწრაწული ღოყები...

— ქალი ქებით გათხოვდებაო და პატარძალი ვის უნახავს რიგიანიო; ამისი არ იყოს, ჩემო ცოლო, მართალია, ჩვენ

თამროს არავინ დაერიდება, კაი გოგონაა; შვილი ჩემია და არ ვიცი რაც არი. ე რო დიდ ოჯახში ჩავარდეს თავს ვერ გაი-ტანს, მურუზობაში სულს ამოართმევენ; რძლები, მაზლი-ცო-ლეები კვირტს არ გაუზრდიან. მარტო-ხელა ოჯახში კი თავისუ-ფალი იქნება, როგორც უნდა, ისე თავის ნებაზე დაასწყობს საქ-მეს. მერე ისეთი კაი სადედამთილო დედა კაცია ნენე რო...

— მე არა ვიცი რა, აქეთ-იქით ნათრევ ნაწოწის შვილს ქალს არ მივცემ, არა!

— დედა-კაცო, დაასნება ღუგმას თავი ქმარმა, ცეცოს არ მისცემ შენ ქალსა, ჰა? ცეცოსა?... რა გელაპარაკო, დედა-კაცს რო ჭკუა ჰქონდეს, რა უჭირს.

— რა არი ე შენი ცეცო გოდერძიშვილი, ღამის მეხრეა, სხვა ხომ არაფერი?!

ჰოდა, კიდევ ეგ არის, რომ ღამის მეხრეა. ამოდენა ხანია, რაც მე გუთანს მივდევ, არ მომიშორებია ეგ ღამის მეხრეთ, ერთი წყენა არ მამაგონდება; საქონელი, გუთნეული ისე ებრა-ლება, როგორც თავის-თავი. იმოდენა ანიული ისე გაივლის ხოლმე, რომ გუთნეულს არ შეეტყობა: ბმულა თუ არა გუთან-ში: ეს შემოდგომურები დავიწყეთ და სუ ბურთივით დარგვა-ლებულები მოუდის საქონელი, ისე დაამძღობს ხომე. ახლა ნახე რა დღიურს გადავაბრუნებთ ხოლმე? რათა? რათა და იმათა, რო ღონიერი საქონელი გვიბია გუთანში, და, რო ღონიერი გვიბია, ეს სუ ი შობილ განათლებული ცეცოს უსარია. ბიჭია მეთქი, რო სუ ოქროა, ოქრო! მაგის მომდურავი კაცი ამ ხე-ობაში არ მოიპოვება; ამოდენის ხანია ღამი-მეხრეობს და ერთ-ხელ ხარი არ შეჭპარვია სხვის ნათესში. ამიტომაც ახლა, ე შემოდგომურს რო ვეპირებოდით, გუთნის დედებს ცილობა ჰქონ-დათ: არა ჩემთან უნდა დაუჯდეს, არა ჩემთანაო. აი შენ იმ

ჯვისურს სიმინდით რო აქვს გასილავებული! ურიგოა არა, შენს თამროს გულს მოსახმარავს.

თამროს გულის-ცემამ მოუმატა, მამის ლაპარაკი მოეწონა, ამას თვალი ეჭირა კოსტა ბიჭ—ცეცოზე; გული ისე აუტოკდა, ყელში მოაწვდა, რომ თამროს უნებურად წამოახველა; ტანში დააზმორა და ხელების მტვრევა და ტკაცუნი დააწყებინა. წამოხველებას დედამ ყური მოჰკრა და დაბლის ხმით უთხრა თავის ქმარს:

— კაცო, დაბლა ილაპარაკე: ე გოგოს არა სძინავს, გაიგონებს; გულში არ ჩაუვარდეს, ცოდვაა!

— ერთი ანდაზაა: «ტერ-ტერ, ცოლსა გრთავენო», უთხრეს ქვრივ ტერტერას, იმან გაიცინა და უთხრა: «ჭიმიპიტიო, მეც ეგ მინდაო». იმისი არ იყოს, მაგასაც ეგ უნდა, შენ რა იცი რო ჩაგას თვალი არ უჭირავს ცეცოზე. რას იტყვი, ქა, შენა, შვილო თამრო! დაუძახა ქალსა.

თამროს ყრუასტელმა გაურბინა ტანში, თმა შალა აუვიდა, ღოყები აეტკიცა, ყურებში ცეცხლის ალი გამოსტყხდა და გულმა ისეთ ნაირათ დაუწყო ძაგძაგი, რომ რომ არ ჩამკვდარიყო, წაიბარბაცებდა მთვრალსავით და შერცხვებოდა დედმამასთან. ამან მხოლოდ წაიბუტბუტა მამის სიტყვების პასუხად.

— იჰ, ნეტავი შენსაცა! მე ქმარს არ ვირთავ.

— მაგის მეტი რა გეთქმის, რა…

— ნეტა, ადამიანო, არ ატყდებოდე ხოლმე, რა შენი ტოლია, რო ელაპარაკები ან რა მაგისი საქმეა საქმროს ამორჩევა,

ასე ბაასობდნენ ცოლ-ქმარნი ვახშმობის დროს თავის საყვარელი ქალის თამროს ყისმათზე. ეს გუთნის-დედა. ზალიკა ასალ.კაცი თავისთავის კარგად იყო; კაი ხანია ორმოში ძველი პური არ გამოლევია, ღვინის ცვარსაც წლითი-წლობამდე არ

გამოიღებდა. ამას სოფელში შეძლებული კაცის სახელი ჰქონდ დავარდნილი, ლიტრიახებში ჰყავნდათ ჩაწერილი.

იმ ღამესვე, თუმცა ცოლი ძიელ უარზე იყო, გადასწყვიტეს, რომ თავისი საყვარელი ქალი იმ ნაქებ ღამის მეხრეს მისცენ; ახსენეს ღმერთი და მისდეს თავი სართუმალზე. ის-ის იყო შევიდნენ ბურანში, რომ უცბათ ამოვარდნილმა ქარმა მოიხალა ყურში ნაწყვეტ-ნაწყვეტად სიმღერის ხმა. მომღერალი გასაოცარი სუფთა ხმით იძახის სიმღერას, არაკრაკებს ხმას, სასიამოვნოთ გადადის ერთი ხმიდგან მეორესთან. პირველმა მომღერალმა შემოსძახა:

«ა ქალო, ვაშლო, რა ვაშლი!
უბეს ნადები ნასეტყვი;
ამალამ შენთან წამოვალ;
გულის ჭირიმე, რას მეტყვი?!»

მეორემ:

«წუთი სოფელმა დღე ჩვენი ძიმწარე დაგვალევინა,
არც მოგვკლა, არც დაგვარჩინა, არც დღენი დაგვალევინა».

ისევ პირველმა მისძახა:

«ტორღუას მაინც არ მოვკლავ, რაც უნდა იყოს წამალი,
საწყალი ღამი-მეხრისთვის ის არის კარგი წამალი». და სხ.

ამ ნაირის სიმღერებით და ლექსებით ჩაიარეს ბუთნეულით ორმა ღამის მეხრემ; პირველი რო დაათავებდა ლექსსა და

პირველ ხმასა, ზედ დასჭყივლებდა: «ჰა, ბიჭო, პაკო, გენაცვა!» როგორც ზემოთაც ვსთქვით, ამ სიმღერის ხმამ გამოაღვიძა ახლად ბურანში შესული ზალიკა ახალ-კაცი.

— ჰეი! დედა, დედა! რომ არ შეიძლება ამ გვარი ადამიანი შვილი, როგორიც ე ცეცოა?! ვერა სულ-დგმული ვერ აასწრობს მაგ ბიჭსა, ვერა. ღმერთო, სად უდგა სული? დუნიაზე არ იქნება, რა საჭაროა, დუნიაზე, მაგი ბადალი ლამი-მეხრე, სთქვა სიმღერით გამოღვიძებულმა ზალიკამ, მწოლარემ ბაკის კარებეში, და ჩემი ცოლი კი ჩამცივებოდა, იმას როგორ მივცემ ქალსაო.

— არი და სოდაბუნებიც მაგას უხაროდეს, მთქნარებით, გამოურკვეველათ წამოროშა ცოლმა.

— კიდეც ჭრის ე ჩემი ცოლი და კიდეც ჰკერავს: წელან რას ამბობდა და ეხლა რას ამბობს... ღმერთმა მოახმაროს და შეარგოს ი სოდაბუნები, როგორც თავის დედის ალაპი მუმუ! აი ნეტავი არ იქნება ე ჩემი ზაქარაც მაგითანა მხნე და მარჯვე ბიჭი გამოვიდეს?! ნეტა მაგი დედი მუმუს, რო მაგითანა ბიჭი გამოზარდა...

აქ იცვალა გვერდი და ცხვირი ბაკის კარს მიაბჯინა.

## III

ცეცო გოდერძიშვილი იყო ობოლი ბიჭი, „საბრალო ნენეს შვილი“, ასე ეძახდნენ მაღლის-ხეველები. ამისი მამა გიორგი ჯერ ისევ სიჯიელეში, ზამთარში ხეს დეეტანა ბატონიანთ ტყეში; ზოგი ამბობდა, რომ თავ-დაღმართზე მარხილი დაექანდა, ქვეშ მოჰყვა და გაიტანაო. მაგრამ ცეცოსთვის ორივ ერთი

იყო; ქ მამა კი მოუკვდა, დარჩა ობლად, და როგორც უნდა მომკვდარიყო, ცეცო «საბრალო ნენეს ერთი წლისა დარჩომიყო. ამაზე უფროსებიც თურმე ჰყვანდნენ ნენეს, მაგრამ ღმერთმა არ მისცა. დაღონდა და დაძმარდა ნენე: დარჩა მარტოდ-მარტო გამომწყვდეული ოთხ კედელ-შუა, უარარაოთ, უდუკმა-პუროთ — ერთი წლის შვილით. თითონ ჯასნა გაკარდნიყო, რაც უნდა მოსვლიყო, მაგრამ რა ექმნა ბავშვისთვის. მეტი ღონე არ ჰქონდა ნენეს — უნდა დღიურათ ემუშავნა, ეგლახავნა და ისე დაერჩინა თავიც და შვილიც. «გავალ, მივდგებ-მოვდგები, ქვეყანა განიერია». ითქვა, გათავდა.

პატარა ცეცო აკვანში ჩაკრული იწვა ხოლმე დერეფანში, როცა დედა მეზობლიანთებში მიდიოდა სამუშაოდ, მხოლოდ ხანდისხან დახედავდა იმას. მაგრამ ბევრჯერ მთელი დღით უსსავლნია ლექსას — ნათლობის სახელი ცეცოსი — უძუძურად; ბევრჯელ, თურმე გადარჩა, რომ აკვანში არ ამოსჭამეს საბრალო ცეცო ღორებმა. მაგრამ მეზობლები იტყვიან ხოლმე, ცეცოს ნენეს სიალალ-მართლემ უშველაო. აბა, რა დარჩენოდა ნენეს თავის ცეცოთი, რომ მარტო არ დაეტოვებინა? ზაფხულობით ნენე თითქმის ყოველ-დღე შეძლებულ გლეხებთან მიდიოდა მუშათ: ქერის საგლეჯათ, სიმინდის სარჩევად, ლობიოს საგლეჯათ, ბოსტნის გასამარგლად, ხან თავისთვის თავ-თავის მოსაგროვებლად დადიოდა. როგორც ყოველ საქმეში, ისე აქაც, სამუშაოში, დედა-კაცს მამა-კაცზე ერთი-ორათ ნაკლები სამუშაო ფასი ეძლევა: სამი შაურიდგან ექვს შაურამდის. თუმცა ძალიან მხნე მუშა იყო ნენე, ვაჟ-კაცივით ირჯებოდა, მაგრამ ექვს შაურს არ აცილებდნენ. ზამთრობით კი პურის მცხობლობდა; ამასობაში ცეცოც წამოეზარდა; ახლა თან დაჰყვა შვილი და ამიტომ უფრო უმატა მუშაობას. ბოლოს იმისმა ბედმა ისე იმუშავა, რომ მღვდლიანთ მოჯამაგირე დე-

და-კაცათ დაიჭირეს იმ პირობით, რომ ბაშვიც თან ჰყოლიყო. დაჰკეტა ნენემ თავის ოთახის კარები, მაგრამ ცეცხლი კი არ გაუქრია: კვირაში ორჯელ-სამჯერ მაინც შევიდოდა ბოსელში და ბუსარში მიაჩუვლებდა ცეცხლს, რომ ბოლი ასულიყო და ქვეყანას ეთქვა, რომ იმის სახლში ჯერ ცეცხლი არ გამქრალა.

რის ვაინაჩრობით გამოჰკვება, გამოაჩოჩა ერთათ-ერთი შვილი, გაამეხრევა. ცეცომ დაიწყო ახლო ჭალაში სიარული, ყოველ-დღე თითო გუდურა შეშა-ფიჩხა მოჰქონდა; წყალს ეზი-დებოდა, მერე დღისი მეხრეობა დაიწყო; დედა ცალკე მუშაობ-და; იშოვეს დაუყვედრელი ლუკმა.

სიღარიბემ, სიმარტო-ხელით გამოზრდამ თავისი დაღი დაასვა ცეცოს: ის იყო განტი, ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან, სხარტი ბიჭი; იმის გამხმარ, მაგრამ სუფთა სახეს სიყვითლის ფერი დასცემდა. შავი თვალები, ზედ გადმოხურულის გრძელი წამწამებით, შავი, გადაბმული წარბი და ფართო შუბლი, შემუ-რული და შეღანძული მზისა და ქარისაგან, გადმოსცქეროდნენ მის ცოტად კისანს ცხვირს. ზემო ტუჩს უმშვენებდნენ ახლად აკოკრებული ულვაშები. ლაპარაკში ეს ტუჩი იმას მალი-მალ შე-უთრთოლდებოდა, სახეც თითქოს ეკალს აუშვებდა, როცა არ მოეწონებოდა რამე ლაპარაკში. ეს იყო ბეჭედი იმის ნაილა-ჯობით გამოკვებისა. გულ-ღვიძლი დაუთუთქა, ნაღველა გაუსივა დედის ცქერამ, მისმა ტანჯვამ არსებითი ლუკმისათვის, რომ-ლისთვისაც ის პირუტყვსავით მუშაობდა. სიძულვილს ხალხი-სადმი ის სახის თრთოლვით ჰხატავდა.

ეს ცეცო იყო, რომ დასჭყიოდა სიმღერაში ამხანაგს. ამ-ხანაგი იყო პაკო კასნიაშვილი, ესეც ღამის მეხრე იმავე გუთ-ნეულისა. აი ამ ორმა ღამურა, ჩაუქმა ბიჭებმა, ნაბდის ქუდი-

ბით და რუსული ნამჯით ჩამოიარეს ხევში, სოფელ სოფელ, სიმღერით.

## IV

— ჩუ!... ის ოხერი ჭოტი იძახის ციხის უბანში; დასწყევლოს ღმერთმა, კაცო, რას ჩაასცივდა მაგ უბანსა, ჰა? მინამ არ გაალაგებს სულა კი არ მოეშვება თურმე; ჩამომტერება თურმე იცის... ი საწყალი კვირიკაანი სუ ერთიან ამოწყვიტა, ახლა უგრესელაანთ მიჰყო ხელი, სთქვა პაკომ.

— მა სად წავიდეს, მერე? მაგისი ადგილი ციხეა; დღე ვერასა ჰხედავს და ღამე მხიარულობს, მაგისი სიმღერა ეგ არის და რა ქნას, უთხრა ცეცომ.

— არა, კაცო! იტყვიან, რომაო, რომელ უბანსაც ჩაასცივდებაო, რომელი სახლისკენაც გადიკივლებს ეგ ბაიყუში ჭოტი, იმ სახლში, ან უბანში, უთუოდ მოკვდება ვინმეო. მართალი არ არი, მერე? ე შუა ციხის უბანი სუ გაჩანაგდა, შვილოსა!

— ჰო, მამა ჩემიც მაგან არ მოჰკლა, დიახ!! რას ამბობ, კაცო, სიკვდილი სო წერაა: რაც შუბლზედ აწერია, იმას ვერ წაუვა. მამა-ჩემს ეწერა შუბლზედ, რო ხემ უნდა დაიტანოსო და დაიტანა... აი მთელი ელიის უბანი ამოწყდა და აიყარა, მაგრამ იქ ჭოტს კი არ უძახნია.

— მა რათ ამბობენ, მერე?

— რა ვიცი!

ერთს სწამდა, რომ ჭოტის ძახილი კაცს მოჰკლავს, მეორეს არა სჯეროდა, არა სწამდა. რათა სწამდა ერთს და რათ

არა სწამდა მყორკს—ეს არც ერთმა არ იცოდა და არც შედი-ოდნენ იმის გამოძიებაში.

— რას იტყვი, ცეცო! ე გუთნეული სად სჯობს, რო მივ-რეკოთ. პაატიანთ სააგურის ჭალაში ეხლა ბალახი გაჩნდებოდა. ძაან სბო-შუბლა არ იყო იმ დღეს იქა! უთხრა პაკომ.

— ამოვიდოდა, მაგრამ, კაცო, მოთელილ ბალახს ისე გუ-ლიანად ვერა სჭამს საქონელი, როგორც ახალსა. აბა, შენ თი-თონ დაფიქრდი; კაი ლობიოს ჯამი მიაგდე, ვსთქვათ, ფერდ-საც მოსვდა ლაზათიანად, მაგრამ კიდენ... ვალალას გაყრის მუცელი; ახლა, როგორა ხარ ერთ ჯამ მაწონზე? ლობიოს მიიმატებ, თუ მაწონს ირჩევ?

— ჭაი, ჭაი! გაგიხარიან, რო მე იმას დავაცხრე. მაგრამ... ეჰ, შენ, ძმაო, რაც გინდა თქვი, ლობიოთანა ჩვენი კაცითვინ არა არის რა; როგორც ის ამოყორავს მუცელს, ისე სხვა არ გაგონილა.

— საქმე შერგებაზეა, შერგეხაზე!... ჭო, შენ დარდი ნუ გაქვს; ცეცო მოგიკვდეს, ცეცო, თუ ემ დრამში საჩალეთის თავში არ დავბადო ე გუთნეული. გუშინ ლაშიდგან გადმოვიარე, უკეთესი კაცის თვალს არა ენახვება რა: ასეთი ლიჭა და თურწა ბალა-ხია ი კორდიანზე, სიმინდის თავში, ჭალიანში, როგორც აბრე-შუმი; სულ შრიალი გაუდის.

— თუ ლაშელებს არ მიუჩქეკიათ კიდევ კარგი. ი ოჯახს და-ქცეულები, ი ლაშელი ლამის მეხრეები თავიდგან ბოლომდე სუ შფოთები არიან. შარშან მარმარა ღელეში კინაღამ მისა არ მო-მიკლეს! სთქვა პაკომ და აგრძნობინა ცეცოს, რომ ხათაბალას არ შეკვემთსვეთო, რადგან ხშირად მოხდებოდა ხოლმე ლამის-მეხრეებში შეტაკება საძოვარის გამო.

— ჯერ ერთი ესა, რომ ჩვენზე ადრე ისინი ვერ გარეკენ;

მეორე ესა, მიხა, ჩემო ძმია, სისხლი-გულდა კაცია. აბა, კარგია რო თავი ზედ დააჩეჩქვს კობლებითა? რო მომკვდარიყო, იმის ორ ბაღანას უნდა წიწილებივით ეწივ-წივნათ აქა-იქა...

ამ დროს მოისმა ლაწუნი და შეაწყვეტინა ცეცოს ლაპარაკი. ამათი გზა ორღობეში გადიოდა, ვენახებს შუა; ლაწუნის შემდეგ ვენახის ღობეში ჩხარი-ჩხური დაიწყო. პავლო შედგა, ცეცომ მოხედა გვერდზე და აგრძნობინა ამხანაგს, რომ უბრალო ლაწუნმა როგორ შეაშინათ.

— ეს უთუოთ ვენახში ხილს ქურდობს მგზავრი. ამ ორღობეს ხო არ ასცდება ოსი, სთქვა პავლომ.

— არა, ეს სულ სხვა-ნაირი ხმაა, ეგრე ხანგრძლივათ ქურდო როდი დაალაწუნებს.

— რას ამბობ, კაცო! ეხლა ისევ დაისია, შეხედე ი კასკვლავსა: ჯერ არ ჩასულა. ამ დროს მოისმა კიდევ ლაწი-ლუწი, გლიჯინი სხვა ალაგას,

— იი, შენი კამჩენი კი დაიქცეს! ეს ხომ ი წუწკი ხარი იქნება, ი ხათაანთ წიქარაა... ჩოჰვეოოო, წიქარა! აჰაი! შეჰკივლა ცეცომ და ხარმა დამფთხალი ირემივით ბრაგვანი გადმოიტანა ღობიდგან. ე ჯულ-ძაღლი, განა არა, სუ მაგონდება ხოლმე, რო ეგ წინ არ გაუშვა, ე კამბეჩებთან ვატარო, მაგრამ სუ გულიდგან გადამივარდა. ერთი წაუარო და შემოვიტრიალო, აი სიმინდებში არსად შემეპაროს.

ცეცომ შემოიტრიალა წუწკი წიქარა. ისე ჰყავდა დაწვრთნილი ხარები, რომ ერთი დაძახება და იმათი გაჩერება ერთი იყო. ამასობაში გუთნეული გავიდა ფრონის პირზე, რიყეზე. ღამე იყო უმთვარო, ბნელი. სიბნელე უფრო გააძლიერა დასავლეთიდგან ამომავალმა შავმა ღრუბლებმა. ნიავმაც წამოუბერა; მტვერი პროწიალ-პროწიალით გააქანა.

— არ იქნა, შენიჭირიმე, სთქვა ცეცომ, ეს წვიმის ნიშანია. კაი ხანია არა ყოფილა და უთუოდ, შენმა მზემ, თქეში ან სეტყვა გატყვრება. ე ძაღლიც რო ფეხსებიდგან არა გვშორდება და იბუზება, ეტყობა კოჭებში, რო ამაღამ ლაზათიანად დაგვალბობს.

— პირველი არ არის და მეორე ჩვენი დალბობა. ნეტავი ერთი ნამი გაჩნდეს შენი დღეგრძელობითა, თორემ... ი დალოცვილი, რა არი და! სუ ლალანს არ დააწყებინებს ხოლმე ბალახ-ბულახსა!

— შენმა მზემ, რომ სწორეთ ლაზათიანი შხაპუნა წვიმა მოვა. დახე, წინწკალიც წამოვიდა... ჭეი! დახე და, რა შავი ღრუბელი ამოვიდა ი საციცინოსკენა. ეგ ჩვენი საავდროა აი! მთაგორასავით არ წამომდგარა ი დალოცვილი ღრუბელი!

— ე დალოცვილი სადა ჩნდება მაგოდენათ? ნეტა კი მანახვა და? აბა ეგ იქნება კაი სანახავი აი, სთქვა პაკომ და შეუბრუნდა ღრუბელს.

— ღრუბლის ნაგლეჯი არ გინახავს შენა, პაკო? ისეა, ბიჭო, დასვრეტილი, როგორც კაი ცხავი; იქიდგან ჩამოდის წვიმაი...

— ჭეიი! აი დიდება შენთვის ღმერთო! რამდენი რამეა, რო ჩვენ არ ვიცით; ე რაღა მოსაგონებელი იყო?

— მა ხო უწვიმოთ დავიწოდით. ცეცხლი ჩამოვარდას რო იტყვიან, ის არი აი უწვიმობა. დედა-მიწა სუ პირს დააღებს ხოლმე, თითქო მოშიას დასცხომიაო... იცი? დედა-ჩემი იტყვის ხოლმე, რომაო ერთ წელიწადს ერთი ცეცხლის კიდება გოლვა იყოვო, რო სუ დაიდაგა ქვეყანაო, დედა-მიწამ ისე დააღო პირიო, რო კამეჩებს ფეხი უვარდებოდათო. ატყდნენ თურმე ი სალავათმაღლი მკითხავები, რო ეს ჩვენი ცოდვის კითხვაო, მეორეთ მოსვლააო; ხალხს საფლავებს ვიღა გაუთხრისო და ამაში ჩავცვი-

ვიანო. თურმე ჩვენმა მოძღვარმა, აი მე რო ვებარე ხოლმე, იმანაც ჯვარით და სახარებით შემოუარა... მერე თურმე საიდღანაც, ისე ანაზდათ, გაჩნდა წვიმა და სუ კოკა-პირულათ ასხა, და, მე შენ მოგახსენო, თურმე ბიბინი შეაქნევინა მთა-ველსა...

ამ დროს დაიჭექა ერთი საზარლად და შეიკლაკნა ელვა გველსავით დასავლეთისკენ. ღამის მეხრეებმა პირ-ჯვარი დაიწერეს. წამოუბერა ქარმა და დაატრიალა გოლვის სუნი. გოლვის, მყრალი და აშმორებული წყლის და გამხმარი ბალახის სუნები, ერთად შეერთებულნი, უღიტინებდნენ ცხვირს და უნებურად აივხლეკინებდნენ: სუნთქვა გაძნელდა, ჭაერი დამძიმდა. ქარის უცბათ წამობერვამ და გრიალმა მკვირცხლი, მიფრთხალი და მხდალი მტრედები შამი-შუმში მოიყვანა: კაკლის ხეებზე ფრთებს ფისტონივით გაუდიოდათ ტკაცი-ტკუცი. ამ სულ-დგმულის მოძრაობამ რაღაც სიამოვნების და ნუგეშინის გრძნობა აღძრა ღამი-მეხრეებში. ერთგული მურა შედგა ამ ტკაცუნზე და კუდ-გაბზიკინებული გაშტერებით შესცქეროდა ხეებს და თან მუნჯათ იღრინებოდა. ჩაინაცვლეს მტრედებმა კაკლის დაბლა ტოტებში, ამოუშვეს კრუტუნ-ღრუტუნი, ძილ-მორეულ ბაშვივით და მიეცნენ ძილს და განსვენებას.

ღრუბელი თან-და-თან ასოიმართა, დაჭიქარა მთელი ცას-ქვეშეთი; იმის შავი, ღვიძლი ფერი ამბობდა, რომ ძალიან დატიკნილი იყო ნამებით ქვეყნის მოსაპკურებლათ. ცეცო მალი-მალ ჩაქუქდებოდა და გახედავდა ბილიკას, რომ გზა არ შეშლიყო. ელვაც ძალიან შველიდა იმათ მგზავრობას: როგორც კვესი აბედზე, ისე დაბდღვრიალებდენ ჭექის შემდეგ ელვის ნაპერწკლები ჭალაში და ცეცო ერთი თვალის დაკვრით იგებდა, საით უნდა დაეჭირა საჩალეთის გზა. პაკოს კი ისე აზრი სტანჯავდა, თუ სად ჩნდება ეს ამდენი ღრუბელი.

— სად არის, ბიჭო, ეს ამოდენერთა ღრუბელი, ჰა ე? ეს არი კაცო, გასაოცარი, რო თუ არი ღრუბელი მზსათა, რატო მა-ლი-მალ არ მოვა ხოლმე წვიმა. ვაი ჩვენი ბრალი! ჩვენ გაჩენაში ღმერთი არ უნდა ერიოს, არა! ი დალოცვილმა გამოგზავნოს ხომე, რა სარჯი გასდის... ესე მაინც იყოს, კაცო, დებუჯდობა, რო, რა არი... ი როცა გოლვაა, მაშინ ხარჯი არ იყოს. თუ არა და, ყველა მაშინ გახელდება ხომე: ერიც და მღვდელიცა. არა, ეს მითხარი შენა, რომა მე ვარ მღვდელი და ე ჩვენი მღვდელი კი გლეხ-კაცათაა, ან ი პრისტავი, მათრახის შლაპა-შლუპით რო ჰკრეფავს ხომე ნედოკებსა, — რო მივიდე იმათთან, იაშესათ, ჰა? შენა გკითხავ, ცეცო!

— აი, ღვთის წყალობა გაქვს, მე იმათ შლაპუნი აუტეხო გვერდებში, სთქვა ცეცომ ხმის თრთოლვით. მათრახი კი არა, კაი საკამბეჩო იცვნას სახრე და იმათი ჯანი, რომ საცა მოხვდეთ სუ ძვალამდი დაალურჯოს. მაგრამ... ეეჰ, ჩემო პაკო! მაგას ჩვენ ვინ გვადირსებს. და ვერც იქმ შენ და მე, ჩემო ძმაო, აგრე უღმერთობასა, რო გავიგებ ხოლმე, ზიარები მადლმა, სუ გული ამოდუღდება და თვალები სისხამით ამევსება ხოლმე. აი იმ დღეს საცოდავ დალაქიაანთ ქვრივ-ოხერ დედა-კაცს რა საქმე დაუწიეს ორი მაურის გულისთვინა: კინაღამ კიწიწებით ათრიეს. აბა, სად მოესწვეწებოდა საწყალი ქვრივსა; ერთი მეხრე ბიჭი ჰყავდა და ისიც მოუკვდა. მართალია, ვენახიც აქვს, სახნავიცა, მაგრამ აი აგერა ჯერ ე ჩვენ, ძმაო, სისხლსა ვღვრით, წელებზე — რა არი — ფეხს ვიდგამთ და აბა მითხარი რა გვრჩება. ი მზი შუქის მადლმა და ზიარება არ გამიწყრება, რომა წრეულ ხუთი კოდი პური ძვლად ძლივს გამყვა. იმან რა ქნას, იმ ქვრივ-ოხერმა: ამ ოხერა სოფელში სამუშაოც არა არის რა, რო ლუკმა პური იშოვოს. შარშან კიდენა ზოგან და ზოგან

ქერები გახდა საგლეჯი და იქ მუშაობდნენ დედა-კაცები. წლეუ-ლა? ეჰ, ზიარების მადლმა, ნაღვერდლით მევსება გულ-მუცელი, როცა წარმომიდგება ხოლმე, რომ დედა ჩემი ფეხ-შიშველა ფე-ხით ამ გახურებულ დედა-მიწაზედ დილიდგან საღამომდინ და-კუზული სდგას. არ დაიჯერებ, ბიჭო! იმ დღეს, ჯი იორდანეს-თვინ გუთანი გვება საყარაულო სერზე, სამხრისა რო გამოუშვით და მე ლაშეზე ჩავირბინე წყაროზე, სწორედ ი ლაშის ფერ-დობზე ვნახე დახოქილი ქერში დალაქიასთ ქეთემიაი, აი ორი შაურისთვინ რო დაარბიეს. ვნახე, ძმაო, მაგრამ ნეტა არ მენა-ხა: მდუღარე ცრემლს აწვევდა ამ სიცხე ჯაჯანაქებაში; ისე აუარ-ჩაზოუარე, რო არც კი მოუხედნია. შევჩერდი, ბიჭო, და სულ ბაგი-ბუგი დამიწყო ცოდვით გულმა. მაშინ წამომადგა ი დედა-ჩემიცა: მე რო მოვკვდომოდი მეთქი, ხო ეგრე მოუვიდოდა იმასაც მეთქი... ვოჰშიმე!!... ცეცომ აქ ერთი საშინლად ამოი-ხვნეშა, თითქოს უნდაო მოგროვილი, გამოუთქმელი გაუგებარი ამოინთხიოსო. ამოხვნეშამ თითქო წყლული მუწუკი გამოურწ-ყო ისე მოუფხანა გული და მშვიდის ნაბიჯით წაუარა სამინ-დისკენ მიმავალს ნიკორას. სწორედ არის ნათქვამი:

«ოხვრაო შვება უბედობისა».

— აბა, ბიჭო, რათა, რაო, ჰა? არა მაქვს, რათ მართმევ? რას შეგმატებს ქვრივ-ოხრის გაგლეჯა? რა ჰქვიან, რო მე-ძლება იყოს, ხომა რა ხმა ამოგელება... ნეტა ერთი რათ უნ-დათ, ბიჭო, სად მიაქვთ?.. ეგ კი არა და, ღმერთმანი, ეს ვერ გამიგია; ი რათ არის რო ზოგი დუღის და გადმოდის და ზოგს კი შიმშილით კუჭი უხმება, ჰა ე?... შენი არ იყოს, ცე-ცო, ღმერთმანი, რომა ღამე და დღეს გასწორება თუ არი, რა

ჭქვიან, გასწორებთ და, რა ვიცი, უნიათო კია ჩვენი ყველაფერი და! ჭოჭმანით უთხრა პაკომ.

— მა რა იქნება, ბიჭო! ეს მამასახლისიო, ეს მღვდელი და დიაკვანიო, ის გზირიო. ე მენახირეს მისცეს კაცმა კიდე ჭო!
— ალალია. აი კიდევ დალაქსა, მაგრამ ე მამასახლისი რაო, რის ნანჩალაა, რის მაქნისია, რას მიკეთებს? ერთი ვიღაც ოხერი ჩამოიკიდებს ჯაჭვსა, გასუქდება, სოფელს შესჭამს; ახლა სხვა, ახლა სხვა, და ჭამენ. შენ აძლევ, მე ვაძლევ ისა, და წავიდა და გაკეთდა კაცი. ასეა აი საქმე! გამდიდრდებიან მა რა მოუვათ. ღამი ხარში რო ღამე გამიტყდება ხოლმე, წამომადგება, რო რათი მეთქი, ე ჩემი ოფლი რათ მიაქვთ; თუ მომყავს მე, მაშ ჩემი უპრიანი არ არი მეთქი; რატომ ჩემს ორმოში არ უნდა ქვაროს მეთქი!

— აი, დიდება შენთვის, ღმერთო! რაღაც კია და!...

გავარდა ცაში ელვა, შერ-შორს შექმნა ცამ ნელ-ნელა გრიალი, თითქო ცარიელა კასრს მოაგორიალებსო. ჩამოვარდა ერთ წამს სიჩუმე: ხეებში და იყო შრიამული, შემდეგ გატყდა უცბათ ჭექა და ჩამოაკვესა ფერონას რიყეზე.

— წმინდა არს, წმინდა არს! და გადიწერეს ღამის მეხრეებ. მა პირჯვარი,

— აღარა ხუმრობს, აი! ღმერთო, შენს მადლსა, ერთი გვასხურე, შე კურთხეულო! სთქვა სასოებით ცეცომ.

— თურმე, ნუ იტყვი, ბიჭო, ზებია-ნემმა იცის, რომა ე რო ქუხს, ელია წინასწარმეტყველი ზის დროშკაში და დააჯირითებს ცაში და, ი ცა რო გაინძრევაო, მაშინ წამოვაო სხაპა-სხუპით წვიმაო. მეხსაც თურმე ისა გზავნის. რო გააქანებს ი დროშკა თუ რაღაცა, წინ ი წყეული ეშმაკი აუძღვება, ცხენები თურმე უკან დაიხევენ; ელია, გენაცვალე იმის მადლს, აიღებს მეხსა

და ესვრის ი წყეულსა; ის დაიზუგებათ და მუხი კი აქ ჩამოვარდება. ნუ! ი სალავათ ძაღლი, ისა!... ღრუბელსაც ის თუ აგეთებს აი, სთქვა პაკომ.

— ეგა, ბიჭო, ჭკუა მიუწოთომელია. ეს კია, რომ სად ცაა, სად ჭექა-ქუხილია. ხან-და-ხან რო ი ზედ თავზედ გვაკვესებს ჭექა-ქუხილი ი ელვასა?... ეჰა, ე სარებს გავერეკოთ, თორემ დაგვალბობს, მე ვიცი. ჯერ სარი დავამძღოთ და მერე ჩვენ თავს ვინ ინაღვლის. პირ-უტყვი საქონელია...

## V

წყალს გაღმით იყო სააგურის ჭალა (აქე ეძახიან ძაღლის-ხეველებსი ამ ჭალას). ერთ დროს ეს ჭალა ისე გაბურდული და გასხმული იყო ბუჩქნარით, ეკალა ბარდანით, რომ ჩიტი ვერ გამძვრებოდა. ეხლა კი ძაღლის-ხეველებმა შიგა-და-შიგ ამოუწვეს ამ ჭალას გული, გაამინდვრეს, გაახოვეს და მოჰყავთ სიმინდი. ამ ახოების გვერდით და გარშემო მშვენიერი საძოვრებია; ერთად-ერთი ბილიკი გასდევს თავიდგან ბოლომდის ამ ჭალას. აქა-იქ აყუდებულა მრავალ-ტოტიანი ვერხვი და ამაყათ გადმოსცქერის დაბალ ბუჩქნარებს. ღამ-ღამობით ძვირად გამოატარებს ღამის მეხრე ამ ჭალაში გუთნეულს, ამიტომ რომ აქ ბუდობს სხვა-და-სხვა ნადირი: მგელი, დათვი, მელა, ტურა და სხვ. სააგურის მგელი თავის გაუმაძღრობით განთქმულია მთელ ივრის ხეობაზე. ღამის მეხრეები უფრო რჩევობენ, რომ მოუტარონ სხვა გზით და საძოვარზე ისე მირეკონ. ამ ჭალაში უფრო ჩამობნელდა შავი ღრუბლების გამო. გზა და კვალი არსად სჩნდა; ყველა სულ-დგმულმა იგრძნო, რომ დიდი თქეში მოვა; იფრთ-

ხიალეს ჩიტებმა და ბუჩქის ძირას დაუშვნენ; გვრიტებმა, რომ-
ლების სადგურს შეადგენენ გაბმული ბარდანა მცენარეები, ჩაი-
კრუტუნეს; ბაყაყებმა გაახშირეს ყიყინი, რომლებიც გაჯიბრებუ-
ლებსავით ქასქასებდნენ; ამ საშიშ ღამის საიდუმლოებას ბაყაყები-
და არღვევდნენ. მაგრამ ეს ხმა, შეერთებული ვერხვების ტოტე-
ბის შრიალთან, გულს უწუხებდა კაცს. აქ, ამ ჭალაზე, უდრო-
უდროვოდ ფრონიხ-ხეველი ძვირად გაივლიდა, რადგან სჯეროდა,
რომ ვერხვებში ალები იმალებიანო. ძაღლის-ხევაში გავრცელე-
ბული იყო ხმა, რომ ალები ამ ვერხვებიდგან გამვლელს გა-
მოელაპარაკებიან ხოლმეო, ხან ძაღლად მოეჩვენებიანო, ხან
ციგნად, ხან ცხვრათაო. ვითომ კიდეც ერთ გლეხს დაეჭიროს
ალი ნაწნავებით და სახლში ჰყოლიყოს; მერე ალს უთქვას:
„ოღონდ გამიშვი და ბედსა გწევო: აი ჩემი ფრჩხილი და თმა,
ამებით, სადა გიჟი გამოჩნდება, ან ბნედიანი, მოარჩენო".
— მა, შვილოსა, დაუმატებდნენ ზედ ძაღლის-ხეველები, აგ
კიდეც იმიტომა აქვს იმ გლახას შეძლება, რომ ავად-მყოფები
მოსდევენ.

იმას კი აღარ კითხულობდნენ საცოდავები: რჩებოდნენ
გლახასთან გიჟები, თუ არა? ან მართლა თმა ჰქონდა და იმი-
თი არჩენდა, თუ სხვა რამ საშუალებითა?

ამ საშიშ ჭალისათვის უთუოდ უნდა აექციათ გზა მგზავ-
რებს, მაგრამ ჩვენი ღამის მეხრე ცეცო არხეინად გაივლიდა
ხოლმე ბილიკაზედ. თუ მთვარიანი ღამე დაუდგებოდა, ამან
იცოდა როგორ დაამღობდა გუთნეულს შიგ ჭალაში, თუ არა-
და ამ ჭალის ბილიკით გადიოდა მშვენიერ საძოვარზე, ნასი-
მინდრებში, ყველაზე უწინ. ამიტომ იყო, რომ გუთნისდედებს
ციღაობა მოსდიოდათ ცეცოზე და უღელაზე ერთ დღიურს მეტს
ახვნევდნენ.

## VI

ცა გარისხდა: ჭექა-ქუხილმა დააყრუა ქვეყანა; ელვა გულსაკლავად ისლაკნებოდა შორს ცის სივრცეში: გავიდა ზლაზვნით საქონელი ჭალის პირში, „მამოჭოვ"! შემოუტია გუთნეულს ცეცომ და გააჩერა.

— პავლო, როგორ გინდა? წინ წახვალ, თუ უკან მოჰყვები? მე წინ წავალ, ოხერი ბილიკაა, ე ფოლტოროზე არ სად გადიჩეხო.

— ანგრე იყოს. გასწია ცეცომ წინ.

— ბიჭო, ნელა უყა, ნელა! თითო-თითოდ გამოვიდნენ ბილიკაზე, არსად გადიჩეხონ. ნჰე! ე ვერანა, რა ჯურა ღამეა? რუხრუხი არ გაუდის ამ ტიალა ცასა!... იი! რას ფეხებში მედები შე რჯულ-დავარდნილო! აჩ-გამო, გადი ისე!... პავლო! მარჯვე იყავ, სწორედ ნადირია; ე ლეკვი ფეხებიდგან არ მშორდება. ა დიდი თოლია მაინც წამოგვყოლიყო.

— ჰო და! ეშმაკს თვალით არ უჩანს.

— ფიქრი არ არის, ფიქრი! დაიწყო ისევ ცეცომ, ემ დრამ-ში გავალთ ველზე და მერე თუ გინდ ხრია დაგველოს, ირემა გამეხი აქ არ არის! ეს იყო, პავლო, რომ შარშან მგელი რქით გამოარბევინა ამ ჭალაში და სოფელში ბიძამა გააყრევინა. ჰი! ე ქედ-ნაკურთხი! ისე გაუფთხილდება გუთნეულს, როცა ნადირი დაერევა ხოლმე, როგორც კაცი ღმერთი! რა პირუტყვია! ოქროა სწორედ, ოქრო!... ჩუ, პავლო, გესმის?! აქ ლამის მეხრეებმა შეაფერხეს გუთნეული და წაუგდეს ყური. მოისმა მუშურის ხმა.

— ჰეი-ჰეი! ღმერთო, რა კაცია ეს სოსეი და ვენახში წყა-

ლი უგდია, შენი ცოდო არა მაქვს; ამ წვიმამაც ღამის ზედ მოუსწრო, სთქვა ცეცომ ისე, თითქო შეშურდაო, რომ სოსე მუშაობს და ეს კი ქსლა მიდის, და გაუძღვა გუთნეულს.

— ოჰ, ოჰ! გატიალდი და გაოხრდი, აჰაა!! ცეცო, მოიცა; ეს ოხერა ჯაგვის ცერზე დავაგე ივესი, ქალამანი სუ თან გაიტანა. უჰ! სთქვა პაკომ და ჩაუქრა ხმა; იცოდა, რომ ვიშ-ვიშით ვერას მოუმატებდა.

ცეცომ მიანება საქონელს თავი, რადგან ველზე გავიდნენ, და იმავ დროში გაჩნდა პაკოსთან.

— ჰა, რას წაკუზულხარ? რა გიშავს, აი ველზე გავედით; ვერხვ-ქვეშ დავისვენებთ.

აიკანწურა საცოდავმა პაკომ ივესი; გავიდნენ ველზე, მიუშვეს საქონელი ნებაზე; დაუწყეს კამბეჩებმა ბალახს ღეჭვა, თითქო ივესვეს ჰკლეჯენო. ცეცო დატრიალდა ჭალის პირში, მიჩინჩხვრ-მოჩინჩხვრა, ტალ-კვესით სასწრაფოდ დააგზნო ვერხვ-ქვეშ ცეცხლი: მიბრუნდ-მობრუნდა, ეცა რიყისკენ, მოიტანა იღლიით ორი დიდი სამუთაქე ქვა; შეხსნა პაკოს ქალამანი; წამოუყარა ბატის ივესის სამარილედგან მარილი, წააყარა ჭრილობაზე, რო სისხლი შესწყვეტიყო, და შეუხვია. მოუსხდნენ ცეცხლს; ბალახი კარგი იყო და საქონელი დაადგა ერთ ადგილს და ხარბად დაუწყო ძოვნა; წამოუბერა ქარმა და გადმოჰყარა მსხვილ-მსხვილი წინწკლები; ახლა კი დავკლბებით, სთქვეს გულში მეხრეებმა, და მიიკუნტნენ ვერხვის ძირში.

აი დაასხა და რა დაასხა, რო სულ ღიუბი წავიდა; გუთნეულს ხანამ ძიელ არ გაუჭირდა, არ დაანება ბალახს თავი; როცა ძვალსა და რბილში გაუჯდათ და ბროტიალი დაიწყეს, წამოიცა ცეცო, მოირეკა გუთნეული ვერხვ-ქვეშ. შედგა გუთნეული, ფერდი ამოიმსრო; იწყეს კუდების ქნევა და ბღვერვა და

დეეყარნენ. ცეცხლი მინელდა; პავლეს მიეძინა და ხამუშ-ხამუშ «ვაი დედას» წამოიძახებდა ხოლმე. ცეცო კი თითქმის გულგრილათ უცქეროდა პავლეს გმინვას, იცოდა რა, რომ აუცილებელია ამ გვარ შემთხვევაში გლეხისთვის. ბევრი რომ ივიშვიშოს არა მოემატება რა; მშველელი არსაით არის და თითონვე დააკლდება, თუ გული არ გაიმაგრა, ფიქრობდა ცეცო. თითონაც გაეხვია მაზარაში და მისდო თავი კამბეჩის ფერდზე: კამბეჩმაც თითქო შეიბრალა მესრე, გვერდი გადილო, ცეცოს კისერი შიგ ფერდში გადიწონა და ლაზათიანათ გაიშხლართა.

ცეცოს კარგა-ხანს ელვიძა, ათას ნაირ ფიქრებს მიეცა: ჩემი ყანები სავაისოთ რო არ წამიხდინოს, კარგა ბლომა პურს ჩავყრი; ცოლს შევირთავ და ჩემ ბერ-დედას გავახარებ. წარმოიდგინა, გადაშინჯა გუნებაში საცოლოები და ბოლოს ზალიკა ახალ-კაცის თამროზე დადგა. «რა მაყვალისავით თვალები აქვს! ასილა მკლავები? შენ თქვი, ქალია. ისე მოიდებს ხუთ ქქვს თუნგიან დორასა, როგორც ერთი ნარექი. მადლიანია, მადლიანი! იმისი ნაკეთობა მართლა რო ღირს. მაგრამ ე-ე-ე, ვაი თუ ღმერთი გაუწყრეს, წამოუაროს რამემ და სულ ერთიან გააოხროს; ვერი ააგორეს რო იტყვიან, ის დამართოს. მაშინ? ე-ე-ე, მაშინ ცოლს კი არა და შავ ქვას შევირთავ» ამოიოხრა, გადაბრუნდა და ძილს მისცა თავი.

— პატარა წავლულო თვალი, თორემ სუ ტყუილია, წაილაპარაკა ცეცომ.

ჯერ ისევ ბურანში იყო, რომ შემოესმა ერთი წივილ-კივილი, ღრიალი, ხმაურობა.

— რა იყო, კაცო, რა დაგემართა? ნადირი ხომ არ არის? უყვირის ზევით ერთი ამხანაგი მეორეს.

— ნადირი კი არა და!

ამათ ხმაურობაზე ახლო-მახლო მყოფ მეხრეებმა, ეგონათ რა, რომ ნადირი დაერია გუთნეულებს, დასაფრთხობად იწყეს ღრიალი: «ჰაჰაა! სსი მაგას! სსი მაგას, სსი»!! მაღალი ხმაურობა შესწყდა, ყვირილი გაათავეს. ბოლოს მოისმა კიდევ ხმა, მაგრამ წყნარი. ცეცომ ყური დაუგდო, სმენად გარდაიქცა.

— რა დაგემართა, კაცო, რას განკალობ? ჰაი, შე გლახა, შენა! მაგისთანა ამბება გადაგვხდენია? ეუბნება ერთი ამხანაგი მეორეს.

— უთუოდ ვიღამაც იტკინა რამე, სთქვა გუნებაში თანაგრძნობით ცეცომ, დააპირა წასვლა, მაგრამ ამხანაგის დატოვებაც არ უნდოდა; იყოყმანა, იყოყმანა; გულმა ვერ მოუთმინა, წამოხტა, ჩქარის ნაბიჯით გასწია და მიაძახა:

— რომელი ხარ მანდა?

— ოჰ, ცეცო, შენა? — მე ანდრო ვარ.

ცეცო ამ ხმაზე მიიჭრა; წინ დახვდა ყურებამდის გაწუწული ანდრო, რომელსაც წვივიდგან თქრიალით სისხლი მოსდიოდა.

— კაცო, ე რა ამბავია? რას განკალობ, შე გლახა!

— ბიჭო, რაღა რას ვკანკალებ: ი ოხერა გიჟერა ხარი წყლის პირას მიმიყარებიყო. ვეძებე, ვეძებე და ზედ კი წავეკეტე. რო შემოუტიე, ი სალახათ ძაღლი შიგ ღურღუმ მორევში კი გადაერია. წავედი ფოტორის პირას და სახრე მოუქნიე, ეგებ გამოვიდეს მეთქი. ამასობაში ი ჩემი ცოდვით სამსე ფოტორო აგი მოიმზღვლა და შიგ ყვლაპანი მოვიღე. ე განჭიც ჩავარდნის დროს თუ ჩავიღვლიპე. აი დასწყევლა ღმერთმა ეშმაკი!...

სველი მეხრე ცეცოს რჩევით კამბეჩებ შუა ჩაწვა გასათბობათ. ანდროს ამხანაგი ძალიან შეწუხდა. ცეცოც შეფიქრიანდა. ამას გაუკვირდა, რომ კაცი როგორ უნდა დასცეს, აკანკალოს

წყალში ჩავარდნამ; მერე ღამის მხრე, რომელმაც ამისთანა რამე რწყილის კბენის ოდენათაც არ უნდა შეიმჩნიოს. მაგრამ კაცს რაც აწერია შუბლზე ი დალოცვილი ღმერთისაგან ის არის, იმას კაცი ვერ წაუვა, ამ გვარად ფიქრობდა ცეცო, როცა გამობრუნდა თავის გუთნეულისკენ, სადაც მოსულიყო სოსე და ებაასებოდა გამოღვიძებულ პავლეს.

სოსე მიჰყუდებოდა ვერხვს, ბარი წინ მიეყუდებინა თოხივით, გვემართნა ჩიბუხი და ის იყო ცეცხლს ადებდა, რომ მივიდა ცეცო.

— რა ღრიალი იყო, კაცო? ვენახიდგან გამოვიქეც.

— დასწყევლოს ღმერთმა ამაღამდელი ღამე; ამ პავლემ აქ წაისდინა ფესი, იქ ანდროს ჩაუღლეწია წვივი და წყალში ამოვლებულა; თუ სეტყვა არ იყო ამ თქეშის დროს კიდევ კარგი, —ამას არ ვინაღვლით.

— არა, ერთი ორიოდ კი წამოუშრია, მაგრამ ჩვენში არ იყო, ამ ჩემოთ კი ტყის პირად დიდი რახი-რუხი და ვრიალი მოისმოდა.

— კაი დროს კი მოგივიდა შენც წვიმაი აი, სოსე!

— ჰო, დალოცოს ღმერთმა; მისწრებაა, მისწრება! დაასხა თუ არა ი კოკისპირულად მაშინათვე მიუნაკადლე, ესლა ბოლოში იქნება გასული; სველ მიწას ისე გაჰყვებოდა, როგორც ციგა ყინულსა; ის ის იყო ჩავედე.

— კარგა გისხია? ამბობენ ამ გვერდიძირის ვენახებს ძალიან ასხიაო, უთხრა ცეცომ.

— ჰო, ყოველთვის ე გვერდი-ძირის ვენახები სჯობნიან, ჯერ ერთი ესა, რომ მზვარი ადგილია, მეორეც ესა—იალბუზი ვერ ახდენს, ვერა სცემს და! სიმით, ღვთის წინაშე, აბა რა დასამალია, კარგა მისხია. ნეტა არამ წამოუაროს, შენი დღე-

გრძელობითა; ი ბიჭის დაქორწილება მიდნა; რა ვქნა, თუმცა ჩემ ბიჭს დრო არა აქვს, ჯერ ბალღია, ცოლის უადრი რა იცის, მაგრამ სამ-სამ ქალში ეგ ერთი ბიჭი გამაჩნია; მეც მინდა მოვუსწრო; საკვდილე-სიცოცხლეა, სთქვა სოსემ, რომელმაც ჩიბუხის პოლებას უმატა და კანჭებიდგან ტალახის ფშვნეტას დაიწყო, რომელმაც ცეცხლთან მივოცხების გამო მოუჭირა.

— რაღა უდროვოა, ჩვენმა კაცმა უნდა ადრე შეირთოს ცოლი, რომ შვილი მოუსწროს; რაც ბევრია გლეხ-კაცის სახლში ხალხი, მით ბედნიერია. აი ეხლა ჩემი ცხოვრებაც რა ცხოვრებაა: სახლში ვარ, გარეთ აღარა ვარ; გარეთ ვარ, სახლში აღარა, სთქვა ცეცომ.

— ეგ სამაზა ზოგი შენ წიწილებსაც დაუყარე; მე რომ მირჩევ, შენ რაღას უყურებ. მე და ჩემმა ღმერთმა, დედა-შენიცას დაეწევა, შენ ცოლს რომ ნახავს... კაცო, ე შენი გუთნის დედის გოგო შეირთე, რა გოგოა, რა გოგოა!! მდევია, მდევი! რა საჭიროა, ძმაო, მთელი სახლია და ისა.

— მერე, ზალიკა მამცემს?! ოჯახიშვილები სთხოვენ და მე ერთი ღარიბი ბიჭი ვარ.

— აბა, კიდეც ღარ-ბიჭია საქმე; თამრო, თუ ჭკუა აქვს ზალიკას, შენითანა კაცს უნდა მისცეს. კაცო, შენ ზემო უბანში დგეხარ, რა იცი ზალიკას ამბავი, მე იმის მეზობელი ვარ; მე მკითხო? იმას შენ უნდიხარ.

— ცეცო, ვერ ატყობ ი გუთანზე რო გადმოგიგდეს ხოლმე სიტყვას ზალიკაი? უთხრა პაკომ.

— რას ამბობ, პაკო! გულში აქვს მეთქი ზალიკას, გულში! რას მასწავლით.

თამროზე ლაპარაკის ჩამოგდებამ ცეცო აალელვა, გულმა სულ ბაგი ბუგი დაუწყო, სუნთქვა გაუძნელდა; თავს იკავებდა,

მალი-მალ ჩაახველებდა, რომ ეს გულის შიგოთვა გაექარწყლებინა. ისეთი ნეტარება იგრძნო ცეცომ, რომ ძნელი ასაწერია კალმით. მაშ, იფიქრა იმან, ეს სოსე უთუოდ მაჯანკლად არის მოგზავნილი; ზალიკასაც გულში სდებია; თამრო მადლიანი გოგონაა; ზალიკა იმის სოფლელია; კარგ მოკეთობას გაუწევს; გუთნეულს საკუთრივ შეაბმენ და ცეცოს ოცნებები აევსება.

ახლა დედა ნენეს როგორ გაეხარდება თავის შვილის ქორწინება! უყურეთ, როგორ ჩამოპროწიალდება, როგორ ჩაალეკურებს ამ სიბერის დროს, მერე თავის რძალს — თამროს გამოიითხოვს ქალებიდგან სათამაშოდ და ის კი თავ-ჩაღუნული გამოვა. უყურე ტოლ-ბიჭები როგორ სიხარულით დაუწყებენ თამროს ცქერას და ერთმანეთს ტაშის-კვრის დროს გადაელაპარაკებიან, როცა თამრო ლეკურს ჩამოუვლის.

წარმოიდგინა კიდევ, რომ ის გაითამაშებს ბიჭებში და ჩაჰკვანწავს ფეხებს «ცანგალ-გოგონაზე» გამოვა თუ არა და მაყრები «ცანგალ-გოგონაზე» დასძახებენ ლექსსა:

„ეს ბიჭი კარგა თამაშობს,
კარგა დატრიალდება;
ამან რომ ფეხი იტკინოს,
მე — შენ დაგვებრალება!"

სოფრ. მგალობლიშვილი.

(გაგრძელება იქნება).

# წკიპარტი.

რით არა ვარ პატრიოტი?!
თუმცა ბევრნი არ მიცნობენ,
მაგრამ არ ვარ იდიოტი,
როგორც ქვევით გამიცნობენ.

—

დიასაც პატრიოტი ვარ,
ან კი რისთვის არ ვიქნები?
მე ხომ თავადიშვილი ვარ,
გვარ-ტომობითა ნაქები!

—

სხვასავით ლიტონის სიტყვით
პატრიოტობას არ ვჩემობ,
ვამტკიცებ ამას თვით საქმით
და არც სხვასავით ვამაყობ.

—

რომ სწორეთ მამულს რგებოდა,
რაც კი მშობელთ დამიტოვეს,
ან რაც მე მომეძეოდა,
შევსჭამე — დავუმალე მტრებს.

—

დავიტოვე მხოლოდ ცოლი,
ნასწავლი, მეტათ ლამაზი;

მგონი, ვერ ჭპოვოთ მის ტოლი,
თუნდ დაიაროთ კავკაზი!

—

ესეც შევინახე მისთვის,
რომ მის საუნჯე შვენება
შემეწირა მამულისთვის,
თუ მოითხოვდა დროება.

—

მამულისა სიყვარული
გახდა საგნად მწერლობისა.
ამიღელვდა მეტად გული…
ვგმე კავშირიც ცოლ-ქმრობისა…

—

მუშტარიც კარგი გამიჩნდა —
სულელი და ფულიანი,
ცოლიც თანასმა გამიხდა,
რადგან არის ჭკუიანი…

—

როცა მივიღებ ფულებსა,
განზრახვა მაქვს მე ასეთი —
შევსწირავ სასწავლებლებსა
და მოხედავს მამულს ღმერთი!

—

განა იქმს ვინმე ამ საქმეს,
თუ არ დიდი პატრიოტი,
ან თავის ცოლის საუნჯეს
დაუთმობს სხვას იდიოტი?!

# დამტვრეული ოცნებანი

## I

ყველაზე საპატიო და საამაყო მდგომარეობა კაცისა ის არის, როდესაც ჰგრძნობ, რომ წინ მიგიძღვის რაიმე ღვაწლი, გრწამს იგი და უფრო მომეტებულად ერწმუნები, რომ ეს ღვაწლი რიგიანათ, კუთვნილებისამებრ დაფასებულია შენი თანამედროვეებისაგან და დარჩება დაუვიწყარათ შთამომავლობაში. სიამოვნება იღვენთება შენს გულში და გაძლევს ძალას მრავალი ვაი-ვაგლახის ასატანათ. მაგრამ რამდენადაც სანატრელი და ბედნიერია კაცისთვის ეს მდგომარეობა, იმდენათ მწარე და საძაგელია მეორე გვარი ყოფა, როდესაც შემთხვევით მიაწყდები ერთ უშველებელ კედელს, სადაც მსხვილი ასოებით ამოწყობილია შენ სახელთან ასრე წოდებული არაფრობის ნიშანი, და ეს კედელიც არის უტყუარი ისტორიის განჩინება. მოდი, კაცის ერთი ბეწვა გულო, და ზედ შეაზნედ ნუ გაიპობი! მოდი, წელო, და ნუ ჩაიზნიქები ამისთანა ბალღამ და მკაცრ სინამდვილის ქვეშ! სამოთხის ფუფუნებიდგან უცებ გადაგაგდეს ჯოჯოხეთის კუკუმეთში! ერთი სიტყვით, მოგიკვდა ხელში კაკალი კაცი. გაჰქრა, სამუდამოდ დაიკარგა ტკბილი ოცნება დიდებულ ღვაწლზედ. დაიმარხა ყოვლად-შემძლებელი ამაყობა, თავის იმედი და მათ სათვალავზე აღმოსცენდნენ გულის საკლავი სევდა, უნუგეშობა და განუსაზღვრელი სასოწარკვეთილება.

სწორეთ ასეთი მოულოდნელი ხიფათი შეემთხვათ ჩვენში ერთ გვარ «მამულის შვილებს», რაღაც საოცარ, წვრილმან დასს, რომელსაც პირველად ჩაუხედნია თავის უსუსურ გულში, ამოუკითხნია იქიდგან საყოველთაო გრძნობა, ასრეთ წოდებული, მამულის სიყვარული, გაჰკვირვებია ასეთი უცნაური (?), მოულოდნელი ამბავი, ჰგონებია — ეს არის ამერიკა მე ვიპოვნეო, გამოსულა საქვეყნოთა და ღრიალებს: «შენ კი გენაცვალე, ჩემო მამულო, რომ მარტო ჩემ გულში ჩამჯდარხარ და ჩემი გადაბირული მეზობლები კი არ მოგიკითხნიაო! უს, რა რიგ მიყვარხარ, რომ ემაგეთი პატივი მომეციო! რა რიგი მადლიერი ვარ შენი, რომ მაგგვარი ამორჩეული წარჩინებული პირი გამხადე — ეხლა კი მე ვიცი, როგორც გავიბერები და მტერს თვალებს დაუყენებ, რომ ასეთი გრძნობის პატრონი მარტო მე ვარ, მარტო მე მიყვარს მამულიო!» რასაკვირველია, რომელ მაყურებელსაც კი მოეძებნებოდა გოგრაში ერთი მისხალი ჭკუა და ცოტაოდენი ცოდნა კაცის ზნეობითი და გონებითი ბუნებისა, იმას მოზდიოდა ტუჩებზე ღიმილი და ამ ბოვშკურ ყვირილს არა მნიშვნელობას არ აძლევდა — რა მესაღვლეება, ჰქონდეთ ემაგეთი ტკბილი ოცნებაო. —

«იჭიკჭიკე, ვიდრემდის ხარ, ყრმაო, თავისუფალი,
არ გიცნია სოფელი მომღერალი“ო.

მაგრამ ჭკვიანი კაცის სიჩუმე სრულებით სხვა-ვრივ ახსნეს ჩვენმა „მამულის შვილებმა“. იმათ ეგონათ, რომ ალბათ მართლა მარტო ჩვენა ვყოფილვართ, რანიც ვყოფილვართ, ალბათ ჭეშმარიტების ტაძრიდგან არის გამოტანილი ჩვენი აზრი, ალბათ ამ ჭეშმარიტებას შიგ გულში ვტაცეთ ხელიო, რომ

მამულის სიყვარული მარტო ჩვენისთანა ამორჩეული პირების გვამებში შეიყვარებულა, თორემ რატომ ის ვიღაც «ჭკვიანები» არ აღიარებენ, რომ იმათაც უყვართ მამული! უყვართ კი არა; ალბათ ისინი მამულის მოღალატენი უნდა იყვნენ; თორემ იმათ უფრო ჩვენზე ადრე არ უნდა ეყვარნათ ამ გრძნობაზედ! ამ სახით, ჩვენი «მამულის შვილები» უფრო და უფრო წახალისდ-ნენ. კოლუმბების რიცხვი მატულობდა და მატულობდა. რიცხ-ვის სიმრავლეს მოჰყვა ხმის სიძლიერე, ასე რომ ვისაც თავისი ხმების დაჩლუნგება არ უნდოდა, ყურებში ბამბას იკეთებდა. მაგრამ, როდესაც ბამბამაც ვერა გასწყო რა ამოტელა პაწაწა კოლუმბების ხმაურობასთან, როდესაც ამ კოლუმბებმა წაილეს ზაჭლა თავის ერთი წუწკნა თავების ქებით, პირდაპირ დაიწყეს დიდებისა და პატივის თხოვნა,—მაშინ კი დაჩუმება აღარ შეი-ძლებოდა, მაშინ კი მოუხერხებელი-და იყო, რომ წინ არ გა-დაზდგომოდა ვინმე და არ ეთქვა: „დიდება სიძლიერესა თქვენ-სა, „მამულის შვილებო", მოვიდრეკ თქვენ წინ მუხლსა, თა-ყვანსა გცემთ, დაგადგამთ გვირგვინს უკვდავებისას, მხოლოდ პატარა ხანს გაჩუმდით, რომ ერთი სიტყვა მეცა ვთქვა, მეც კაცი ვარ, ლაპარაკი ჩემთვისაც მოთხოვნილებას შეადგენს. თქვენ, როგორც დიდ კაცებს, ნება გაქვთ ასი სიტყვა ბრძანოთ, მაგრამ მე ისეთი რა დამემართა, რომ ას-მეერთე სიტყვა არ მერგოს! ამ ერთ სიტყვასა გთხოვთ და მომისმინეთ, აგრემც თქვენი დიდების მადლი შეგეწიოთო». აცქვიტეს ყურები «მამუ-ლის შვილებმა» და მოისმინეს მათთვის უსიამოვნო, მხოლოდ მართალი საუბარი. რომელშიაც იხატებოდა ის აზრი, რომ პატრიოტობა საზოგადოთ კარგი რამ გრძნობა მიუნი-ჭებია ყოველი სულდგმულისათვის ბუნებასა, მაგრამ ემაგ «სკა-მებს» რაღაო ამტვრევთო? ეგ გრძნობა საყოველთაოა და სულ

ყველანი ხომ ძეგლებს ვერ დავიდგამთო! მარტო შიშველა სიყვარული არავის აძლევს უფლებას, რომ იორღა ცხენივით თავი მაღლა აიღოს და ყეენს სალამს აღარ აძლევდესო. ძეგლის დამსახურებას უნდა ღვაწლი, რომელიც გამოისახება მხოლოდ ნაყოფიერ საქმეში და არა მარტო გრძნობაში და ცარიელი სიტყვების უღმერთო რახა-რუხში.

აბა, რასაკვირველია, «მამულის შვილებს» საშინლათ არ ეჭაშნიკათ ვიღაცა ბრიყვი კაცის ამ გვარი «წინ-დაუხედველი», «გადაბირული» ლექსები. მაგრამ გულმა კი იგრძნო, რომ თითქო რაღაცა სიმები ჩასწყდაო, თითქო სამუდამოთ გაიფანტა რაღაც ტკბილი, ფანტასტიკური სიზმარი, მიუდგომელმა სინამდვილემ ჰკრათ პანღური და გადმოყარა უსაძირკვლო პედესტალიდგანაო.

რასაკვირველია, საცოდავი სანახავია კაცი ამისთანა მდგომარეობაში. მაგრამ რას იქ, თუ კი თავისთავათ ვერ მოვა ადამიანი გონსა, ვერ შეჰხედავს გარშემორტყმულს სადა თვალებით! მეტი გზა და სახსარი არ იპოვება. დეე ისევ სიმწარე ნახოს და ჭკუაზე კი მოვიდეს. რუსები ტყუვილათ კი არ ამბობენ — ისევ გვიან იყოსო, ვიდრე თავის დღეში არ იყოსო.

## II

დავანებოთ თავი ამ იგავებითა და არაკებით ლაპარაკს, გადავავლოთ ჩვენ მწერლობას თვალი და ვნახოთ, რამდენათ მართალია ჩვენგნით გამოთქმული აზრი, რომ ქართული ლიტერატურა იქამდის უსუსურია, რომ ჯერ თითონაც არა აქვს გამოკვლეული ელემენტარული, საანბანო პრინციპები საზოგადოების

ორგანიზმის ცხოვრებაზე და კერძო პიროვნობის დანიშნულებაზედ ამ ცხოვრებაში და აქედგან ის მწარე მაგრამ აუცილებელი დასკვნა, რომ ამისთანა უთავ-ბოლო, ბავშურ მწერლობას, რასაკვირველია, არა ჰქონდა არა ვითარი მნიშვნელობა ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობაზედ...

ორ გვარ ბილიკზე მოგზაურობს საზოგადო წარმატება, პროგრესი. ერთი ბილიკია გამოურკვეველი, გამოუძიებელი, რომელიც ექვემდებარება შემთხვევას. მეორე ბილიკი გახლავთ ცნობილი, გამორკვეული, მტკიცე კანონზე დაფუძნებული. შემთხვევა არის მოულოდნელი, უცნაური მოვლენა. ხანდის-ხან შევსწრებით ხოლმე, რომ საზოგადო წარმატებას ეძლევა უშველებელი ნაბიჯი რომელიმე ბედნიერი შემთხვევით. ხშირათ შეხვდებით ისტორიაში მაგალითებს, რომ ვინმე საძაგელი, მავნე და ბოროტებით გატენილი პირი, შემთხვევის წყალობით, გარდაქცეულა ქვეყნის მოსარჩლეთ და მოამაგეთ. რომელიმე უცნობი, წყნარი, შეუმჩნეველი, პატარა კაცი, შემთხვევისავე მეოხებით, გამხდარა სამოქალაქო გმირათ, თვალ-საჩინო გვამათ. მოიგონეთ დ. ერისთვის „სამშობლოდგან“ საწყალი გოგია დიაკვანი, რომელიც თავის სიცოცხლეში ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი ამაგი თავის ქვეყნისადმი გასცილდებოდა უბრალო სალდათის სამსახურს, რომელსაც გული მუდამ გამზადებული აქვს მტრის იარაღის საძგერებლათ. თუ არ იშვიათი შემთხვევა, გოგიას, როგორც მის მოძმეებს, მოსჭრიდნენ თავსა, და იმის სახელი არ გასცილდებოდა ახლო მეგობრების და ნათესავების წრესა. მაგრამ აგერ მოულოდნელი შემთხვევა მოდგა კარზე. ბატონიშვილი ელოდება მხოლოდ ნიშანსა, რომ შეიყვანოს ჯარი თბილისში და თავს დაეცეს მოუმზადებელს და უზრუნველს მტერსა. ამ დროს შეთქმულები გასცეს. მტერი დაეცათ მათ. მტერი

ჯამაგრდა, მოემზადა და სიხარულით ელის იმ წამსა, როდესაც ბატონიშვილი შემოვა ქალაქში, დაიჭერს იმას და ამ გზით უფრო მკვიდრათ გაიდგამს ძირს საქართველოში. მოხდა შესანიშნავი ამბავი ისტორიაში — მთელი ხალხის ბედ-იღბალი ჩავარდა ერთ ვიღაც უცნობ ბაწაწა, დიაკვნის ხელში. საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის იმედი გოგია დიაკვანზედ მიკარდა, მაშინ, როდესაც საქართველოში იყვნენ ასეთი წარჩინებული პირნი, როგორც სვიმონ ლეონიძე, ლევან ხიმშიაშვილი, თითონ ბატონიშვილნი და სხვანი. ამ ცნობილ და დიდებულ პირებს, რომლებიც ასე განვითარებულნი არიან, თავის-დროსა-და-გვარად, სამოქალაქო საქმისათვის, ამასთანა პირებს კი ზურგს უქცევს ცხოვრების მიმდინარეობის აზრი და გოგიას კი ხელს უწყობს, გოგიას, რომელიც სიზმარშიაც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ იმისი საცოდავი ხელის გაქნევაზე ეკიდებოდა მისი სამშობლოს ან დაღუპვა და ან აღდგინების იმედი: დარეკავდა ზარს სადღესასწაულო ხმაზედ, მაშინ ბატონიშვილი უნდა შემოსულიყო თბილისში და ჩავარდნოდა მოსისხლე მტერს ხელში; გლოვის ხმაზედ დარეკავდა და — მაშინ ბატონიშვილი გაბრუნდებოდა უკან და თავის ჯარს, თავის გამზადებულებას საბრძოლათ შეუნახავდა სამშობლოს სხვა უფრო მარჯვე დროისათვის. გოგიამ ჩამოჰკრა მწუხარების, გლოვის ზარი... გავარდა თოფი და გოგიაც თან გაჰყვა, მოკვდა, მაგრამ თავის სიკვდილით გააცოცხლა საქართველოს აღდგინების იმედი. მოკვდა, მაგრამ თავის სიკვდილით დაიხსნა სამშობლო განადგურებისაგან. უბრალო დიაკვანი მხოლოდ თავის სიკვდილით გახდა გმირი, რომლის სახელი ღრმათ ჩაიწერა მამულის უდიდეს მოღვაწეთა შორის. თუმცა ეს გოგია დიაკვანი არ არის ნამდვილი ისტორიული პირი, თუმცა ის არის მხოლოდ დრამის მასალათ

მოგონილი ავტორისაგან; მაგრამ იგი არკი ეწინააღმდეგება სინამდვილეს, არამედ ამოწმებს მას...

მაგრამ ცხოვრების აშენება შემთხვევებზე არ არის მოსასურვებელი, თუ კი კაცში გაღვიძებულია სამოქალაქო წარმოდგენა ცხოვრების პრინციპზე, თუ კი კაცს შეუძლიან ილვაწოს არა მარტო დღევანდელი დღისთვის, არამედ მომავლისთვისაც. ამისთანა დროს მოღვაწე პირისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რომ იგი საფუძვლიანათ შეუდგეს ცხოვრებას ზერგში, გამოძიებული ჰქონდეს იმის მოთხოვნილებანი. — რა თქმა უნდა, რომ ლიტერატურას უფრო შეგვიძლიან დაუჭიროთ სადავე და მოვუთხოვოთ თავის ბედის აშენება არა შემთხვევაზე, არამედ მკვიდრ საფუძველზე.

## III

ვინ არ დამეთანხმება, რომ ჩვენი მწერლობა აშენებულია მხოლოდ მიშველ შემთხვევაზედ. ყველა ჩვენგანი შემთხვევით აიღებს ხელში კალამს, შემთხვევით მოჰკიდებს რომელსამე საგანს ხელსა, დაუწყებს მას ერთ საცოდავ ჩიჩქნას, ძლივ ვაი-ვაგლახით აავლ-ჩაავლებს თვალსა, ზოგჯერ შემთხვევით მიაღგება რამე შემთხვევათა აზრს, გამოიღაშქრებს ბეჭედში და ჰგონია... მაგრამ რაცა ჰგონია, იმას თავი დავანებოთ, თორემ შორს მოგვივა... ჰო, და შემთხვევას ასეთი ვრცელი ადგილი უჭირავს ჩვენ მწერლობაში. ხანდისხან ეს შემთხვევა მიგვაყენებს ხოლმე მართლა რიგიან მწერალთან, რომელსაც ნიჭიც ეტყობა, ჭკუაც, გრძნობაც, სწავლაც და დაკვირვებაც, მაგრამ, რაკი მწერლობის გზა გაუკვერავია, რაკი ლიტერატურას ჯერ ცხოვრებაში ვერ უშ-

დენია მოთავეობა და რაკი თითო ადამიანისათვის ძნელია ცხოვ-რების სისულელესთან ცალკე ბრძოლა, — ამიტომ ჩვენ ვხედავთ სამწუხარო მოვლენასა, რომ ამისთანა მწერლები იდრეკენ მუხლს ცხოვრების სიდარდავის წინა და იწყებენ სიმღერას მის უნისო-ნათ

მე არ ვილაპარაკებ წვრილმან მწერლებზე. ავიღოთ ასეთი თვალ-საჩინო და ყველასთვის ცნობილი მწერალი, მაგალითი ჩვენი ცხოვრებიდგან, დავასახელოთ ჩვენი წარჩინებული მწერალი უ. ილიკო ჭავჭავაძე. შემთხვევამ მოაყოლა ეს ბუნებით მდიდარი, ნიჭიერი პირი იმ ქართველი ყმაწვილების რიცხვში, რომელნიც იზრდებოდნენ და იწვრთნებოდნენ ჰუმანიურ და სოციალის-ტიკურ ნაწერებით დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკისა. შემთხვევის წყალობით დაეცა სინათლის სხივი ქართველი ახალ-გაზდობის გულსა და გონებას. უ. ჭავჭავაძემაც გადაა-თვალიერა ეს ცხოვრება და თანაც რუსეთის ნათელი რი-კოშეტით გადმოჰფინა ქართულ საზოგადოებას. აგერ მო-ჰყვა ეს «გლახის ნაამბობი» ვარო, «კაცია ადამიანი», ეს ყაჩა-ღისცხოვრება», ეს „აჩრდილიო“ და ბევრიც სხვა მტკიცე და მწვავე ლექსები. ამისთანა შუქმა უცებ დაარეტიანა ჩვენი ბნელი საზოგადოება. ჭავჭავაძეს სახელმა გაიდგა ბურჯი ქართ-ველ ახალ-გაზდობაში. მოსწავლეთ და ნასწავლთ ამოუდ-გათ ენა — დიდი და პატარა ლაპარაკობდა ჭავჭავაძეზე და ჭავჭავაძეობა ენატრებოდა. ყოველი ცოცხალი ქართველის გული გადაება დაურღვეველი სიმტკიცით უ. ჭავჭავაძის გულთან. ყველას მიეცათ იმედი, რომ ქართველებიც როდისმე დადგებიან წარმატების გზაზედაო. ჭავჭავაძე ზურგში გვედგასო და ჩვენც ღმერთი გვიშველისო, ჰფიქრობდა ქართველი ახალ-გაზდობა. მაგრამ ცოცხალი არსებების გვერდზე ჩვენში იყვნენ და ძალუ-

ში ადგილიც ეჭირათ მკვდრებს, რომელნიც იყურებოდნენ საფლავებისკენ და თვალსა სთხრიდნენ ყველას, ვისაც ენატრებოდა სინათლე და ეჯავრებოდა ღამურობა. ეს ქართველი ბობოლაკ-ში ვეშაპივით გადასწორებოდნენ ცხოვრებას, სდევნიდნენ ყოველის მხრით, ვინც იმათ წინ წაუსწრობდათ, ხმარობდნენ ყოველ იარაღს ამისთანა თავხედის და გადაბირებულის დასაკოდათ. რასაკვირველია, მარტო ნიჭი არ კმარა, რომ მწერალი ემსახურებოდეს ჭეშმარიტებას. ამ ნიჭთან უნდა შეზავებული იყოს მოუდრეკელი ხასიათი, სამოქალაქო თავმოყვარეობა. ჭკუის სიმაგრე და მამაცობა. ყველაზე სამწუხარო იყო ქართული მწერლობისათვის ი. ჭავჭავაძის დაკარგვა. გადაბრუნდა დედა-ბოძი ჩვენი გამოფხიზლებული აზრისა, გადმოგვივარდა ქვა კუთხედი ქართული მწერლობის დაფუძნების იმედისა. ი. ჭავჭავაძემ დაატრიალა ჩანგი გაცვეთილ და მომაკვდინებელ კილოზე: დაკარგული „დიდება“, გაპარტახებული «მამული», ზნეობის სიმაღლე, და ქართველთა ტომთა ვითომც ერთმანეთში ძმური სიყვარული — წარსულში. ენის გარყვნა, სადაც „შამოსძახდი“ პატიოსნობასაც ნიშნავს და უწმაწურობასაც, „ჭკვიდია“ და სხვანი — აწმყოში. ამ საოცარს მოჰყვა უშველებელი გოდება და ტირილი იმისთანა რამეებზედ, რომელსაც ყოველი ქართველი დასტირის, და სადაც ამ ტირილით არაფერი არ კეთდება, გარდა ჩხირკედელაობისა. ამ ჩხირკედელაობაში პირველი ადგილი დაიჭირა ენამ, ურომლისობაც, რასაკვირველია, მძიმე, მავნე და ვაგლახი მოვლენაა, მაგრამ ჯერ მისი წართმევა ძნელი და მოუხერხებელია, მერე მას აღემატებიან მრავალი სხვა სოციალური უბედურებანი, რომელთაც ენაც მოზდევს, კბილებიცა და ცხვირიც, და რომლებზე ლაპარაკიც „მკვდრებს“ არ უჭირთ. ამ ვიწრო, ერთი ნამცეცა წრეში მოთავსდა მთელი ტეორეტიკული მხარე ი. ჭავჭავაძის მოსაზრებისა. ამის-

თანა ჩხირ-კედლეობით, რასაკვირველია, არც მწვადი დაიწვება და არც შამფური, ანუ როგორც რუსები იტყვიან ხოლმე:

## И невинность соблюсти, и капиталъ пріобрѣсти.

რამდენსათაც უმნიშვნელო, უვარგისი, უსუსური, უღირსი და უყურადღებო შეიქნა ტეორეტიკული მხარე იმ ერთხელ პა-ტივ-საცემი და საყვარელი იდეისა ჭავჭავაძისა, — იმდენადვე აუსრულებელი, უგულო და საჩხირკედელაო ხასიათი მიეცათ პრაქ-ტიკულ მოსაზრებას უ. ილია ჭავჭავაძისასა: დაამშობილეთ ბა-ტონი და ყმა, თავადი და გლეხი, დაუმტკიცეთ მათ, რომ იგი-ნი ერთ საქმეს ემსახურებიან—გლეხი თავადის მცველს და თა-ვადიც თავის მცველს—და აქედგან წარმოსდგება, რომ იმათ-შორის განსაყოფი არა არის რა.

მე, რა თქმა უნდა, ვერ მივცემ ჩემ თავს ნებას, რომ აქ შევსწამო უ. ჭავჭავაძეს. ვითომც იგი გაძრახ გადასდგომოდეს ჭეშმარიტებას, გაძრახ დაენებებინოს თავი ჩვენი ცხოვრების სი-მახინჯესთან ბრძოლისთვის, გაძრახ შესდგომოდეს თავისი დაუ-ვიწყარი სახელის გაფარწყლებას, დასჯრეჯას. არა. არა, ძნელია, რომ კაცმა გაძრახ აიღოს ხელი იმ საგნიდგან, რომელიც პირ-და-პირ, უთქმელათ ადგამს მას უკვდავებისა და გმირის გვირგ-ვინს. აქ ბრალია ჩვენი მწერლობის მდგომარეობისა, მისი შე-მთხვევითი არსებობისა, რომელიც ვერ შეუწყობს ვერც ვერო-ბით ხელს სუსტ ხასიათს. ან უ. ჭავჭავაძეს უნდა ჰქონოდა კე-დლივით მაგარი ხასიათი, რომ ძალუმი, ხანგრძლივი სული ჩაედგა ჩვენი მწერლობისათვის, და არა ექმოსნა ისეთი უდღეო ქმნილება, თუმცა ლამაზი, რომელსაც ათ წელიწადზე მეტი არ ექნებოდა სიცოცხლე და რომლის მოკვლასაც თითონვე ჭავ-

ჭავაძე შეუდგებოდა, ან არა და, ჩვენი მწერლობა უნდა ყოფილიყო აშენებული მტკიცე საძირკველზე, სცოდნოდა კარგი და ავი.

## IV

ამისთანა უთავ-ბოლოობა ქართული მწერლობისა, მისი შემთხვევითი ხასიათი გვერდით და წვრილმან მიზეზების მოქმედებით არ აიხსნება, მით მომეტებულად თითონ მწერლების სურვილით. ჩვენ მწერლებს დიახაც უნდოდათ, რომ აღეშენებინათ ბარაქიანი და მკვიდრი დარბაზი ლიტერატურისა და თითონაც საპატიო ადგილი სჭეროდათ ამ დიდებულ დარბაზში, მაგრამ აქ მარტო სურვილი არ კმარა. აქ უპირველეს საჭიროებას შეადგენს გონების განვითარებასთან ცხოვრების უმთავრესი მოთხოვნილების გაგება და მისი ერთგული სამსახური. მაგრამ ეს არ იყო და არც დღეს გახლავთ ადვილი საქმე.

აი, რითი აიხსნება ის მოვლენა, რომ ჩვენი საზოგადოება ამდენი ხნის მიუჩვებული და სულ გატვრენილი, ყბა-დაღებული მეჭურჭლებისა აპატიურათ თავის ცხოვრებას. აქ უნდა გვეძებოთ ჩვენ იმის ახსნაც, რომ დღემდის ქართველ ხალხს თავის გულიდგან არ გამოუყვანია არც ერთი გონივრული მფარველი და მამაცი მოსარჩლე სამშობლოს ინტერესებისა. ზოგი ამ მოვლენას იმითი ხსნის, რომ ჩვენი ხალხი გალაჩარდა. არა, ლაჩრობის საქმე არ არის. ჩვენში, როგორც ყველგან, მუდამ იპოვებოდნენ და იპოვებიან კიდეც მრავალნი, ვინც ყოველს წამს მზათ არიან დაიცვან თავისი თავი, თავის ქვეყანა, ემსახურნენ ჭეშმარიტებას, ემსახურნენ თავიანთ პატრიოტულ გრძნობას.

მარტო შიშველი სიტყვა — მამული — კიდევ არასა ნიშნავს, თუ იგი არ არის განმარტებული და თვალ-საჩინოთ გამოაშკარავებული, თუ იგი რჩება აბსტრაკციაში, რაღაც ნაირ გაუგებარ წარმოდგენაში და არ არის შემკობილი, აყვავებული ამ წვრილმანი თვალ-მარგალიტებით, რომელნიც ერთად შეჯგუფვით, შეკუმშვით ნიშნავენ მამულს. ამ დეტალების უცოდინრობა, გაუგებრობა იმ საგნებისა, რომელთა ტერიტორიული მხარე შეადგენს სამშობლოს, ჩვენებურ კაცს ართმევს გონსა და აეჭვიანებს.—

## V

ეხლა მე თუ ჩვენ მწერლობას ვაღიარებ უმნიშვნელოთ ქართული ცხოვრებისათვის, ეს იმიტომ, რომ აქამდის იგი წარმოგვიდგენს ერთ რაღაც მატირალა, თვალ-ცრემლიან და საცოდავ მოვლენას, რომელსაც ამ უშველებელ დამახინჯებულ სახესთან ერთად უშველებელი სიმახინჯეც შიუკერებია, რასაკვირველია, უადგილოთ და არც უხდება. ეს სიმახინჯე განლაგთ ამპარტავნება, ამაყობა, თავმომწონეობა და უშველებელი წარმოდგენა თავის-თავზედ. საამპარტავნო მოვლენათაც იმასა ხიბლიას, ვითომც ამ მტირალა მწერლობამ გამოუკვლია საზოგადოებას გზა, — გამოაფხიზლა და მიაქცია მისი ყურადღება ნაციონალურ აღზრდაზედაო, ენის შესწავლაზედო. იქნება, ეს რომ მართალი იყოს, მაშინ კიდევ ჰქონოდა ნება ჩვენ მწერლობას ამპარტავნობისა, მაგრამ ძნელი ის არის, რომ ამის სიმართლეს დაიჯერებს მხოლოდ ისა, რომელიც თავის მოკლე ცხოვრის იქით ველარაფერს ჰხედავს. ვისაც კი შეუძლიან თავისი მხედველობა გაატაროს ამ მცირე მანძილს, დაინახოს თავის

ცხვირის იქით საგანი და ეს დანახულიც არ დარჩეს მოუხარშველ შთაბეჭდილებათ, იმან იცის, რომ ეროვნული აღზრდის წადილი ჩვენმა დაუუდავებულმა მწერლობამ კი არ აღძრა ქართველ საზოგადოებაში, არამედ ქართველმა საზოგადოებამ თითონ მიაღწია ამ წადილამდის და მწერლობამ მხოლოდ მისცა ბანი, თანაც ძალიან სუსტი, ჩლექი ბანი.

აი როგორ იყო საქმე. ჯერ პირველი ესა, რომ მტირალა ბავშვს მშობელი ან თავში ჩაჰკრავს, ან არა და მისცემს რამე კაკას დასაჩუმებლათ. ამაზედ მეტი შედეგი ჯერ არა ჰქონია ბავშვის ტირილს. ჩვენი მწერლობის ბავშვობაში ვერავინ შემოიტანს ეჭვსა. ტირილი იმაზედ, რომ გუშინ კარგები ვიყავით და დღეს საზიზღრები (?) ვართო, ვერავის ვერ გამოსცვლის. ათასიც რომ მისაყვედუროს ჩვენმა საზოგადოებამ — „ი, შე საცოდაო, რა ბრიყვი, უსწავლელი, უგუნური ხარ! აბა, შეხედე, რა ბიჭი იყო შოთა რუსთაველი! მითომ შენც მწერალი ხარ და რუსთაველიც! ეცადე, რომ მეორე რუსთაველი ნახოს ჩვენმა საუკუნემ სტეფანე თევდორესძე ჭრელაშვილის გვამშიაო. მაშინ სრულებით სხვა იქნებაო!“ ვითომ რა უნდა გამოვიდეს ამ საყვედურით? გინდა სულ თვალებიდგან ცრემლი გადმოსდიოდეს ჩვენ საზოგადოებას, მე მაინც ვერ დავიჭერ რუსთაველის ადგილს, ძალიანაც რომ მინდოდეს. ამ საყვედურით და ცხარე ცრემლებით ჩხირის ოდენა საქმეც არა კეთდება. აქ საჭიროა ისეთი გზის ჩვენება, რომელსაც შეუძლიან ხალხის წარმატება, აჩვენა მწერლობამ ეს გზა? აქამდის კი ამ გზაზედ ხმა არავის ამოუღია და, თუ ის სიცრუვე, რომელიც ბოლო დროს გამოითქვა ჩვენ მწერლობაში, მიაჩნია ვისმე რამე გზათ, მაშინ უთუოდ გონიერ კაცს უნდა სამუდამოთ გადაუწყდეს იმედი ჩვენი ქვეყნის გამოკეთებისა. მე ვლაპარაკობ იმ შესანიშნავ ტვინთა ქადა-

გებაზედ, რომელნიც უსირცხვილოდ პირითა ჰგმობენ ჩვენი ახალ-გაზრდების ღტოლვას მეცნიერების მისაღებათ — პანსციათ მიაჩნიათ სხვა-და-სხვა ომების გაზეპირება, ქალებს ურჩევენ, რომ მათ უარი ჰყონ «ბოდვა» მაღალი სწავლის მიღებაზედ. დასხდნენ სახლში კერასთან, გარდაიქცნენ კრუხებათ, ჩეკონ ჭუჭულები და თავი იხეთქონ «საბერძნეთის და მეტადრე რომის ისტორიით». სხვაგან ფეხი არ გასდგათ, თქვე უნამუს დაკარგულებოვო»! კაცებს კი ეუბნებიან, რომ თქვენი საქმეა აქოთ და აქოთ ყოველისფერი, რაც რამ გვქონია წარსულშიო, და აძაგოთ, რასაც კი ჰხედავთ ახალშიო, რადგანაც «ქართული» ფერი აღარაფერს არა სდევსო და რადგანაც ქართველი არსად მოიპოვებაო, რის მანქანებიღა ვართო!

ამისთანა სიცრუეს არავინ არ ჩასთვლის გზათ, რომელსაც უნდა დაადგეს ჩვენი ცხოვრება. სხვა გზა ჩვენ მწერლობას არ უჩვენებია. მაგრამ როდესაც მწერლობა ასეთი უფერული იყო, ჩვენი ცხოვრება ნელ-ნელა სცდიდა თავის-თავს, ეძებდა მოძრაობის სახსარს. მოიგონეთ ის ფრიად შესანიშნავი დროება ჩვენი ცხოვრებისა, როდესაც საქართველოში დაიბადა და გაიზარდა, აღორძინდა და გამრავლდა მთელი თაობა «რუსეთუმეებისა». რა ნაირი ტიპი იყო ეს «რუსეთუმე»? რაში მდგომარეობდა მისი გულის პასუხი? რამ გამოიწვია იგი ჩვენს ცხოვრებაში? რა ეწადა იმას? რას ელტოდა იგი? «რუსეთუმე» იყო იგივე ქართველი, რომელსაც ეთვალ-წუნებოდა ყოველივე ქართული, არ ეჭაშნიკებოდა არაფერი, რასაც კი სამშობლოს ფერი ედო, მოკიდებული ენიდგან ვიდრე ჩვეულებამდე. ეს იყო მძიმე ჟამი ჩვენი ცხოვრების უგზო-უკვლო მიმდინარეობისა, და «რუსეთუმეც» წარმოადგენდა ნაყოფს ამ უგზო-უკვლობისას. მეტყვიან «რუსეთუმე» იმიტომ იტრუკდა ტუჩებს ქართულ წესებზედ, ენაზე,

რომ იგი სამშობლოს მტერი იყოსო. მაგრამ ეს დიდათ შემც-დარი აზრია. „რუსეთუმეს“ სიმტრით კი არ მოსდიოდა ასეთი საქმე, სიძულილით კი არ დასცინოდა ქართულ მიდრეკილებათ, არამედ თითონ სამშობლოს სიყვარულითა შეპყრობილა იგი ამის-თანა საქმეს. რაც ჩქარა შეუდგება თავის ეროვნული ფიზიო-ნომიის გამოცვლას და მიღებას რუსული თვისებებისას, — მით უფრო მალე მოიშორებს თავიდგან ტანჯვას, მით უფრო ად-ვილათ შეესწრობა ბედნიერებასაო, ფიქრობდა ის, რადგანაც პატივში იყო მხოლოდ ისა, ვინც იცოდა რუსული, ვინც ამისგამო მიღებული იყო სამსახურში და იმყოფებოდა „ქრის-ტეს იღლიაში“, — და იჩაგრებოდა ისა, ვისაც კი რუსულისა ინ-ჩიც არ ეყურებოდა.

«რუსეთუმე» მარტო მოსწავლეთა და სამსახურის პირთა შორის კი არ იყო, არამედ იგი ათასობით მოიპოვებოდა თი-თონ გაუნათლებელი ხალხის გულში. ეს პერიოდი ჩვენი ცხოვ-რებისა იყო დრო რეაქციისა, სადაც მამულის შვილი მამული-სავე სახელით და თავისი მოძმეების სასარგებლოთ, ნატრუ-ლობდა, რომ ჩქარა ენახა საქართველო ერთიანათ გარუსებული.

მაგრამ დროებას არ ეძინა, არ იყო გაჩერებული. ის თა-ვის საქმეს ნელა-ნელა აკაკუნებდა. და აგერ რამდენიმე ათი წლის შემდეგ საზოგადოება დარწმუნდა, რომ მთელი ხალხის გადაგვარება, გასხვა-ხალხება არც მაგრე რიგათ ადვილი ყოფილა და არც სასარგებლო. ამიტომ სულ ერთი ყოფილა, რომელ ენაზედაც უნდა ლაპარაკობდე. იმოტელა შეძლება არავისა აქვს, რომ მთელ ხალხს მოუგოს გული და თუ კი ლატარიასავით ათასში ერთ ერგება ბედი, მაშ რაღაზედ შევიტკიოთ თავები, და ან თითოს ეროვნული პირის სახე განა ისეთი სალატარიო-რამ არის, რომ ე მაგრე ადვილათ მოვიშოროთ თავიდგანაო?

## VI

ეხლა ჩვენი ცხოვრება, ამ სახით, იმ წერტილამდე სდგას, რომ იგი თავისი მიმდინარეობითაც მიადგება ბედს, მაგრამ ყოველი ხალხი, მოკლებული ასეთ მარდსა და ყოვლად შემძლებელ იარაღს, როგორიც არის დაბეჭდილი სიტყვა, მწერლობა, ფეხ-მძიმეთ და ხანგრძლივათ ებრძვის ერთ გამოურკვეველ ძალას. მწერლობა იმითია კარგი, რომ იმის შემწეობით უფრო ადვილათ, საყოველთაოთ და ვრცლათ გამოსთქვამს, ვისაც შეუძლიან, თავის აზრსა და წარუდგენს საზოგადოებას საარჩევნოთ.

ეხლა მეც იმასა ვჩივი, რომ ჩვენ მწერლობას ჯერ იმდენათ არ ჩაუსედნია თავის ხალხის გულში, რომ ენახა მისი ავ-კარგიანობა. იმასა ჰგონია, რომ ჩვენ ხალხს თავზედ აყრია ხელიო და «მამასადამე» ყოველი ჭკვიანი კაცის წმინდა მოვალეობას შეადგენს — ჩააკლებინოს ქართველობას თავზე სელიო. იმათი შეცადინეობა ეხლა იქითკენ არის გააჩინოს ჩვენ საზოგადოებაში ის ნაპერწკალი, რომელიც ვითომ მარტო იმათ აქვთ, და ის კი არ იციან, რომ ქართველმა ხალხმა დიდი-ხანია იცის. ქართველი ხალხი ჰგრძნობს თავის მამულის შვილობას, ჩვენი „მამულის შვილები“ კი ამტკიცებენ, რომ ეს სამშობლოს სიყვარული მარტო ჩვენთვის მოუცია ზეცასაო და ამიტომ შემოგტირით, გეხვეწებით, გევედრებით — აღიარეთ, რომ თქვენ არ გიყვართ თქვენი მამული და, თუ გიყვართ, ჩვენი ტირილის მადლით შეგიყვარდათო. ქართველ ხალხს მოსწყინდა ეს ვაგლახური გადაკიდება და იხვეწება მაჩვენეთ ცოცხალი ნაყოფიერი საქმე, რომ მე იმაზე დავსდო ჩემი თავიო. ჩვენი «მამულის შვილები» კი იძახიან, სანთლითაც ვერ იპოვნით ქართველებში პატრიოტსაო.

აბა რა უნდა გახდეს ამისთანა უადგილო მწერლობა ცხოვრების მოთხოვნილებასთან! მწერლობას არ ეყურებოდეს უმთავრესი სასიათი თავის ხალხისა, ვერა ჰხატავდეს მის არამც თუ სულის ღრმა გვეთებას, არამედ იმისთანა თვისებას, რომელიც ყველას თვალში ეჩხირება — მოდი შენა და ამისთანა მწერლობაზე სთქვი რამე მადლობიანი სიტყვა, მოდი შენა და იმას საკმეველი უკმიე! საკმეველი კი არა ჩასაქრობია ისეთი მწერლობისა, რომელსაც ხალხის წარმატებაში არმიუღია მონაწილეობა.

## VII

ყოველ მიუდგომელ კაცს გაოცებს ის მოვლენა, რომელსაც ჩვენა ვხედავთ ჩვენ მწერლობაში, როგორც გამოვსთქვი ჩემ სტატიაში — «მამულის შვილი», — აქამდის ჩვენ მწერლობას არ გამოუკვლევია და არ გაუშინჯნია რიგიანათ საანბანო თეორეტიკული კითხვა — ვინ არის პატრიოტი საზოგადოთ. იმ სტატიაში მე განვმარტე, რომ ყოველი ადამიანი პატრიოტია, რადგან მამულის სიყვარული ბუნებითი გრძნობაა, მეთქი, და კიდეც მრცხვენოდა, ჩვენი ლიტერატურისათვის, რომ ამისთანა უბრალო რამეზე იმდენი ვილაპარაკე. მრცხვენოდა იმიტომ, რომ ის მოსაზრება ჰგავდა ამასთანა ჭეშმარიტების ლაღადებას: შჩის მოსახარშათ კომბოსტოა საჭირო, ერთხელ-ერთი ერთია, ცომის მოსაზელათ ფქვილი უნდაო და სხვანი. მაგრამ მოვიყვანე სილოგიზმის პირველა წასაგზავნათ, რომ იქიდგან დასკვნა გამომეყვანა. ეს იყო მხოლოდ ჩემი აზრი. მე ვთქვი რადგან პატრიოტობა საყოველთაო, ბუნებითი გრძნობაა, ამიტომ კაცი პატივსა შინა მაგ გრძნობით ვერ შევა, არამედ ქვეყნის სასარ-

გებლო მოქმედებითა, მეთქი. მაშასადამე, სრულებით გაუგებარი და სასაცილოა ვისიმე წადილი, რომ უბრალო, შიშველი გრძნობისთვის და მის წარამარა ხსენებისთვის სამშობლოში დიდება უძღვნას, მეთქი. მე მითხრეს, ჯერ შენ პატარა ბიჭი ხარ, რა იცი. შენ ასე გგონია, ვაჟ-ბატონო, რომ კაცს მამულის სიყვარული დედის მუცლიდგან დაჰყოლებია. იმას უნდა დათესვა, აღზრდა, მომკა, გალეწვა, დარჩევა, დაფქვა, მოზელვა, გამოცხობა, და დაღეჭვა, შეჭმა და კიდევ სხვა რაღაც-რაღაცებით.

თითქო ასეთი ლაპარაკით იმათ შეეძლოთ თავისი უთავბოლო და უსაფუძვლო ფიქრის გამართლება. აღზრდა არამც თუ მარტო პატრიოტულ გრძნობას უნდა, ყოველი გრძნობა ყველა ბავშვი ითხოულობს აღზრდას, და რაც ეს აღზრდა ვრცელი იქნება, მით უკეთესია. მაგრამ მარტო ლიტონი სიტყვა — აღზრდა — განა ბევრს რასმე ეუბნება ჩვენ გონებას? განა აღზრდა ისეთი რამ საგანია, რომელზედაც კაცს ლაპარაკი არ მოუვა? აღზრდაც არის და აღზრდაც. რომელ გემოვნებაზედ სწადიანი პატრიოტობის აღზრდა? რუსეთში აქსაკოვებიც, ხომიაკოვებიც, კირეევსკებიც, კატკოვებიც პატრიოტათა სთვლიან თავსა და იმასიან პატრიოტული გრძნობის გაღვიძება და აღზრდაზე, დობროლიუბოვებიც, პისარევიც, ჩერნიშევსკიც, ბელინსკიც პატრიოტნი იყვნენ და ზრდიდნენ ამ გრძნობას თავის ხალხში. რომელი პატრიოტობა გინდათ, რომ აღიზარდოს ჩვენს საზოგადოებაში? ერთი სიტყვით, მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენ «მამულის შვილებს» უმნიშვნელო სიტყვის წამოსროლით უნდათ უმთავრესი აზრი ბანზე შეაგდონ და კერძო კითხვებზე გადაუხვიონ. მერე, რომ უფრო მორს შესტოპონ ამ წვრილმანებში, მოჰყვებიან, რომ პატრიოტი ის არის, ვინც თავის-თავს დაავ-

ლავს მამულსაო. ესეც მხოლოდ სიტყვის მასალაა, შეუძლიან გააკვირვოს უდარდელი და უფიქრელი კაცის ტვინი და არაფერს არ ეუბნება მოაზრე კაცის ჭკუას. გარიბალდისაც მიეწერება ეს სიტყვები და სტრელნიკოვსაც, კატკოვსაც და ნეკრასოვსაც, დობროლიუბოვსაც და კირეევსკისაც. როდესაც მწერალი აღვიარებს ამისთანა აზრს, მისთვის უთუოდ საჭიროა განსაზღვროს იგი. რომელი პატრიოტობის მომხრენი ხართ — პროგრესიულისა თუ რეაქციონულისა? აი, მხოლოდ როდესაც ამ ერთ-ერთს ამოირჩევთ, აღამაღლებთ, ააყვავებთ ყოველ-მხრივ დეტალეობით, მაშინ შეგიძლიანთ «ჩამოჰკრათ თქვენი მოძმეების გულის სიმებს», მაშინ შეგიძლიანთ დაჰბადოთ სიცოცხლე თქვენ თანა-მედროვებში და ღვაწლზედაც მაშინ წარადგინოთ თქვენი პრეტენზიები. მანამდის კი მე, როგორც შორიდგან მაყურებელს, მიუდგომელ გამომძიებელს თქვენი მოქმედებისას, თამამათ შემიძლიან ვთქვა, რომ ღვაწლი თქვენ ღირსებაზე ისე მაღლა დგას, როგორც ცა დედა-მიწაზედ. დაანებეთ თავი ამ ტკბილ ოცნებაებს. გაეყარენით იმ აზრს, ვითომც პატრიოტობა მარტო თქვენი პრივილეგია იყოს, შეურიგდით ბუნების კანონებს, რომლებმაც ყოველ-სულდგმულში ჩანერგა ეს ძლიერი გრძნობა. მერწმუნეთ, გრძნობა, რომელიც აღუზრდია კაცში ბუნებას, უფრო ძლიერია, ვიდრე ისა, რომელიც ჩანერგვასაც გწადიანთ თქვენი ნაბღაჯნით. თქვენ გრძნობის დაბადება არც შეგიძლიანთ და არც საჭიროა. თქვენ მიეცით საზრდო მზა-მზარეულათ გამოწყობილ და დამშეულ გრძნობას ჩვენი საზოგადოებისას. აქ არის თქვენი ღვთიური დანიშნულება და აღსასრულებელიც არის. თუ არა და, რასა ჰგავს, თუ ღმერთი გრწამთ, შემოქმედობასაც ჩემობთ—ბაბილონის «ბოძთაშენობა» (столпотворенie) კი არ მოგივიდეთ!

ასეთი უთავ-ბოლო მიკიბ მოკიბვა კიდევ იმისი ბრალია, რომ ჩვენში მწერალს არ მიაჩნია თავის მოვალეობათ — ფრთხილათ მოექცეს როგორც მოსაზრების საგანს, აგრეთვე მკითხველებს — სულ ერთია, როგორმე ჩაივლისო. მისი ბრალია რომ მწერალი არა ცდილობს გამოიკვლიოს ეს მოვლენა; კიდევ იმის ბრალია, რომ ჯერ მთელ ჩვენ მწერლობას არა აქვს სისტემატიკურათ გამორჩეული, გამოშინჯული თავისი გზა. არა აქვს თავის დანიშნულებაზე ხეირიანი წარმოდგენა, არა აქვს საზოგადობრივი იდიალი და არ იცის, როგორ უნდა გაიყვანოს იგი თავის ცხოვრებაში. ამიტომაც შევხვდებით ჩვენში «მამულის შვილებს» ანუ მწერლებიდგან, ან ისე კერძო ცხოვრებაში, რომელთაც ამ გვარათ ესმით მამულის მოთხოვნილებანი: მთავრობას რომ თავის აგენტებათ ქართველი ჩინოვნიკობა ჰყავდეს, მაშინ აყვავდება ჩვენი ქვეყანაო; სამღვდელოების განგება ქართველს ებაროს, საქართველოს მეტი ღვთის წყალობა აღარა უნდა რაო; დაარსდა რომელსამე სოფელში, გინდა თვით ბათუმშიაც, პატარა სკოლა — ღმერთმა კეთილის თვალით გადმოხედა მთელ ჩვენ ცხოვრებასაო, ითქვა უკანასკნელი სიტყვა საქართველოს ბედნიერებისაო; დამტკიცდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება — უჰ, შენი კი ჭირიმე, ბიჭოს, ეხლა კი ავიწიენით წელშიო, რაღა გვიჭირსო; რომელიმე მამა თავის შვილებს ქართულ ენაზე ასწავლის სასკოლო საგნებს — ჰაჰან — ჯანუმ! ეხლა კი საქართველოს ბედ-იღბალი დამყარდა მაგარ საძირკველზედაო და ბევრი სხვა სასაცილო მოვლენანი. იმათ აქამდის არ იციან, რომ ამისთანა წვრილმან მოვლენათ აქვსთ წვრილმანი შედეგები, რომლებიც არც კი არიან დასასახელებელნი ხალხის უმთავრეს მოთხოვნილებებთან. იმათ ის არ იციან, რომ ხალხის ცხოვრება ზღვა არის და ემაგისთანა წვეთებით ვერ დალევთ ამას,

თუმცა კი ნათქვამია „ზღვა კოვზით დაილევაო“. მე იმას კი არ ვამბობ, რომ რომელმამე ქართველმა მწერალმა თუ სხვა ასპარეზზე მოქმედმა კაცმა უარჰყოს ეს წვეთები, უარ ჰყოს ენა, „ნაჭერი ხორცისა ჩვენსა შინა“ (როგორც მასწავლათ ჩამჭრა (?) ე. ბოსლეველმა), უარ ჰყოს სახალხო ანუ უმაღლესი სკოლა, უარ ჰყოს უნივერსიტეტი და სხვანი. არა, ჩემის აზრით, ესაც კარგია, სკოლაც და მეტადრე უნივერსიტეტი. ერთი კი არის ათი. მაგრამ ყოველთავე ამათ აღმატესია ისა, რასაც ჰქვიან ცხოვრების-გზა. — როდესაც მწერლობას მტკიცეთ აქვს წარმოდგენილი ეს გზა და ამ მხრიდგან უყურებს მოვლენათა, მაშინ იმან იცის, რომ იგი უნდა იდგეს პირველ პლანზედ და მაგას თავის-თავათ მოჰყვებიან ის წვრილმანი მოვლენანი, რომელნიც ცალკ-ცალკე ჭკუას ართმევენ უაზროთ, თუმცა მგრძნობიარე «მამულის შვილებსაო». „ჯერ თავო-და-თავო, მერე ცოლო და შვილოვო.“

სტ. ჭრელაშვილი.

# პასუხი ჟურნალ „იმედის“ ზუგდიდელ კორესპონ-დენტს — უ. „კიდევ ვიტყვის“.

ამ 1882 წლის ჟურნალი «იმედის» პირველს ნომერში განაგრძობთ თქვენდამი წარსულს წელში დაწყებულს სტატიას —„ბრიყვი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა“ — და მოგვითხრობთ, რომ ზუგდიდის მაზრას, თუმცა უფრო მეტათ, ვიდრე სხვა მაზრას, აწუხებს ქურდობა და ავაზაკობა, მაგრამ ეს არც არავინ იცის და არც არავინ ამხელსო, და მერმეთ ბრძანებთ, რომ წარსულის წლის «იმედის» მე-IX ნომერში დაბეჭდილი სტატია მიმიღია მე ჩემ თავზედ, ვცდილობ თავის გამართლებას, ვემუქრები, ვინც ის სტატია დაწერა და, რადგანაც არ დაგაყენეთ და დაგაშინეთ, ამისათვის ნებულობთ თქვენ ჩემზედ ორიოდე მართალი სიტყვის თქმას. მაგ , ვითომც მე ზუგდიდელ ვაჭრებთან რაღაც ჟინი მქონდა, არსებობს ჩვენ შორის დიდი უსიამოვნება, რომელმაც, თქვენის სიტყვით, იმ ზომამდის მიაღწია, რომ ყველანი ჩემს სამდურავს ლაპარაკობენ, ოჯახში არავინ მიღებს, კლუბში ჩემის მიზეზით მოსპეს მათ სიარული, რადგანაც მათ ეშინიასთ ისეთი ჩხუბებისა, როგორიც ამას წინეთ აუტეხე მე ბარისოვს; შემდეგ ამისა თქვენ კლუბიდგან გადაბრძანდებით მაზრის სასამართლოში, სადაც მე, ვი-

თომც დიდს დაბრკოლებას ვაძლევ ვაჭრებს სავაჭრო საბუთე-ბის გამოცვლის დროს და სხვ.

შესახებ სტატიის პირველი ნაწილისა მე არ ვღებუ-ლობ ჩემ თავზე თქვენთან ბაასს, ერთი იმიტომ, რომ, თუ მართლა ზუგდიდის მაზრა სხვა მაზრებზე მეტათ შეწუხებულია დღეს ქურდობით და ავაზაკობით, ამას, თქვენს გარდა, სხვაც შენიშნავდა და კიდევაც, თუ უკეთესს არა, ნაკლებს მსჯელობას მაინც არ იქონიებდა, სადაც ჯერ იყო, და მეორე მისთვის, რომ ზუგდიდის პოლიციაში ბევრნი ისეთნი პირნი მსახურებენ, რომ იგინი ჩემსა და თქვენს მფარველობას არას დროს არ საჭიროებენ.

რაიცა შეეხება სტატიის მეორე ნაწილს, ამაზედ აი რას მოგახსენებთ: ნუ თუ თქვენის ფიქრით მკითხველი საზოგადოე-ბისთვის არის რამე სასარგებლო ანუ საინტერესო მასში: პეტ-რეს ივანე ძრიელ სძულს, თუ უყვარს, ანუ ივანე ეხვეწება პეტ-რეს — შენი ჭირიმე, მაინცა-და-მაინც გიყვარდე და ნიადაგ ჩემი ქების მეტი არაფერი ილაპარაკოთ?!...

მე არ მსურს და არც ვმეცადინეობ ზოგიერთივით პირ-მოთნეობით და მოტყუებით მოვიპოვო ერთი კაცის ანუ სა-ზოგადოების დამოკიდებულება და მით შევიძინო ვისიმე ჩემ-დამი კარგი განწყობილება; მე ამითი არ მინდა გამოვსთქვა, ვითომც კარგი განწყობილების წინააღმდეგი ვიყო, მაგრამ კარგსაც და ცუდსაც, ჩემის აზრით, თავ-თავის ისტორია უნდა ჰქონდეს; ის კარგი, კარგი არ იქნება, რომელსაც კაცი მოიპოვებს სხვი-სი მოტყუებით, პირმოთნეობით და ენის მიტან-მოტანით, რომელიც დღეს ჩვენ ზუგდიდში ძრიელ ფეხ-გადგმული გახ-ლავთ...

თქვენ ბრძანებთ, უ. კორრესპონდენტო, რომ ვაჭრები და

მათი ოჯახობა არ მივლენ იქ, სადაც მაზრის გამგეობის სეკრეტარი — წერეთელი იქნებაო, რადგანაც პირველთ ეშინიანთ ისეთი ჩხუბებისა, როგორიც ამას წინეთ უკანასკნელმა აუტეხა ბარისოვსაო, და კი არ იხსენიებთ, თუ რა ჩხუბი მოხდა ჩემსა და ბარისოვს შორის, ვინ იყო დამნაშავე, ვინ იყო მოწმებათ და რით გათავდა საქმე. რადგანაც თქვენ დაგზარებიათ ამის გამოთქმა, ამისათვის მე თითონ მოგახსენებთ შემოკლებით. ბარისოვმა მართლაც წარსულ წელში, კლუბში, როგორც თქვენ უწოდებთ, ყოვლის უმიზეზოთ გამლანძღა. ამაზედ, როგორც თქვენც გცოდნიათ, შესდგა საქმე, დაინიშნენ მოწმათ ზუგდიდელი (ქალები კი არა) ვაჭრები, რომელთაც ფიც ქვეშ დაამტკიცეს სასამართლოში, რომ უ. ბარისოვმა სულ ტყუილათ, უმიზეზოთ გალანძღა წერეთელიო, — წერეთელს არც კარგი და არც ავი მისთვის არა უპასუხნია რაო, რისთვისაც უ. ბარისოვს, სასამართლოს დაუსწრებელი განჩინებით, აქვს მინიჭებული ჯეროვანი ჯილდო — ერთი თვის დატუსაღება. ეხლა, უ. „კიდევ ვიტყვი“, რას იტყვით (არა, უკაცრავათ, რას ბრძანებთ) ამაზედ: თუ მე ჩხუბი აუტეხე უ. ბარისოვს, მართალი იყო ის, — რატომ ვაჭრებმა მე არ გამამტყუვნეს და ბარისოვი არ გაამართლეს, მით უმეტეს, რომ, როგორც თქვენ საზოგადოთ აღიარებთ, ზუგდიდელ ვაჭრებს ვითომ ჩემი შეხედვაც კი ეჯავრებოდეთ?....

შემდეგ ამისა, ვაძლევ ჩემს თავს ნებას მოგახსენოთ, უ. „კიდევ ვიტყვი,“ რომ იმ ზუგდიდელ ვაჭრებს, რომელთაც განუცხადებიათ თქვენთან ჩემზედ სამდურავი, შესახებ სავაჭრო საბუთის გამოცვლის გაძნელებისა, შეგიძლიანთ ურჩიოთ — ჩემი სამსახურისაგამო ბოროტ-მოქმედება აცნობონ ჩემს უფროსს და მისგან მიიღონ დაკმაყოფილება პრეტენზიისა, თუ

უჭირავთ ხელში საკმაო დასამტკიცებელი საბუთები. თუ არა და, უსაბუთოთ რაზედმე ან ვიზედმე ლაპარაკი, როგორც მოგეხსენებათ, ისე გაივლის ხოლმე, როგორც შარშანდელი თოვლი, და ნეტავი თუ რისთვის იწყენთ თავს და ამდენს ლაპარაკობთ?!...

ალ. წერეთელი.

1882 წ., 24 თებერვალს.

ზუგდიდი.

# შინაური მიმოხილვა.

სიმართლის აღდგენა.—ჩვენებური ბეჭდვის მდგომარეობა.—სანატრელი ცვლილებანი.—უიმედო იმედი.

ამ მარტში ჩვენმა ნიჭიერმა პოეტმა აკაკი წერეთელმა წაიკითხა პირველი ლექცია ქართველი ქალის წარსულზედ. მე სრულებით არა მწადიან კაღვიარო ჩემი აზრი ამ ლექციაზედ, მით მომეტებულათ არ მინდა ჩემი შეხედულობის გამოცხადება ქართველი ქალის ისტორიულ ცხოვრებაზედ. მე მინდა გავიმეორო ორიოდე სიტყვა უ. აკაკოსი, რომელიც სრულებით არ შეეხება ლექციის შინაარსს და რომელშიაც იხატება მხოლოდ უბრალო მადლობა ლექტორის მხრით მღვდელი ჯანაშვილისადმი. ეს სიტყვები გახლავან: «მომეტებული ნაწილი ისტორიული ცნობებისა, რომელნიც თქვენ მოისმინეთ ჩემგან, ამოვიღე მამა ჯანაშვილის შრომიდგან.“

რასაკვირველია, ამ პატიოსნურ გამოცხადებას იოტის ოტელათაც არ მიუცია ზარალი იმ შთაბეჭდილებისთვის, რომელიც იქონია უ. აკაკიმ მსმენელებზედ.

მეც თუ მოვიხსენიე ეს ამბავი, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი გაზეთების რეპორტიორებს, რასაკვირველია, გაძრახ მიუფარებიათ ყურებზედ ხელი, რომ არ გაეგონათ ეს განცხადება

და არც გამხდარიყვნენ მოვალეთ მის გამჟღავნებისა. და მართ-
ლათაც გაზეთებში სრულებით არ გამოთქვეს ეს საყურადღებო
გარემოება. მაგრამ, რას ვამბობ არ გამოთქვეს, მეთქი! არამც
თუ არ გამოთქვეს, არამედ ისე გამოიყვანეს საქმე, ვითომც უ.
აკაკის თავის-თავათ, თავის შრომით და მეცადინეობით გადაუ-
ქოთებია გაფანტული მასალა ჩვენი წარსული ცხოვრებისა და,
შემდეგ მრავალი უძილოთ გატარებული ღამეებისა, შემდეგ დაუ-
ღალავი ჩხრეკისა მრავალ არხივებში, ამოუკრეფია მშვენიერი
მარგალიტები, რომელნიც აუგია ერთ ლაზათიან ძაფზე და რო-
მელნიც ასე მშვენივრათ წაიკითხა სახალხოთ. ჰო, მართალია უ.
აკაკი ძალიან ნიჭიერი პოეტია, მაგრამ მღვდელმა ჯანაშვილმა
რაღა დააშავა, როდესაც უ. აკაკი კითხულობდა თითქმის მხო-
ლოდ ამ მღვდლის გამოკვლევას, როდესაც უ. აკაკის ეკუთნო-
და მხოლოდ როლი ნიჭიერი ლექტორისა, და უმძიმესი საქმე,
ე. ი. ფაქტებისა და მარგალიტების ამოკრეფა, მათი გადაბმა
ეკუთნოდა მამა ჯანაშვილს, რაიცა აღვიარა თითონ უ. აკაკო-
მაც?!

ეს აიხსნება მხოლოდ დიდი ლაქიური მიდგომილობათა
და ქლესიაობით გამოჩენილი კაცის წინაშე, რაიცა საზიზღარი
უნდა იყოს თითონ ამ გამოჩენილი უ. აკაკისთვის. აიხსნება
აგრეთვე მითა, რომ კაცს შრომისა-და-გვარათ კი არ აფასებენ,
არამედ მის პრაკტიკულ გამოსადეგრობით. «მიეცეს უფლისა
უფალსა, ღვთისა ღმერთსაო.» კაცმა თავისი შრომა უსასყიდ-
ლოთ და გულ-კეთილათ წარუდგინა უ. აკაკის, მისცა შემთხვევა
ამისთანა საგანზედ ლაპარაკისა და, მადლობის მაგიერ, უ. აკა-
კის წინ დაუხედავმა თაყვანისმცემლებმა დათვის სამსახური გაუ-
წიეს—ადგნენ და თითონ შრომა წაართვეს მამა ჯანაშვილსა და
იმას ჩამოაცხეს თავზედ. თითქო უ. აკაკის ღირსების ასაწევათ

უნდა ტყუვილი ეთქვათ, თორემ მას არა ჰქონდა ნამდვილი ღირსებაო. და ამით უ. აკაკი, თავის უნებურათ, გამოიყვანეს მეტათ უმადურ კაცათ. ერთი ესეც კი არ არის ნაკლებათ გასაკვირველი, რომ გაზეთების ამ გვარ სიცრუეზედ თითონ აკაკიმ ხმა არ ამოიღო და არ აღადგინა ბეჭდვის წყალობით სიმართლე. შეიძლება, არ მიაქცია ყურადღება გაზეთების ანგარიშს და ვერ შენიშნა ასეთი წრეს გარეშე გადასული საქციელი რეპორტიორებისა.

ამიტომაც განვიძრახეთ ჩვენ ამ გარემოების დასახელება, და, იმედიცა გვაქვს, რამდენათაც უ. აკაკი უმადური დარჩება თავის მომხრე რეპორტიორებისა, იმდენათ მადლობას გამოგვიცხადებს ჩვენ ამ სიმართლის აღდგენისათვის.

* * *

ამას წინეთ კავკასიის მთავარ-მართებელმა, თავადმა დონდუკოვ-კორსაკოვმა დაიბარა ადგილობრივი ბეჭდვის წარმომადგენლები და მისცა მათ წინადადება, რომ წარუდგინონ თავისი აზრი აქაურ მწერლობაზედ და აგრეთვე აზრი სასურველ ცვლილებაზედ, ცენზურის საქმეებზედ, მის აწინდელ ხასიათზე და სანატრელ მომავალზედ; მე ეს მოხსენება მხოლოდ შინაურულათ მექნება სახეშიო, და არა ოფიციალურათო. ამით შეიძლება გაიზომოს, თუ რა სივრცისაა საზოგადოთ ბეჭდვის და კერძოთ პროვინციალური ბეჭდვის შევიწროება, რომელსაც გრძნობენ. მის მდგომარეობის და, ჩვენდა სასიხარულოთ, მწერლობის ბედ-იღბალის გაუმჯობესობას უნდა მოველოდეთ. რუსეთის ზოგიერთ საპოლიტიკო ორგანებს ისე გაუჭირდათ საქმე, რომ უნდა ხელი აეღოთ თავიანთ საქმეზე, უნდა დაკეტილიყვნენ, გაჩუმებულიყვნენ და თავი დაენებებინათ პატიოსან შრომისთვის. ეს საქმე დაემართათ ისეთ ჟურნალ გაზეთებს,

რომელნიც უწინასწარო ცენზურის ქვეშ იბეჭდებოდნენ. პროვინციალური ბეჭვდა ხომ საშინელ საცოდაობაში იყო. მაგრამ საზოგადოთ რუსეთის პროვინციალურ ბეჭედსაც რომ თავი დავანებოთ, თითონ ჩვენ ქვეყანაში საკმარისი მაგალითები გვაქვს. მწერალი იძულებული იყო და არის ეხლაც ილაპარაკოს «ლაზათიანი« ანეგდოტები, სადაც არავითარი ტენდენცია არ მოიპოვება თითონ განსვენებული დიოგენის ფარნით, — ილაპარაკოს სხვა-და-სხვა უმანკო ზღაპრები. დღეს ჩვენი საზოგადოება სრულებით მოკლებულია თავის უმთავრესი მოთხოვნილების გამოსათქმელ იარაღს. თითონ მისმა ბრწყინვალებამ, დონდუკოვ-კორსაკოვმა, აღვიარა, რომ მწერლობას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიან არამც თუ საზოგადოების წინაშე, არამედ მთავრობისაცაო, რადგან მთავრობას არ შეუძლიან ცხოვრების პირ-და-პირ გაცნობა ბეჭდვის დაუხმარებლათაო, — იმედი უნდა გვქონდეს გაუმჯობესობისაო.

* * *

რა ცვლილებანიც საზოგადოთ საჭირონი არიან წერა-ბეჭდვისათვის, იმაზედ ლაპარაკიც არა ღირს, რადგან ეს ლაპარაკი იქნება «ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა». ამიტომ ეს საგანი დარჩეს ისევ ოცნებაში და ვინატროთ მეტათ წყნარი და უბრალო რამ, — თუ მთელმა აზრმა არა, აზრის ნაგლეჯმა მაინც მააღწიოს ხოლმე როგორც საზოგადოების ისე მთავრობის ყურამდის. ეგება მაშინ მაინც ხალისი და ინტერესი მიეცეს პროვინციალურ ბეჭედს, ჰქონდეს რამე მნიშვნელობა ცხოვრების მიმდინარეობაზედ, ეკითხებოდეს იმასაც და ხმა მიენიჭოს თავის გარ-შემორტყმულ გარემოების გასალაზათიანებლათ და რამე სანა[illegible]თის შემოსატანათ პროვინციალურ სიბნელეში. ჯერ-ჯერობით ეს მცირე რამა გვქონდეს სანატრელათ და ღმე-

რთსაც ექნას, რომ თავადი დონდუკოვ-კორსაკოვის რედაქტორების დაბარებას მოჰყვეს ჩვენებური ბეჭდვის შეღავათი თუნდა ამ მხრით, რომ ჩვენშიაც მწერალს შეეძლოს თავის აზრის გამოთქმა.

* * *

მართალია, მთავარ მართებელმა განაცხადა თავისი წადილი ბეჭდვის დახმარებისა, მაგრამ წადილის აღსრულებაა საქმე. და ეს აღსრულებაც ეხლანდელ დროში თითქმის წარმოუდგენელია. ეხლა ისეთი მწარე გარემოება ტრიალებს მთელი რუსეთის იმპერიის ტერრიტორიაში, რომ მართებლობას დარჩენია ჯერ-ჯერობით მხოლოდ დაპირებანი, დასამშვიდებელი, სასოების აღსადგენი სიტყვები. ეს მხარე ეტყობა თითონ იმ სიტყვას, რომელიც წარმოსთქვა მთავარმართებელმა რედაქტორებთან. მისი სიტყვის უმთავრესი აზრი იმაშია, რომ, მართალია ბეჭედს ბევრი კარგი მხარე სჭირს, მაგრამ ცენზურა უნდა დარჩეს თავის ძალაშიო და თქვენ შეგიძლიანთ იფიქროთ მხოლოდ იმაზედ, უმთავრესი ცენზურა აქ დარჩეს, თუ, უთანხმოების გასარჩევათ, აქაური ცენზურა ექვემდებარებოდეს პეტერბურღის კომიტეტსაო. ჩვენის აზრით ეს ისეთი კითხვაა, რომელიც სრულებით არ გვაძლევს ნუგეშს ჩვენი მწერლობის უღლის დაპატარავებისას. —

ტაკალა.

## „იმედის" ფოჩტა.

### თბილისში. ლიტერატორებს.

„იმედის" მეძებარმა ტყიდგან კურდღელი გამოაგდო და შიგ თბილისში შემოაგდო. მოდარაჯეებმა შექნეს ყვირილი. «კავკაზმა» და «დროებამ» მოუტიეს თავიანთი მწევრები. თურმე, ნუ იტყვით და, ეს ოხრები მხდალები ყოფილან, კისერში კბილის ჩავლება ვერ გაუბედნიათ, წასწვდომიან კუდში და კბილებში შერჩენიათ მხოლოდ ცოტაოდენი ბურტყლი, — კურდღელი კი გაქცეულა. რიგისამებრ ნადირობისა, მთლად ეს კურდღელი ეკუთვნის „იმედს" და მხოლოდ მისი კუდი «კავკაზს» და «დროებას». ამისათვის, ვინიცობაა დაიჭიროს ვინმე, ვთხოვთ — «კავკაზს» და «დროებას» მის კუდის მეტი არა არგუნოს-რა, რადგანაც მალიან ლაწირაკი მწევრები ჰყოლიათ...

### ქუთაისში. პ—და—კ—ს.

თქვენი «ზოდი» საბაყოში გადადნობილი შეიქნა და გამოდგა ტყვია-ნარევი. ტყვია, როგორც საკლავი მასალა, დარჩა იქ, დანარჩენი კი გიბრუნდებათ. თუმცა არაფერი სასიამოვნო იქნება თქვენთვის, ვიცით, რომ ნასყვარი წონალა «ზოდისა» მოგივათ;

მაგრამ მოთმინება იქონიეთ და ეცადეთ ტყვიის მაგივრად თქვენ «ზოდებში» წამალი გაურიოთ ხოლმე, რომელიც არ შეადგენს საკლავ მასალას და ყურებს კი აცქვეტინებს სამიზნოს, როდესაც იგეთქებს ხოლმე.

### ზუგდიდში. შავი-ზღვის-პირელებს

ერთი თქვენი თანამოძმეთაგანი, უ. მხედარი, გვატყობინებს, რომ ამ წლის პირველ იანვარს ერთ მეგრელს მოუტაცნია თავისთვის საცოლო ამ უკანასკნელის დედ-მამის უნებურათ და მას აქეთ სახლში ჰყავს ჯვარ დაუწერელიო. ახლა სასძლოს მშობლები სჩივიანო, თუ ჩვენი ქალი ჯერ ასაკოვანი არ არისო, (თუმცა ასაკს გადასულიც არისო), განაგრძობს იგი, და არ შეეძლოს მომტაცებელს ჯვარის დაწერაო. იმ კაცის გარემოებაში რომ მე ვიყოვო, აბოლოვებს მხედარი, სასძლოს დიდის პატივით შეუსვამ ცხენზედ, მივართმევ მის მშობლებს და მადლობას შევსწირავ ამდენი ხნის თხოვებისათვისაო. რადგანაც შავი-ზღვის-პირის მცხოვრებლებში ხშირად ხდება ხოლმე ამ გვარი შემთხვევა—საცოლოს მოტაცება და მას თან მოსდევს დიდი დავი-დარაბა, ამისათვის უ. მხედრისაგან გამოგზავნილ საშუალებას დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ დ ვურჩევთ ყველა იქაურ სასიძოებს იქონიონ მხედველობაში და, ვინიცობაა სასძლოების მშობლებმა ან ნათესავებმა ჯვარის წერის ნება არ მისცენ ხოლმე, იხმარონ როგორც ნაჩვენებია...

### კეთილ-შობილებს

ძალიან ხშირა შეიქნა ჩვენში კეთილ-შობილებისგან კე-

თილ-შობილებისადმი შეურაცხების მიყენება, თუ მამულის თაო-ბაზედ, თუ ქალების წყალობით. ეხლანდელი სამართლის წესით კმაყოფილების ძიება არა რა კეთილ-შობილის საქმეა, რადგანაც მის წინაშე კეთილ-შობილი და არა კეთილ-შობილი თანასწორნი არიან. სატევარის ხმარებაც ხომ აკრძალული არის, სამწუხაროდ მათდა. ამისათვის ერთ კეთილშობილს გამოუგონია ახალი საშუალება კეთილ-შობილურათ ჯავრის ამოყრისა, რომელსაც, სასიქადულოდ მისდა, ვუზიარებთ ყვე-ლა ჩვენ კეთილ-შობილებს. ლისის მთის ძირში ერთ ქართ-ველ კეთილ-შობილს ნემეც კეთილ-შობილისათვის რაღაც შეუ-რაცხება მიუყენებია. ნემეცი კეთილ-შობილი დაჰპირებია კეთილ-შობილურათ ჯავრის ამოყრას და მალევ შეუსრულებია. დაუქი-რავებია ამას ექვსი სამხედრო სამსახურის კაცი, დაუჭერინებია ის ქართველი კეთილ-შობილი სასამართლოს წინ, რადგანაც ნა-მდვილ კეთილ-შობილს სასამართლოსი არ უნდა ეშინოდეს, წაუქცევინებია და ერთი ჯამი ბაქოს წყაროების წყალი, შეზა-ვებული გამოუთქმელ სუნნელოვან ნივთთან, პირში ჩაუსხმევი-ნებია...

### გორში. ახალ-გაზდობას.

პირობის შესრულება იმდენათ პატიოსნურ ღირსებათ მიუ-ღია ჩვენ ხალხს, რომ ანდაზათაც კი გადაქცეულა: პირობა კაცს ცოლს წაართმევსო. მეც, როგორც ქართველი, გადუდგომლათ მივსდევ ამ ანდაზას და ვასრულებ შეძლებისამებრ ჩემს თქვენ-დამი პირობას შესახებ «სიტყვისა», რომლის მოხსენებაც აღ-გითქვით ჩემის «კაბინეტიდგან» აკაკის პატივ-საცემლად თქვენ-გან გამართულ სადილზედ. მაგრამ, სანამ ამ «სიტყვას»

წარმოვსთქვამდე, მსურს მოგახსენოთ მიზეზი, თუ რისთვის ვიყავი იმ ნადიმობის დროს გაჩუმებული პირ-წყლიანი თევზივით. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ მე მსურდა, რაც კი მეთქვა — მეთქვა მართალი და სუსტად გახლდით იმ საშუალებაზედ, რომელიც ხელთ უნდა ეპყრას მართლის მთქმელს. ჩვენი ანდაზა ამბობს, მართლის მთქმელს ცხენი მზად უნდა ჰყავდესო, სთქვას თუ არა — შეჯდეს და გააჭენოსო. მე კი, სწორე მოგახსენოთ, იმ დროს იქ, ცხენი კი არა, ცეცხლით მატარებლით წამოსასვლელი ფასიც არ მომეპოვოდა. აქ კი, ჩემ «კაბინეტში», გული შიგნითა მაქვს და აღარავისი არ მერიდება .. აბა, სმენა იყოს და გაგონება!

ვინატრი, თქვენი ის თანაგრძნობა,
რომელიც აკაკს გამოუცხადეთ,
არ ყოფილიყოს მატრაბაზობა,
რაჲცა ძველად თქვენ შემოგწამესთ,—

—

ანუ ვისიმე ოინბაზობა,
თავის საქებრად გამოგონილი;
არამედ იყოს ნამდვილი გრძნობა,
გულ-წრფელობაზედ თვით მოყოლილი.

—

ვინატრი, გრძნობა საქმეთ შეგცვლოდესთ,
არ გამხდარიყოთ ნაკლებნი სხვაზედ;
ერთობა, ძმობა თქვენ მოგცემოდესთ
და დამდგარიყოთ ცხოვრების გზაზედ,—

—

რომელიც გახდა ქვეყნისა მიზნათ,
კაცობრიობის დიდებას ნიშნავს,
რომელმაც იცნო ის ნამდვილ კაცად,
ვინც ყველა კაცში ჰხედავს თავის ძმას.

—

ვინატრი გულით, მტკიცეთ შეგეგნოთ
ჩვენთა წინაპართ ერთი თვისება,
რომელსაც, ვგონებ, არც თუ კი იცნობთ, —
მასში კი სუფევს მათი ღირსება:

—

იბრძოდნენ მარად დაჩაგრულთათვის, —
როცა შემთხვევა კი მოითხოვდა, —

—

მაშ გაუმარჯოს, ვინც ადგას ამ გზას,
ანუ არ ადგას, მაგრამ დაადგეს,
აცოცხლოს ზეცამ იგი მრავალ ჟამს;
რომ მაგალითათ სხვას გამოადგეს!!!...

რედ.

ი 474
1882

1882 წლის ჟურნალ „იმედზედ" ხელის მოწერა მიიღება ქ. თბილისში — მხოლოდ რედაქციაში, რომელიც იმყოფება კუკიაში, მეორე თუმანიშვილის ქუჩაზედ, ნემეცების სასაფლაოსთან, № 12.

გარეშე მცხოვრებელთ შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ ადრესით: **Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго журнала «ИМЕДИ».**

ფასი წლიურის გამოცემისა გაგზავნით სხვა ქალაქებში და თბილისში შინ მიტანით — — — 8 მან.
ნახევარი წლისა — — — — — — — 4 მ. 50 კ.
სამი თვისა — — — — — — — — 2 მ. 50 კ.
ცალკე ნომერი ღირს — — — — — 1 მ.

---

ვისაც ჟურნალი მისდისთ და ხვედრი ფული ჯერ არ შემოუტანიათ, ვთხოვთ მალე გამოგზავნონ.

---

ვისაც რომელიმე ნომრები ჟურნალისა არ მისვლიათ, ან არ მიუღიდესთ, ვთხოვთ გვაცნობონ და დაკარგული წიგნები გაეგზავნებათ ხელახლად.

---

რედაქტორი და გამომცემი მ. გურგენიძე.